


ମୁଦ୍ରଣ



ଭାଷାକୁଳାତ୍ମକାନ୍ତିକ ପ୍ରକାଶନ ନଂ 1 (66)
ମୁଦ୍ରଣ

2024



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთის“

მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა წომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდონიშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაიბჭებდა გამომცემლობა „მერიისანი“

გარეუანის პირველ გვერდზე ელენე ახვლედიანის ნახატი

№ 1, (66), 2024



შიდაარსი

გაყვალა გონიველი – 65

2. მილოცვა

მხატვრული ლიტერატურა

4. ვარდა რაინა. ყოფნა, – არყოფნა – თუ,
არის – ახლა?...!... ლექსი.

5. ვანო ჩებივაძე. ჭოტები. მოთხოვბა

23. გიორგი გიგაური. ლექსები.

27. ლანა მანვალი. სად არის ბედნიერება.
რომანი

33. თამარ კოლელიშვილი. ლექსები

35. ლიანა ვეტონიძე. იქ, სადაც ღმერთები
მეფობენ. მოთხოვბა

42. გიგა ტუხიშვილი. ლექსები

44. ნინო ხალაძე. მწყემსი ქალი მარიშკა.
მოთხოვბა

პავავებისთვის საკითხავი

47. მაია დიაკონიძე. ზღაპრები

კოეფისა და მამულიშვილის გახსენება

49. სოსო ჩეუგიანიშვილი. ლექსები

თარგმანი

51. სარა ტისლეილი. ლექსები. თარგმნა
ოთარ ცისკაძემ

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

52. როინ ჭიათაძე. სიტყვის ძალმოსილება
დავით შემოქმედელის პოეტურ საუფლოში

55. ზალ პოტკოვალი. ზოგი რამ ქართული
მწერლობის ავთანდილზე

60. ნანა რჩეულიშვილი. გურამ რჩეულიშვილის
ლიტერატურული შეხედულებები

იმადისმომცევი თაობა მოდის

63. მაია გვირია. გოგონა მეშვიდე კლასიდან



1



ოლე, №1, 2024

№ 1, (66), 2024

დარტი
ია

დარტი
ია

გამოლის სამთხვევი ქართული



„ოლეს“ ლიტერატურული ქართული





სულით და შემოქმედებით გასხივოსნებული

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ გულმეურვალედ და უსაზღვრო სიყვარულით მიესალმება საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მედროშეს, სახელოვან პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს – მაყვალა გონაშვილს და ულოცავს დაბადების 65 და შემოქმედებით მოღვაწეობის 45 წლისთაგას.

გასაოცარია, თანამედროვე, – დიდგორისა და შამქორის ომში მისი თავგანწირული ბრძოლა – უხმლოდ და უფაროდ, მაგრამ... ლვთის მადლითა და სულიერი სიდიადით.

გენიალური რუსთაველის ჯიშსა და ჯილაგს უსურვებთ – თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, სახალხო საქართველოში, ლამაზ წელთა სიმრავლეს, ახალ, შემოქმედებით გამარჯვებასა და ქედუხრელ შემართებას, – ერის, ქვეყნის, შემოქმედებითი ლაშქრის სახელოვანი წინსვლისათვის.

მთავარი ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“

P. S.

მაყვალა გონაშვილი 25 პოეტური კრებულის, საბავშვო წიგნებისა და პიესების ავტორია.

მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა ენებზე, არის, არაერთი, საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე და ლურეატი. მუშაობდა

საქართველოს ტელევიზიაში რედაქტორად. 1989 წლიდან იყო ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია „გულანის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ინგლისურენოვანი საყმანშვილო გაზეთ „ჰელოუ ბების“ დამარსებელი და რედაქტორი.

მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდგრად. 2004 წლიდან არჩეულია საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. თანამედროვე ქართულ პოეზიაში შეტანილი დიდი წელილისათვის 2021 წელს დაჯილდოვდა შოთა რუსთაველისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიებით.

* * *

ძვირფასო მკითხველო, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ, ფარნარაინამ (ფარნაოზ რაინაულმა) ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი ეპიზოდი მინდა შემოგთავაზო.

წლების მანძილზე, საყვედურს ვეღარ ავუდიოდი ახლობლებისა და მეგობრებისაგან, რომ გამომეცა წიგნები, (25 წიგნი, – კლასიკა, აქედან – 4 ტომი რჩეული და კატრენების ტრილოგია, რომელზეც ოცდათი წელი ვმუშაობდი, ასევე, ერთი – საბავშვო ლექსების კრებული) თანაც, მაშინ, როცა – გამოცემაში დახმარებას მითვლიდნენ გიორგი ლეონიძე, არჩილ სულაკაური და მორის ფოცხიშვილი. (ერთი წიგნი კი გამოიცა არჩილ სულაკაურის წინასიტყვაობით, – „თუშური მოზაიკა“) პერიოდულად კი



ქვეყნდებოდა, – ცალკე ლექსებად, ან – ციკლებად რესპუბლიკის უურნალებსა და გაზეთებში.

და, აი, ბოლო-ბოლო, გადაიღახა ლოდინის რუ-ბიკონი, – ამ ცხოვრების სიღუბჭირის უამს გამოჩნ-და ლეთისნერი, ჭეშმარიტი ეროვნული ადამიანი, – თელავის მერი – ლევან ანდრიაშვილი, რომელ-მაც დააფინანსა კატრენების ტრილოგიის პირვე-ლი ტომის გამოცემა. ახლო წრეში დაიწყო იმაზე ფიქრი, ვინ უნდა ყოფილიყო რედაქტორი; ზოგმა, ვინ შემომთავაზა, ზოგმა – ვინ... მე მაყვალა გონაშ-ვილი ვირჩიე. ტელეფონით დავურეკე და... სულის რა საოცარი სიღიადე ვიხილე, – უყოფმანოდ მომ-აგება: „პატონო ფარნა, თქვენი ნიგნის რედაქტო-რობა ჩემთვის დიდი პატივია“ ... მე, ეს პასაჟი ჩემი თავმოწონებისათვის კი არ ჩავრთე, არამედ, ამ, რამოდენიმე სიტყვიდანაც რაოდენ, ელვარედ ჩანს დიადი, სულიერი სამყაროს სივრცე.

რამხელა ბედნიერებაა, რომ... ამ, უჟამო უამს, ეს, – სხივმოსილი და მადლმოსილი, ალამდარი, იობის მოთმენით ხელმძღვანელობს ერისა და ქვეყ-ნის შემოქმედებით ლაშქარს.

დადგება დრო... და... ქვეყნაში დალაგდება ყველაფერი, – დროის სასწორზე დაიდება თანა-მედროვეთა ავიცა და კარგიც და... მაშინ, უფრო, ნათლად წარმოჩნდება მაყვალა გონაშვილის დვთაე-ბრივი ნალვანი ეროვნული სულის გადასარჩენად.

ჩვენს ამაგდარ, ღვანელმოსილ შემოქმედს ვუ-ლოცავ 65 გასხივოსნებას, ვუსურვებ მაგიურ გამ-ძლეობას, ღვთაებრივ რუდუნებას და... კვლავაც – ულამაზესი, უსათნოესი, უკეთილმობილესი სულის განფენას შემოქმედებასა და... სამოღვაწეო არეალ-ში.

რამოდენიმე სხივსტრიქონი მინდა შემოგ-თავაზოთ იუბილარის უნათლესი, მზეჩაუვალი შემოქმედებიდან...

„ჯერ, ასჯერ მაინც, უნდა წაიქცე, რომ, ერთხელ მაინც, ზეცად ამაღლდე“...

„ჯერ, უნდა შურის ჯვარზე გაგაკრან, რომ... დაგინახონ და... მოგინატრონ“...

„ცაში ლაღად ფრენის ფასი, ფრთებდაჭრილმა იცის“...

„შენც, ისე უნდა გაექცე პატივს. როგორც – დაღლილი ნაზარეველი“...

„და, თუკი, მაინც, კვლავ, დაგჭირდები, შეტრუსე ჩემი ლამაზი თმები“...

„ერთხელ მოვსულვართ ამ ქვეყანაზე, ღმერთმა გვიბოძა გზა – ერთი ციდა, წამი არ გვრჩება – სიყვარულისთვის, სიძულვილისთვის – რამდენიც გინდა“...

„გველი მეხვევა, – მსურხარო, ეშმა მიცინის – და ხარო, მინა ხარ, მინად იქცევა, ამაოდ ფიქრობ, ცა ხარო. მეფე მიბრძანებს – იყუჩე!.. ერი მომძახის – სად ხარო?.. უნდა: დაჭრილმაც ვიმლერო, მტერი, რომ... არ ვახარხარო. მე, მარტომ, უნდა ვიყეფო, თავი ქვას, მარტომ, ვახალო, ვაი, შენ, ჩემო ჭრილობავ, მარად ძველო და... ახალო...“

ერთხელ, კიდევ, ვულოცავთ 65 გამარჯვება-სა და გასხივოსნებას დიად შემოქმედს, მოძღვარს, ალამდარს, ვუსურვებთ მეტ ძალისხმევას, ქედუ-რელობას, ქართული მწერლობის გადარჩენისა და ალორძინებისათვის.

ფარნა რაინა



ვარნა რაინა

ყოფნა, – არყოფნა –

თუ, არის –

ახლა?!

(გამოუქვეყნებელი ღერძი, – პოეტური არქივიდან)

4



რომ... არ გვყოლოდა –
დაადი შოთა,
რომ... არ გვყოლოდი,
დიადო, დავით,
მაშინ, გვენახა:
ნუხილიც, შფოთვაც,
როთ მოგვეწონა
ქართველებს – თავი?!

რომ... არ გვყოლოდა –
ბესიკი, – ჩანგით,
რომ... არ გვყოლოდა –
დიადი ტატო,
რომ... მოსდებოდა
მზეკალმებს – უანგი,
რა გვექნა?!... უფრო,
ზესვლას, რომ... ვნატრობთ?!

ვამაყობთ, რომ გვყავს –
ბრძენი ილია,
ვამაყობთ, რომ გვყავს –
აკაკი, – ბრძენი...
უმათოდ,
ყოფნის სიბრძნე –
ილია, –
ჩვენ,
მათით ვზარდეთ:
ასულნი, ძენი...

რა გვექნა, რომ არ –
გვყოლოდა ვაუა?!, –
ქართული გენის
დადება, ვაძ!..
რა გვექნა, რომ არ –
გვყოლოდა გოგლა?!, –
ქართული სულის:
ბუხუნი, ბორგვა!..

ავზევდებოდით, ჩვენ –
ასე, განა?!.
რით გაგეოთენა –
დამის ულრანი?!.
რომ... არ გვყოლოდა –
სხივსავსე გალა?!.
რომ... არ გვყოლოდა –
დიდი მუხრანი?!.
დასაბამიდან, –
ღირსება ცდილობს –
სანთელ-სახელი
ბრწყინავდეს –

ბევრი...
ვის უნდა:
ვგავდეთ –
მინავლულ ცვილობს?!.
დადგეს უკუნი –
ერის და...
ბერი?!

ელვარე ნათელს,
ხან, რატომ ვკეტავთ?!.
ჩვენ, ჩვენი თავის,
რატომ ვართ – მტერი?!.
რად გვავიწყდება?!.
არ ვიცი, ნეტავ?!.
მწერალი როა –
მოძლვარი – ერის...

ვით შევწევდებოდით –
ზე – სახელს, –
დიადს?!.
მე, დღეს განცდა,
ფიქრის ცეცხლს –
მაშლის...
მწერლობა, ახლა,
სადღაც, რომ –
გდია,
რა ვიქნებოდით –
უმათოდ, –
მაშინ?!

P.S. 1
დღეს, უგულობა –
მეუღრად
დადის...
მკლავს:
მწერელი განცდა, –
ფიქრი და...
დარდი!..

P.S. 2
რად გვქონდეს თავი –
ქვაზე სახალი?!.
ხომ, გვინდა –
დროც და...
სიბრძნეც, – ახალი?!

P.S. 3
რატომ ვაქციოთ:
ნათელი –
ბუნდად?!



ვარნა რაინა

ჩვენ, ხვალეს,
დღესვე ვხედავდეთ, –
უნდა!..

P.S. 4
ყოფნა, – არყოფნა
თუ, არის –
ახლა?!.
დრო რად ვაქციოთ –
სინდისის –
დახლად?!

P.S. 5
ჩვენ, უნდა –
გლოვის დავუდგათ –
ტაბლა,
მომავალს ერის,
ვინც დასცემს –
დაბლა!..

P.S. 6
მიჯრით მივკვალავთ –
ფრიალო ალმართს...
თუ, გვსურს: გადავრჩეთ,
ვიაროთ – წალმა!..

P.S. 7
გაქრობის,
რომ... არ დაგვეცეს –
გუნდა,
როგორც, არასდროს,
დავფიქრდეთ, –
უნდა!..

P.S. 8
გზა არის: ორი, –
ერთია – ღმერთის...
არჩევანია, დღეს:
მხოლოდ,
ერთის!!!..




20. I. 2012

თელავი

ვანო ჩხილვაძე

თემა: მომზადების მისამართი



ვანო ჩხილვაძე

ი. ა.

სესხი, ახლა ფოსტით წერ-ილებს ერთმანეთს ვიღა უგზა-ვნის!

აღარც მტრედები მოაფრი-ალებენ ფეხზე შექმულ მოკითხ-ვის ბარათებს და ლარიბდება ეპისტოლური მემკვიდრეობა.

ლარიბდება კი არა, მთხ-ლებება დასული!

ნინასაახალწლოდ, ბავშვებს თუ გაახსენდებათ საწერ-კალამი, ლაპლანდიელ ბერიკაცს კეთილი სურვილები და ასახდენი ნატვრების ჩამონათვა-ლი რომ აახლონ.

ისე, მიწერ-მოწერის „ჩამნაცვლებელ“, ყურის ბიბილოს ჩაფრენილ მობილურებსაც რა გაძლე-ბა და მოთმინება აქვთ, რასაც ესენი, ბრმა-ყრუ ბაიყუშებივით ისმენენ და ყურიდან ყურში ატ-არებენ...

სიმწიფე შეეპარა მტევანს, ჩაიარა სექტემ-ბერმა, ლამის ჩათავდეს ოქტომბერიც – ნარპენი, წაბლისფერი ცხენი ხელებში ჩამჭიხვინებს, მარ-ქაფა ულაყივით მომდგარ ნოემბერს რომ გადამ-აპაროს...

სიმწიფე მხოლოდ მტევანს კი არა, ჩვენც „შეგვეპარა“ და რა ვქნათ, გადაჭრელებულ შე-მოდგომის „გაზაფხულს“ ძველებური, შეყვარე-ბული თვალებით ვეღარ შევხედავთ.

ფანჯრიდან ფოთოლცვენა მომჩერებია... ხელმოჩრდილებული მათვალიერებს... ვეცნობი და აღარც ვეცნობი... დრო-უამბა გაგვაუცხოვა, კალენდარზე თავისას მიერეკება, მისთვის სულ ერთია ფოთოლი და ადამიანი, ერთი დღეც იქნება

ფანჯრიდან ფოთოლცვენა მომჩერებია... ხელ-ლ მოჩრდილებული მათვალიერებს... ვეწნობი და ალარჯ ვერ-ნობი... დრო-უამბა გაგვაუცხოვა, კალენდარზე თავისას მიერეკება, მისთვის სულ ერთია ფოთოლი და ადამიანი, ერთი დღეც იქნება!

ვ. ჩხილვაძე

5



ზოგიერთი

– ჩამოგიქროლებს და თან გაგი-ყოლებს... ეგრეა, შენი „შემოდ-გომა“, შეიძლება, შუა ზამთარში ანდა სიცხით გათანგულ აგვის-ტოში მოგაყენოს, ნება მისია!

გავაძი, ძალიან გავაძი, ეგებ სჯობდა, გაჭიანურებული ლაილაით ფურცელი არ შემეწინებინა, სათქმელი მობილურის წისქილზე ჩამომეფქვა და ქა-რისთვის გამეტანებინა?!

ზარალობს დღესდღეო-ბით ეპისტოლური მემკვიდრეო-ბა-მეთქე!

ბარათით „ნახვის ნატვრით“ მოკითხვას რომ თავი გავანებოთ, ჩემი მოწყალეო ბატონო, აბა წარმოვიდგინოთ, ავთანდილს თავისი „ანდერძი“ მობილურით რომ ეახლებინა როსტევანისთვის, ანდა, ნესტან-დარუჯანს, ყველა დროის შეყვარე-ბულთა „სავიზიტო ბარათი“, „წიგნი მიწერილი...“ ყურმილით ჩაეჩურჩულებინა ველად გაჭრილი მიჯნურისათვის!

მაშ, უფალმა არ დაგვიფარა, თავბრუდამხ-ვევი ტექნილოგიების სასწაულის წყალობით ასე რომ არ მოხდა?

დაგვიფარა და ხან ხელში აყვანილი, ხანაც ხელჩაუიდებული გვატარა ისტორიის გაუვალ ვი-ნორებში!..

არა მგონია, ან ახლა გვიგანოს და მხოლოდ ჩვენი თავის ამარა მიგვატოვოს...

სესხი, ყველაზე წყალუხვ მთის მდინარე-საც კი თავისი პატარაობა აქვს, სადღაც, კლდის ძირში გამოჟონილი, ვიდრე აჩუხჩუდება, ფეხ-ის ადგმას ცდილობს, დაღმართზე მოწანწკარე წვრილ-წვრილ კენჭებსაც კი ძლივს ფარავს.





თანდათან მოლონიერდება, ჩახრამავს მიწას, თავის სარგო კალაპოტს გაჭრის და მერე სხვებიც აედევნებიან, გვერდებიდან მიუცუცქდებიან, შეუღიტინებენ, „ილლიებში“ შეუძვრებიან, შეერვიან, უფრო გააბევრებენ... ზოგი დაანმინდავებს, ზოგიც აამღვრევს.

რას იზამ, ჩვენი არ იყოს, ესეც ცხოვრებაა, მდინარის ცხოვრება!

ბოლო ხანებში დამჩემდა:

შეუღამისას გამეღვიძება, ნამომჯდარი საწოლის თავს ავეყუდები და ვზიგარ უძილობის ფულუროში თვალებდაჭყეტილი ჭოტივით. ირგვლივ ჩრდილები ირევიან, ცა კი ისეა ჩამუქებული, თითქოს გათენებას არც აპირებს.

ბებერმა ჭოტმა იცის, „იქით“ უფროა, ვიდრე – „აქეთ“ და ხანდახან თუ ფრთხებს მოიმყუდროვებს, შეფართხუნდება და უკუნს გაპეივის, ვინმეს გულის გადასატრიიალებლად კი არა, საკუთარ შიშს აფრთხობს.

შიში კი, შენც კარგად იცი, ჩვენი დღეგანდელობის პირქუშ, დაუნდობელ უღრანში, რამდენია და რამდენნაირი!

არ ვიცი, ამ შიშებს ჭოტი როგორ და როდემდე გაუძლებდა, გვერდით მყოფი მეორეც რომ არ ეხუხებოდეს და გზააბნეულ იმედების ნაღვერდალს გასაღვივებლად სულს არ უბერავდნენ.

მეც ფულუროში ვზივარ და ძალიან თუ მომენტინება, აღმა, ჩემი სათავისკენ შევუყვები „კალაპოტს“.

ძველ ჩანაწერებს მაშინდელი სურნელი აქამდე მოჰყებათ.

თავს ჩავრგავ და გაცოცხლებული ხილვების უჩინარ ყვავილებს ხარბად ვყნოსავ:

რაფაზე დაყრდნობილს, დანიელ დეფოს სათავგადასავლო რომანს ჩაჩრებულს, ფანჯრის ეკრანი დამყურებს.

ეკრანზე ღობესთან მომდგარი ხილის ბალი მოჩანს.

შემოდგომის თამამი, ზენა და ქვენა ქარი შრიალის ხმას ერთბაშად მოწყვეტს დარხეულ ტოტებს და მზის შუქზე ახასხასბული ფოთოლი, ფრიალ-ფრიალით ძირს დაეშვება, ბალში დაფენილ, ჯერ კიდევ ლორთქო სიმწვანის სარჩულზე ნაირ-ნაირ, ფერად კოპლებად მიმოიბევა.

თვალს მტაცებდა, ვტკპებოდი ფერების დღესასწაულით და ვიღას ახსოვდა უკაცრიელ კუნძულზე გარიყული რობინზონი: შემოდგომის პალიტრა, ღობეების კულისებში მოქცეულ სცენაზე გათამამებული ზეიმი მეძახდა, თავისკენ მეწეოდა, რომ ამ ყველაფრის შემოქმედისთვის მუხლი მომეყარა და მოწინებით თავი მომედრი-

კა.

ფურცელმა სულ რამდენიმე სიტყვიანი წინადადება შემოინახა მოსწავლის ცალხაზიანი რვეულის ბოლო გვერდზე მიწერილი, ახლა წყლიდან ამომხტარი ლიფსიტავით, წამიერად ჰაერში რომ ასხმარტალდა:

„ფანჯარასთან ვზივარ და ოქტომბრის ბალს გაგურუებ“.

გაიღო თვალისმომჭრელი, ჯადოსნური ხსოვნის ზარდაბშა, ხელახლა გათამაშდა ხელ-კალათანი გოგოს მაშინდელი მონოსპექტაკლი, ხეების ძირში ჩამოცვენილ, ფოთლებში მიმაღულ ლოყანითელ ვაშლს რომ აგროვებდა.

ცალხაზიან ფურცელზე გოგოზე არაფერია ნათქვამი, მხოლოდ მოგვიანებით, პირველი სტრიქონების შეკონინებას რომ ვცდილობდი, მაშინ შემახსენა თავი:

„პატარა გოგოს აედევნა

პატარა ქარი,

მუხლისთავებზე

მერამდენედ აცოცებს კაბას,

ვიღაცას ფრთხილად

გაურბის თვალი

და წყრება ქარი:

– აბა! აბა!..“

ის „ვიღაც“, ალბათ, მე ვიყავი!

სად არის ახლა ხელკალათიანი სოფლის „მადონა“, ანდა მაშინდელი ქარი, ხეები რომ დააშიშვლა და მუხლისთავებზე კაბა „ააცოცა?“

ნიავნანწალამ სამუდამოდ გადაიქროლა.

გოგოც წავიდა.

აავსო კალათა და თვალს მიეფარა.

მოიწყინა გაკრეფილმა ბებერმა ბაღმა!..

სეხნი, არ დამიჯერებ და, ჩემი იმდროინდელი, აჩქარებული გულისცემა ისევ ჩამესმა, როგორც ფორტეპიანოზე შემოდგმული მეტრონომის ხმა ანდა ონკანის სატუჩეს მოწყვეტილი წვეთის წეაჟუნი.

მერე ჩამოიბურა ეკრანი, დადგა ზამთრის ანტრაქტი – დაშვებული თოვლის ფარდა აეფარა გასახედ-გამოსახედს.

აყეფდა, აგნიასდა სიცივე, ყინვამ გამოაჩინა ჯადოქრის ვერცხლისფერი ღრჯოლები – ჩამოგრძელდნენ კრამიტებზე ლოლოები და გადაიქარგა შუშებიც ყინულის ყვავილებით.

ალარ გამოჩნდა ალარაფერი.

ანდა, რაღა იყო დასანახი – ყველგან ერთფეროვანი, თვალისმომჭრელი სითეთრე გამეფდა!

სიჩუმეს, ზოგჯერ თოვლის ხრაშუნის ხმა ხერხავდა.



ხშირი თოვა კვალის დაფარვას ცდილობდა, უცემ შლიდა აცაბაცა მიმავალი ნაფეხურების მრავალწერტილებს.

გვესტუმრა ერთ ასეთ საღამოს მეზობელი, გამარჯობათ, ცალყბად მოგვიგდო, შეცონტული ხელების ფშვნეტით ღუმელს მიუჯდა და სიმხურვალეს მიეფიცხა.

ზის. ზის.

ჯერ არაფერს ამბობს, მხოლოდ დროდადრო, ვაჲ, კაცო, გაჲკრავს ერთმანეთს ხელისგულებს.

ეს არის და ეს!

ალბათ, ელოდება, როდის ჩავეკითხებით, ხმა ამოლე, რამ აგაფორიაქა, აღარ უნდა ამოთქაო?!

არა!

აქეთ ჩვენ გავეერპდით, არ ვიმჩნევთ, ვითომ, სულაც არ გვაინტერესებს, რის სათქმელად მოქანდა, დაყუმებულ სოფელში რამ გააკვირვა და განაცვიფრა, ეს დროული კაცი.

ბოლოს, ისევ მამაჩემმა „შეიბრალა“, რა მოხდა, ამოლერლეო!

თავში ქვას კი არ ვიხლი, ამოვლერლავ, მაშრას ვიზამო?

- ეხლა პირდაპირ თავმჯდომარისგან მოვდივარ...

- მერე, რა ბრძანა, კოლექტივს ხომ არ შლიანო?

- კოლექტივს კი არა, და... შინაურები ქალაქში ჰყავს გაგზავნილი და მარტოა... რომ დავუძახე, ლენტო-მეთქი, მაშინვე გამომეხმაურა, შემო, რომელი ხარო!.. მეც შევედი და რას ვერდავ, მიმჯდარა „ფეჩთან“, წინ, „ტაბურეტკაზე“, პურჩაყრილი მაწონი უდგას და მიირთმევს...

მცირე პაუზის შემდეგ დააყოლა:

- ჩვენებურად, გლეხურად, საწყლურად, - თან მამაჩემს გამომცდელი თვალებით უყურებს.

- გასაგებია, მიირთმევს... მერე?

- სხვა არაფერსა, მარტო მაწონსა, ჩვენებურადა, გლეხურადა-მეთქი!

- გავიგე!.. კაი მაწონს რა სჯობია! ყოჩაღ, ლენტო, მაწონიც ჰყავარებია, აქამდე მეგონა, მარტო თავის დედისას მიირთმევდა!..

- კაცო, არ გეხუმრები... სამ სოფელს რო აზანზარებს, ქვაც მაგის ხელში როა და კაკალი-ცა... ცარიელ პურსა და მაწონსა... ლაპარაკიც ისე უბრალო, თავმდაბლური, ჩემი თავი დამავინყა... თურმე ისე არა ყოფილა, როგორც ენები გამოაქვთ, თავზე გადასდისო, დღედაღამ შემწვარ-მოხრაკულებშია... როგორი უბრალო, ჩვენნაირი... მაწონზე ხო არ დამეწვევი, მეტს ვერაფერს შემოგთავაზებო...

- ჭიქა არაყიც არ მაოხრიაო!.. რა ქენი, არ დაეწვიე?

არა, რას ამბობო, ხელებს ატატანებს, ცოტა არ იყოს, ნაწყენი მეზობელი – ასეთ საოცრებას ვყვები და ამას რატომ არ უკვირსო.

სტუმარი, თავისი მონაყოლით, მამაჩემს აბაროვორ გააკვირვებდა, მთელი ცხოვრება მაშინ-დელ იერარქიას უდგა კრიჭაში – ერთხელ, მდგომარეობიდან გამოსულმა, რაიკომის მდივანს, თანაც პირველს, თანაც ჩინ-მედლებით მკერდ-დამშვენებულს, თავისივე კაბინეტში, ლამის სკა-მი თავზე დააფშვნა.

ის რაიკომის მდივანიც, სამ სოფელს კი არა, ლამის ნახევარ ქართლს რომ „აზანზარებდა“, შემწვარ-მოხრაკულებს როცა მოიწყენდა, ალბათ, თონის პურჩაგულულ კამეჩის მსუყე მაწონს სიამოვნებით შეექცეოდა ხოლმე.

ნეტავ მაშინ რა დაემართებოდა, ამ ჩვენს გაოცებულ მეზობელს, ესეც რომ დაენახა!

უკეთესი რეკლამა გინდა?

ვინ მოთვლის, რამდენთან მოყვა, რამდენ-ჯერ გაშალა გავეირვებულმა ხელები!

ბიჭის!.. რას ერჩოდა, კაცისთვის მაწვნის დაგემოვნება აღარ უნდა ეცლია?!

სამ სოფელს ჭამდა და, ქილა მაწონი რაღა იყო, საქმედ რომ გაუხადა!

ის ღამეც გაქრა, მაშინდელი განცვიფრებაც და, თავმჯდომარის საჩვენებელი თითით გამოტლებილი მაწვნის ქილაც...

შემოდგომის ბალივით სოფელიც განიძარცვა იმდროინდელებისგან. ისე უჩუმრად წავიდნენ, გაილალნენ წუთისოფლიდან, მათ სახელზე არც სამრეკლოებზე დაურისხებიათ ზარები და მწუხარებისგან არც დედამინა შეტორტმანებულა.

უჩუმრად-მეთქი, როგორც მეზობელი იტყოდა, თავმდაბლურად, ჩვენებურად, გლეხურათა, საწყლურათაც, რა თქმა უნდა, ალაგდნენ, სამუდამო განსასვენებელი ჰპოვეს ჩვენი სოფლის წმინდა გიორგის ფერდაზე.

მხოლოდ ჩემი ხსოვნის ფანჯრის ეკრანის გმირებად დარჩენენ, აქლა თამაშობენ თავიანთ მოკრძალებულ როლებს!

„აღმართზე უფრო ადვილია სიარული თუ თავდალმართზე?“

„აღმართ-დალმართს გააჩნია!“

„არა, მაინც, მაინც?“

„მაგას რა კითხვა უნდა, აღმართზე!“

„ჰოდა, სიცოცხლე აღმართია!“

„დალმართი?“

„რა ვიცი, დალმართისას ვინ რაღას გვაკითხებს!“





მოკლედ, აღმართს ავათავებთ და მერე გვეშველებაო, მაინც ასე სჯერა ჩემს მოსაუბრეს, მაგრამ ავინწყდება, რომ „თავდაღმართში“ აქაური ცოდნა-მადლის საწყაოთი უნდა „მოგვინონონ...“

ჩლახი-კოლას ბიჭა მიტუშას ბიჭი მოკლაო – დაინგრა ზამთრის უბეში განაბული სოფლის მყუდროება.

თავზარდამცემი ელდა ყველა კარის ორი-ჭოში შეძვრა, დაალვიძა, დიდ-პატარა წამოყარა ლოგინებიდან.

აჩქამდა, აფორიაქდა, ახმაურდნენ ორ-ლობები, მანქანის საბურავებით, მილიციის თა-ნამშრომელთა ჩემებით ატკაცუნდა თავწაყინუ-ლი გუბები, მიმდგარ-მოდგარი, ამოძრავებული სოფლის ფეხით გაითელა ახალი თოვლი.

ყველა სოფლის კლუბისკენ მიიჩქაროდა, რომლის ეზოშიც საზარელი დანაშაულის ერთა-დერთი მოწმე, ელექტრობოძზე აქანავებული ნა-თურა დაჰყურებდა გაქელილ თოვლში ჩამკვდარ, მორიალებულ სისხლის გუბეს.

შურს ვიძიებთო, ბდლვინავდნენ, იმუქრე-ბოდნენ, მკერდს მუშტებს უხათქუნებდნენ გარ-დაცვლილის სახლიკაცები.

ზემო უბნიდან დედა მგლის ყმუილივით ხმა-ჩახლეჩილი, ხაოს ამშლელი მოთქმა სოფელს ზა-ფრავდა.

მინა გრილიაო – მიცვალებული დაიკრძალა, დამნაშავე თავის ცოდვიანი დანიანად, სამართ-ალდამცავებს ჩაბარდა.

თანდათან მიინავლა შურისძიების უინი, უკ-ვალოდ ჩაიარა მკერდზე დაბრაგუნებული მუშ-ტების ექმი, მოკლედ, სოფელი ისევ ყოველდღი-ური საზრუნავის ულელში შეება და, როგორც სხვა არაერთი, ეს შემთხვევაც მძიმე მოგონე-ბების არქეივს ჩაბარდა.

რამდენიმე თვის მერე, ქალაქში მიმავალი სარეისო ავტობუსის გაჩერებაზე, ძელსკამზე ჩამომჯდარი, ძაძებიანი ქალი, სალაყბოზე შეკრებილი კაცებისაკენ დამწუხრებული კი არა, გაბოროტებული, ცხვირკაუჭა მტაცებელი ფრინ-ველივით იყურებოდა, თან კალთაში, შუაზე გა-დატეხილი, ახალშემოსული მზესუმზირის მოზ-რდილი თავი ედო და გამალებული მარცვლებს „კენკავდა“.

შავი კაბის გულისპირზე, თეთრ წერტილე-ბად დაფენილ ჩენჩის, ხელის ნებს ჩამოჰკრავდა ხოლმე, ჩამოიბერტყავდა და ისევ აგრძელებდა მარცვლების დაფქვას.

ვიღაცამ თქვა, როგორც იქნა, დაინიშნა სა-სამართლო, დღეს გამოაქვთ საბოლოო განაჩე-ნი და პროცესზე დასასწრებად მიდიან ჭირისუ-

ფლებიო.

– მენი ამათ ჭირისუფლობას დავაყარე! – დაძრულ ავტობუსს ქოქოლა მიაყარა ბებიაჩემმა, – შვილმკვდარ, მწუხარე ქალს, რომ არ შერცხვე-ბა, იკადრებს და ხალხი „სემიჩკას“ აკანუნებს, რა უნდა ველაპარაკო!.. გაგონილა ასეთი რამე, მაშ ქვეყანა არ გადაბრუნდა?

ეჰ, ცხონებული ოლა, დღევანდელ „ქვეყნის გადაბრუნებას“ რომ მოსწრებოდა, ნეტავ ახლა რაღას იტყოდა!

რაც შეეხება სასამართლოს, მკვლელს რამ-დენიმე წელიწადი პატიმრობა აკმარეს. ალბათ, დახვრეტავდნენ, მაგრამ, როგორც გამოძიე-ბამ დადგინა, თურმე ნასკამი კოლმეურნეო-ბის ბრიგადირი, ჩლახი-კოლას ბიჭს იარაღით გამოეკიდა და ამანაც თავდაცვის მიზნით დანა იხმარა.

რამდენჯერმე სასხლეტგამოკრული იარაღი მსხვერპლს პალტოს ჯიბეში უპოვნეს.

რევოლვერი არ გაეარდა.

ნივთმტკიცებამ დამნაშავეს სასჯელი შეუმ-სუბუქა...

ციხიდან გამოსულმა, ერთ საღამოს შინ შე-მოგვიარა.

ნაციხარი სულ სხვაგვარად წარმომედგინა – სასტიკი გამომტყველებით, პირქუში პირისახით, მრისხანე თვალებით და სახელოში შემალული სისხლიანი დანით.

ის კი, ერთი ჩლარტიანი, გამხდარი, ნატანჯი სახის კაცი გამოდგა, შეხედვისთანავე, სიბრალუ-ლის, შეცოდების გრძნობას რომ აღძრავდა.

როცა შეთვრა, ცრემლები წამოუვიდა:

– რა ვქნა, დეიდაჩემო, იმ უბედურმა ძალით შემომაცალა თავი, არხისპირიდან სახლამდე იარ-ალამოლებულმა მდია... მეც ამერია გონება, გა-მოვიტანე ღორის დასაკლავი დანა და...

პირთან მიტანილი ჭიქა ისევ მაგიდაზე დად-გა, მოგვიბოდიშა, შეგანუხეთო, ეჰ, ჩემი დამ-წვარი იღბლისა რა ვთქვიო, ხელი ჩაიქნია და სახლიდან ჩალუსკუმებულ შუალამეში გაალავა.

გასულს, ბებიაჩემმა ლოცვა გააყოლა, სას-ჯელი მოიხადა, მაგრამ ჩადენილი ცოდვა მაინც სტანჯავსო.

ოლა კერპი, გაუტეხელი, სამართლიანი ქალი იყო.

შებინდებულზე, შინ მისვლას რომ დავაგვი-ანებდი, ღობეს ორ-სამ მტკაველიან ჩინჩხვარს გამოატეხავდა, კუტი-კარს გამოიხურავდა, ეზო-ში საქონელი არ შევიდესო და დამუქრებული, ეტყობა სახლის გზა ველარ გამოიგნოო, მოსა-ძებნად მოდიოდა.





იმ წევპლას დასაშინებლად მოაქნევდა, თორებ არ მახსოვეს, მუქარა აესრულებინა და ჩემთვის, კანჭებში, ერთხელ მაინც, შემოერტყას.

ნეტავი შენც მოგცლია, რას დაეძებ, დაიკარგოს და დაიკარგოს, გაეხუმრებოდა ვიღაც.

ოლა ხუმრობით ნათქვამსაც ვერ იტანდა:

რას ჰქვია დაიკარგოს, თქვენი არ ვიცი და ჩვენ დასაკარგი და გადასაგდები არავინა გვყავსო.

მიპოვნიდა, სოფლის წყაროსთან გაოფლილ პირს მომბანდა, ხელს ღონივრად მომისვამდა, ყელზე, კისერზე, სახეზე, თითქოს ამით ჯავრს იყრიდა, მერე წინსაფრის ბოლოთი შემამშრალებდა და შინისკენ წამიყენდა.

ერთად მოსიარულე განუყრელ წყვილს ცალ-ცალკე თუ ვერახავდნენ, ჩემთან იმას კითხულობდნენ, ბაბი როგორა გყავს, ხომ არ გაბრაზებსო, იმას შეხვდებოდნენ და – ბიჭი რა უყავი, ბიჭიო.

ლამეც ერთად ვიწექით.

კედლისკენ მე დამაწვენდა, ძირს არ გადამივარდესო.

თუ ვერ ვიძინებდი და შამფურივით ვტრიალებდი, გამინტურებოდა, თვალები როდემდე უნდა გეჭყიტოს, ჭოტად ხომ არ იქციო.

მაშ მართალი არ გამოდგა?

ჭოტად რომ არ ვქცეულიყავი, ახლა უძილობის ფულურობი ვიჯდებოდი?

შუბლისკენ გამოზუზუნებული გორიოხივით მახსენდება ბავშვობაში, მეზობელი, რაღაცაზე ალესილი ქალის წყველა – ისემც ყოფილა, ჩემ შემდეგ, ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილაო!

გული როგორც უნდა მოსვლოდა, ოლა, ამას, არათუ ხმამალლა არ იტყოდა, ფიქრშიც კი არ გაივლებდა.

იმის კალთაში გაზრდილი ვარ და არც ჩემთვის არის სულ ერთი, მერე რა იქნება!

ეგრე რომ არ იყოს, რაღა მექნებოდა შენთან მოსაწერი და გულის მოსაოხებელი!

ადამიანად გაჩენას რად წუნობდა, პოეტმა რომ ინატრა, „რატომ არ მოვედ წვიმადო!“ ზოგჯერ კაცთა ნამოქმედარით გულგატეხილებს, განა ჩვენ კი არ გვიფიქრია, მეექვსე დღეს, თიხი-სათვის ადამიანის სულის შთაპერვა ხომ არ არის ღმერთის ერთადერთი შეცდომაო?!

ფუი ეშმაქს – ამ მერეზელობისათვის ოლას წევპლა ნამდვილად არ ამცდებოდა, მაგრამ...

დამღალა, სეხნი, საკუთარ თავთან ჭიდილმა!

ჩემ წინ ვიღაც რწევა-რწევით მიდის, ისე მიაქს ნაპატიები ლიპი, თითქოს შიშობს გაპიპინებული ფეხიანი ჭიქების ლანგარი ძირს არ

დაუვარდეს.

მკლავებიც, მოძრაობის კვალობაზე, ნავის ხოფებივით უკან გამოექცევა ხოლმე და „უსვამს“ დილის ჰაერს, მიაცურებს ვებერთელა სხეულს.

უნდა ნახო, სახეემაყოფილი, მოუუუნე თვალებში სხივჩამდგარი „ნეტარი“, „ფეხებზე მკიდიას“ იშვიათი ნიმუში!.. ვუყურებ ხალხმრავალ ტროტუარზე მის ნებიერ მსვლელობას და მოდი ნუ შეგმურდება – ერთხელ, სიცოცხლეში ასე უდარდელად, ასეთ ხასიათზე რომ გამატარ-გამომატარა, რაღა მოკლავს!

შენ კიდევ გაგელიმება – შეუძლებელს ნუ შეეპოტინები, აჯობებს, ცოტა ხნით მაინც, თვალი მოატყუო, დაისვენო, სიცოცხლის საფანელი რომ არ გამოგელიოს და ეგ ფულუროც ოხრად არ დაგრჩესო.

მადლობა რჩევისათვის!

ვეცდები გავითვალისწინო...

ისე, აქამდეც რას ვაკეთებდი, ხანდახან თვალი და ზოგჯერ თავიც რომ არ მომეტყუებინა, ან ამ უძილობის ფულურობი ვინ გამაჩერებდა.

„ზომიერების გრძნობამ, ადამიანს, ბევრი თავსატეხი ააცილა!“

„ვისაც აქვს, იმას – კი!“

„მარილმოყრილი მადლიო“, ამბობენ ხოლმე, მაგრამ იქაც ზომიერება გინდა... თუ მარილი ბევრი მოგივიდა, აღარც ის მადლი ივარგებს... მხოლოდ ზომიერება შეგაძლებინებს ემზადო სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისათვის!“

„კაცს, გაუცნობიერებული, მიუწვდომლის შიში რომ არ აკავებდეს, ზომიერებასაც და ზნეობის ამკრძალავ ნიშნებსაც ფეხებზე დაიკიდებდა!“

„ლაგამი მხოლოდ დაოთხილ ცხენს არა სჭირდება, ეგ შიში თუ არ ამოსდე, ალვირახსნილობა მოინელებს ადამიანსაც და სამყაროსაც!..“

„ნახე, თავისთავზე როგორი წარმოდგენა აქვთ – საათს ან წამზომს გამორთავენ, გაყინავენ ციფერბლატზე ისრებს და ამბობენ, დრო გავაჩერეთო.“

„დროს ვინ გააჩერებს!“

„მხოლოდ ის, ვისაც მარადიულობის წამზომი აქვს ჩართული!“

სეხნი, აბა უზენაესის გულში ვინ ჩაგვახედებს, ანდა „აკრძალულთან“ ვიღა მიგვასუნინებს, ერთხელ მიგვიშვეს და მაშინაც...

„წითელი ვაშლი გაგორდა!..“

გაგორდა და მივდევთ, მივდევთ...

თუ ეს მარათონი დასრულდება, მაშინ დროც შეჩერდება!

ღმერთმა არ ქნას!

რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ბედის





მხატვარი სოფიო ჭელიძე

მადლიერები უნდა ვიყოთ, ვინც მოგვავლინა, მუცელი რომ არ მოშალა, სიცოცხლე გვაჩუქა, „მარათონელთა“ მწკრივებს აგვადევნა.

ლომისობას, ხევგალმა, ნაყამირალზე, ნახერით მოფენილ, სახელდახელო ველურ საჭიდაოზე, დახტა-დუბარ, დახტა-დუბარ, დახტა-დუბარ, აბრაგუნდებოდა დოლი და აჭყვიტინდებოდა ზურნა.

რომელი სანახაობებით ჩვენ ვიყავით განებივრებულები, აიშლებოდა ოჯახებში გაშლილი სუფრა, დაიძრებოდა შექეიფიანებული სტუმარ-მასპინძელი, ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, ცოცხალ, მოტორტმანე კედლად შემოევლებოდნენ ნახერზიან მანეუს.

იქვე, შორიახლო, ასაკოვანი კაკლის ჩრდილში გროვდებოდნენ ჭიდაობის მსურველები, ჩოხას ირგებდნენ, შესაძლო მეტოქები ერთმანეთს წინასწარ თვალით ზომავდნენ.

ფალავნებს არც წამქეზებელ-შემგულიანებები აკლდათ:

აი, იმასთანაო, „დაჩინიკებში“ როა ჩამდგარი, თვითონ ყაბულსაა და... ჟო, ქეციხურელთან თუ გახვალ.

გავალ და ნახერხსაც ვალოკინებო.

ხო იცი, შარშან რა გვიყო, ოღონდ მაგის ჯავრი ამოგვყარე და... იცოდე ბიჭო, თამაშ-თამაშში არ აგიყოლიოს, უცებ მოგვერდი იცისო.

ის ქეციხურელი კიდევ – უჩემოდ არ მოიწყინოთ, სულ მალე გეახლებითო, – ლამაზმან „დაჩინიკებს“ თავს დაუკრავდა და გამოფრიალებულ ჩოხას ჰაერშივე დაიჭერდა.

დაწყვილდებოდნენ ფალავნები, დააჭერდა შუადღის მზეც და აჭრიდა სისხლს, ახმიანდებოდა ზურნა-დოლი.

შემოურბენდა ტალანტანთ კოლია საჭიდაოს იფნის სახრით, თან თუ ნაყლაპშიც იყო, უკან დაიწითო, დაუნდობლად დაუნთებდა კანჭებში წინ მდგომებს, ააბორიალებდა ნახერხს და გაცრილი ფქვილივით მტვერს, გნასით, წიოკით მიაწყდებოდნენ წინები უკანებს, ნელა, შე ხელებდასადუნებელო, ხალხი ვართ, ნახირი ხო არაო, ჩამოწყვევლებოდნენ დედაკაცები.

მალე, წრეში, ხელის კვრით პირველ წყვილს შემოყრიდნენ და ვიდრე მსაჯად გამნესებული ბოლრიანთ გიგო მათ გვარ-სახელებს და სადაურობას გაგვაცნობდა, შეიარაქათებდნენ დამკვრელები.

მერე, დაბურთულლოყება მეზურნე ყამიშს მოსინჯავდა, მედოლე კი, ოფლიან კისერში ცხვირსახოცს ჩაიფენდა და, როგორც კი გიგო ხელს აუქნევდა, შენ დაუკაო, დოლის საპირეზე ორი თითის სიგრძე ჯოხით შეწყვეტილ დახტი-დუბარას გააგრძელებდა.

ლობეში გაჭედილი გოჭივით აჭყვიტინდებოდა ზურნაც. თავიდან, ჯერ ბიჭ-ბუჭები მოსინჯავდნენ ძალას, მერე ასაკითაც და აღნაგობითაც წონიანები, სარქენად თავდალუნული ხარებივით, ბლვერა-ბლვერით დაექიმაჩებოდნენ ერთმანეთს.

ერთხელაც, ჭიდაობა რომ მთავრდებოდა და ხალხი დაშლას აპირებდა, წრეში ნასვამი მჭედელი, ხარატიანთ თედო შემოიზლაზნა, გრდემლთან უროს ტრიალით დაკუნთულ მკლავებზე ხალათის სახელოები აიკაპინა, აბა, ვინ იკვეხნით ბიჭობას, დამენახვეთო.

ისიც სულ მალე „დაენახვა“ – გამოუხტა განლიკული თეზიკო, კალიასავით მკვირცხლი, უწყლობით დაჩაგრული ნამყენივით დალეული, თავისზე ზომით დიდ ჩოხაში რომ ლალლალებდა.

თეზიკომ, მჭედელს, როგორც ორ ფეხზე შემდგარ დათვს, ეგრე შემოუცეკვა, ატორტ-





მანებულ თედოს რამდენჯერმე დაუსხლტა, ხელი არ ჩავლებინა და, ბოლოს, თავის ხერხზე მოიგდო: წელში შეუვარდა, თვალი ვერ შევასწარით, გარეკაურით, ზურგზე მოგდებული ამხელა ზვინი როგორ წამოიღო და ფეხებასაგასავებული ნახერხზე გულადმა გაშელართა.

თედომ ღონივრად ამოაბოყინა, დარცხვენილი ძლივს წამოდგა, ერთაშემად გამოფხზულებულმა და გაპრაზებულმა მითხედ-მოიხედა, მეტოქეს ძებნა დაუწყო, მაგრამ ვიღა იყო თეზიკოს თვალის დამკვრელი.

დროს, რა თქმა უნდა, ვერც ჩვენს სოფელში აჩერებდნენ.

ბევრი რამე იშლებოდა სოფლის მეხსიერებიდან, აღარ ახსოვდა. ამ ამბავს კი ვერ იმეტებდა დასავინწყებლად.

რაიმეს გახსენება როცა უნდოდათ, ვიღაც იტყოდა, ეგაო, იმ წელინადს მოხდა, ლომისობას, მჭედელი რომ აპურთავესო.

მართალია, ცოტას ატრიზავებდნენ, თეზიკოს ბეჭდაუდებლის შარავანდედით მოსავდნენ, მაგრამ უჯკნობი დაფინის გვირგვინითაც რომ შეემკოთ, რა დაშავდებოდა, არ იმსახურებდა თუ რა!

ხშირად თვითონაც იქ მყოფი, კმაყოფილი და გაბლენილი უშმენდა მის მაქებ-მადიდებლებს.

თეზიკოს რომ გაიგულებდნენ, ვიღაც მწარე-მწარესაც გამოურევდა, წაექცევინა, თორე, იმ ბაყბაყ დევის მომრევი იყოო?! – სანაცვლოდ, მეორე დღეს, საკვერცხედ მოქცეული დედალი მიუყვანაო.

ეჳ, რას ვიზამთ, ასე ყოფილა და ასე იქნება – უძლო ენამ თუ ანწყვიტა, ვიღა მისი დამჭერი!

უფრო ჭკვიანი, დამჯდარი კაცები კი – თეზიკოს გამარჯვება ქართული ჭიდაობის მაღლის, ფანდებისა და მოხერხებულობის წყალობაო.

ამაზე შორსაც მიდიოდნენ:

გაბედულება და ვაჟუაცობა რომ არა, ჩვენზე მრავალრიცხოვნებს და ღონივრებს ზურგზე ვერ დავდებდითო: აგე, დიდგორი, შამქორი, ბასიანი, ბახტონინი, ასპინძა... ჩამოთვლიდნენ, ფეხზე წამოდგებოდნენ, დალოცავდნენ გამორჩეულ წინაპრებს და სამშობლოს წარსულით მოამაყებს, სახეზე ისეთი ნათელი გადასდომდათ, თითქოს ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის გრძელი გზა სულ ვარდ-ყვავილებით იყო მოფენილი: არც დამარცხებები, არც ღალატი და, სულმდაბალთა წყალობით, ქვეყნის დაცემა-დაქუცმაცება არ ყოფილა.

სუფრასთან მხოლოდ კარგზე საუბრობდნენ, სულ კარგზე ეჭირათ თვალი!

ამ ყველაფერს, თითქოს, თავისთვის კი არა,

პატარების გასაგონად უფრო იხსენებდნენ, შორითაც ტახტზე რომ ვისხედით და უფროსების პურობას თვალს ვადევნებდით.

ალბათ, ასეც იყო, რომ არ ჩაგვეთვლიმა, „ჯიგარი“ გაელვიძებინათ, გაგვეგო, ვინ ვიყავით, საიდან მოვდიოდით და საითკენ უნდა გვევლო.

არაფრით განსაკუთრებული გლეხკაცები, მაგრამ სოფლის კვალობაზე გამორჩეულები, ავკარგიანები, მინაზე მყარად მდგომები...

ეე, სეხნი, უძილობის ფულუროში, ნაირ-ნაირი ფიქრი, რას არ მიედ-მოედება.

ისევ ღრმა აღმასკომ-რაკომობის დროა, თავისუფლების მაუნყებელი ზარისთვის, ჩამოსარეკი თოვი თუ საპელი ჯერ არ ჩამოუბამთ.

ალაზანს გამოლმა, ქიზიყელი კაცის ოჯახში, ადრიანად, ხაშის სუფრას, წინა ლამის ნაბახუსევი „ნატანჯები“, მარილითა და ნიორწყლით შეგემებულ, ჩახარშული ჩლიქებით თავმოდგმულ მათლაფეხს მიუსხდნენ და, ჭიქებში, გუნების გასახსნელად, ორნახადი ჭაჭის ჩამოსხმაც დაიწყეს.

სუფრას, ცენტრიდან მოვლინებული, საპატივცემულო, „ნომენკლატურული“ სტუმარიც უზის.

მერიქიფემ, შესის შაბიამნისფერი ლიტრიანი, დასახმელად რომ დაალირა, სტუმარმა თავის ჭიქას ხელი დააფარა, ხაშს სამოვნებით გეახლებით და, არაყს ვერაო.

უნდა მიირთვათ, ერთმანეთთან გამიჯნურებულ ხაშსა და არაყს ვერ დავაშორებთო.

ხან ხუმრობით, ხან სერიოზულად შეუძახეს, აქეთ-იქიდან ნამუსზე შეაგდეს, მაგრამ ვერ გადაათქმევინეს.

„საპროცედურო“ კამათში, აქამდე ჩუმად მყოფი, სათამადოდ ჭიქაშემართული მასპინძელი ჩაერია:

– აბა ხაში უარაყოდ სად თქმულა და სად გაგონილა, ჯო!.. არაყი არ დააყოლო, იგივეა, დედაკაცი „იმასაქნა“ და ტრ-ზე ხელი არ მოჰკიდო!

ისეთი წყალგაუმტარი არგუმენტი მოუყვანა, რომ სტუმარს რაღა ეთქმოდა, საერთო სიცილ-ხარხაში, სასმისზე დაფარებული ხელი აიღო, ჯანიც გავარდეს, დამისხითო.

ცოლმა კიდევ, ფაშფაშა ქალმა, ქმარს ლამის კისერში წაადო, მორიდება სულ დაკარგე, აღარც გარეული იცი და აღარც შინაური, ანდა „იმასაქნა“ რაღა ჯანდაბაა, თავისი ნამდვილი სახელით გეთქვა, ვითომ კიდევაც რომ გამიკულტურულეო!

უფრო მეტად გამხიარულდა სუფრა, ვიდრე აიშლებოდნენ, სულ „იმასაქნა“, „იმასაქნა“ იძახება.





ამის შემდეგ, დედაქალაქში დაბრუნებულ სტუმარს, სამსახურებრივ საქმეზე რაონბი ვისთანაც არ უნდა დაერეკა, არ შეიძლება მაშინდელი მასპინძელიც არ ეხსენებინა, „იმასაქნა“ როგორ არისო.

ესენიც – მოგიკითხეს დედაქალაქიდან ნახვის ნატვრითა და პირზე კოცნით, „იმასაქნა“ ხაშობა არ გამომაპაროს, შემატყობინეთ და საიმპორტო არაყით მაშინვე მანდ გავჩნდებით.

„იმასაქნა“ მუშტის შუბლზე შემოირტყამდა, რა ჩემი ყველასი მივირთვი, ამათ ყბაში რად ჩავვარდიო.

ვინ აძალებდა, ნუ „მიირთმევდა“, რა იყო საკუუკუბზიკო და მოსარიდებელი, ვინმეს ემცენებოდა, უხამსობაში ჩაუთვლიდნენ თუ კახური ჰაერი არ მოიხდენდა – ამ მეტსახელს ხომ არ წამოკიდებდა!

ყველაფერი ერთმა სიტყვამ ქნა, თორემ მართალი არ იყო? არაყი ისეთი ქვის ნატეხია, ხაშის გარეშეც გაძლებს, ორნახადით გალიცლიცებული, დაკუთხული ასგრამიანი ჭიქით თუ ჯიგარს ჩაიწვავ, ლუკმაც რომ არ მიაყოლო, გამხმარი თევზის კუდის ან მაჯის დაყნოსვასაც იქმარებს, მაგრამ ხაში – ვერა!

„იგეთი“ პრეტენზიულია, თავზე უნდა შემოევლო!..

ვეთანხმები იმ ქიზიყელს, სოფელსა და სახელ-გვარს რომ არ „ვაკონკრეტება!“

გვინია გამიჭირდებოდა, მაგრამ რა საჭიროა, განა „იმასაქნა“ საავტორო უფლებას ან დაპატენტებას თხოულობს, იმას იმეორებს, რასაც მამა-ჰაპიდან მოყოლებული, ლოჭინის ხევს იქით, ალაზანს და იორს გაღმა-გამოღმა ამბობდნენ...

რა ვქნათ, სეხნი, ცოტა თუ არ მოვიმბირულეთ, არ ვიხუმრეთ, კარზე მოყურადებულ მტერ-მოყვარეს მკვდრები ვეგონებით.

მტერს კიდევ არ დავეჩაგვრინებით, მაგრამ გამოღებულ კართან გადამთიელი კი არა, შინაური ძალთაპირი რომ დაგვხვდება, იმას რა მოვუხერხოთ?!

ჩემ ხსოვნაში ისევ თოვს, ისევ დაეშვა ფანჯარაზე ფიფქების ფარდა.

ჩამყუდროვდა ოთახი, გუგულიანი კედლის საათის წიკნიკიც უფრო ხმამაღლა, გამოკვეთილად წვეთავს.

რცხილის შეშით მოგუგუნე ღუმელზე შემოდგმული ჩაიდანი ჯერ წყნარად უსტვენს, მერე თანდათან ბრაზი ერევა, ხმას აუწევს, დროზე გადმომდგითო და გულმუცელში აბორგებული მდუღარე უთახთახებს.

როგორც კი დაბლა ჩამოდგამ, თანდათან სტვენას დაადაბლებს, დამშვიდდება.

ასე სარბენ ბილიზე თვითმფრინავი ეშვება, წყნარდებიან და, ბოლოს სულ დუმდებიან ძრავები.

ნაქარგებიან სუფრაზე, თხელშუშა ჩაის ჭიქაში მორეული კოვზის წყარუნზე, საშაქრეში თეთრი კვინწები ილიმებიან.

სად იყო მაშინ ნუგბარის ასეთი მრავალ-ფეროვნება, ჩვენს ბავშვობას ძუნნად, გამოზოგვით ჩაკანატუნებული შაქრის ნატეხი ატკბობდა.

შეიცვალა კადრი:

ეზოში, ღია დერეფუანში, სიპ ქვაზე შემოდგმული თუჯის მძიმე, ღონიერი ნახშირის უთო, ფერდებზე ცერად გაჭრილ საპაროებიდან ნაკერჩელების თვალებს აკვარკვალებდა.

გამოვიდოდა შინიდან უთოს პატრონი, მაღალი, ლამაზი, დეკრეტიანთ ახალმოყვანილი რძალი.

თეძოზე ხელის ნებდაყრდნობილი, როგორც პოდიუმზე, ეგრე გამოივლიდა დერეფანს, თითქოს თვითონაც იხიბლებოდა შნოიანი ტანის მიმორხევით. გაბურდა თუ არაო, უთოს ძირზე ენის წვერზე დასველებულ თითს დაჰკრავდა, ახლა მეორე ხელს დაბჯენდა თეძოზე და უთოს წინ და უკან გააქან-გამოაქანებდა, უფრო მეტად გაავარვარებდა, გამოაფხიზლებდა ჩათვლემილ ნაკერჩხალს.

იცოდა, ღობეს ისე ვერავინ ჩაუვლიდა, ღრიჭოში თვალი რომ არ შემოეპარებინა, ამიტომ მოღერებულ ყელს ღილინსაც ამოაყოლებდა.

ნამდვილი ანგელოზია, ქაა, თვალები სად ჰქონდა, ან პატრონი არ ჰყავდა, ამ „ლოტოს კოჭს“ როგორ გამოატანესო!

ამ დროს „ლოტოს კოჭი“ სარკესთან პირს იპარსავდა, დედაბოძის ლურსმანზე ბალთით დაკონწიალებულ ქამარზე სამართებელს აფხავებდა და აინუნშიც არ აგდებდა, გამვლელ-გამომვლელთა ცნობისმოყვარე მზერა მის ეზო-კარს თაფლს მისეული ბუზიკით რომ შემობზულდა.

არა, ქალი მართლა, რამ მოხიბლა, დატალ-ლული ქოჩორი მაინცა ჰქონდეს, მაშ ქონებაა ყველაფერი?! ქონებამ უნდა დაგაპრმავოს და შენ შესაფერ სიყვარულს ხელი აუკრა?

პატარძალი სარეცხს გასაუთოვებლად ვიდრე ნამავდა, თანამეცხედრე პარსვას მორჩებოდა, ცხელ წყალში ამოვლებულ და განურულ მიტკლის ნაჭერს სახეზე მიიფენდა, სიცხოვლეს თვალმილულელი გაუტვრინდებოდა და მერე ქაფის ნარჩენებს ჩამოიწმენდდა, ყბებს ახლა ხე-





ლისგულებზე მორიალებული ოდეკოლონით აი-ნვავდა.

ბოლოს, გახრიოკებულ, მზემოკიდებულ საქოჩირებზე ამოზრდილ ორიოდე თმის ღერსაც მიეპარებოდა, რიგრიგობით, წაპ! – მაკატლის წვერით წირვას გამოყენდა.

ახალი რძალი სოფლის ლხინის თვალი იყო – პირველად იმას ჩატამშებოდნენ, იმას გაითხოვდნენ საცეკვაოდ.

ისიც ბევრს ახვენინებდა ვინმეს თუ რა! გაშლილ მელავებს თავზემოთ ისე მორკალავდა, თითქოს გაბადრული, სოფლის სავსე მთვარე უნდა ჩაიხუტოს.

თანდათან, ხელების კვანწით სხვებიც გა-მოგოგმანდებოდნენ, მაგრამ ბიჭები მაინც უფრო ამისკენ მიიღებდნენ; ცდილობდნენ, ბუქ-ნა ბუქნით მის ნინ ამონგერილყვნენ.

იღიმებოდა „ლოტოს კოჭი“, სხვებზე მეტად იწითლებდა ხელისგულებს ტაშისცემით.

დამთავრდებოდა ლხინი, დაიშლებოდნენ, წავიდ-წამოვიდოდნენ.

ესეც წამოიყვანდა და მთელი სოფლის ჯი-ბრზე, თავის ლამაზ ცოლს მელავზე დაიწვენდა...

აპა, წახშირის თუჯის უთომ საიდან სად მოგვიყვანა!

– ეე, ბიჭებო, ჩემო ძვირფასებო, ქალებმა თუ მოინდომეს, საშვილიშვილოდ გადაჰკიდებენ მოსიყვარულე დედმამიშვილებს! ქალები აშენებენ და ანგრევენ ტრადიციულ, პატრიარქალურ ოჯახებს! თუ რამე მნიშვნელოვანი მომხდარა მსოფლიოს ისტორიაში, იშვიათად რომ დედაკაცის მიზეზით არ ყოფილიყოს, ანდა მისი ხელი არ ერიოს! – იტყოდა ხოლმე სოფლის რვანლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებელი, – აგე, რა შორს მივდივართ, ბერძნებმა და ტრიალებმა ქალის გამო არ დაალენეს ერთმანეთს თავპირი?! ეგებ, მტრობის სხვა საბაბიც ცოტა არ ჰქონდათ, მაგრამ მიზეზი ხომ მშვენიერი ელენე გახდა! კაცის „აქილევსის ქუსლიც“ სწორედ ქალია, თორემ, როგორი თვალნარმტაციც არ უნდა ყოფილიყო, აყვავებული ტროას იავარქმნა, ქვეყნის თვალი ჰექტორის და სხვა ვაჟუკაცების დაღუპვად ღირდა?.. იმთავიდან მოყოლებული, ლამაზ ქალს, ნებსითი თუ უნებური ცოდო-ბრალის გამო, ბედი თუ უბედობა ხშირად ფეხდაფეხ მისდევს...

უსმენდნენ შუბლთან ჩატეხილ, გახუნებულ ცილინდრიან სოფლის პედაგოგს და, ალბათ, ზოგიერთი მაინც გულში გაივლებდა, ვინმე თავზეს-ელალებულმა რომ გასტაცის, ეს დაგვალული „ლოტოს კოჭი“ ცოლის დამბრუნებელიაო?!

– რაც შეეხება კაცს, – განაგრძობდა მას-

წავლებელი, – ღმერთის რჩეული „პირველი ვი-ოლინია“, უფლის მოადგილეა დედამიწაზე, მისი თითის აწევას, ზემოთ ნახსენები, მოუთვინიერებელი „ძუ ვეფხვიც“ კი ემორჩილება, რა თქმა უნდა, მე ნამდვილ კაცებზე და ნამდვილ ქალებზე მოგახსენებთ!..

„ნამდვილ ქალებზეო!“ – ჩვენს დუხშირ ყოფაში ნამდვილი ქალისა რაღა შემორჩათ!

ბაზრის გასასვლელთან, ყველა მხრიდან ორპირი რომ უეშუტუნებს, შალით მობურდული, შავად ჩალუსკუმებულ, აქოთებულ თევზის კასრებთან მოტრიალე, ერთ დროს პარისის და ტრისტანის „ნაფერებ“, გაუხეშებულ ხელს, დამარილებულ ხამიაში ურებს, რომ ამონუროს, ცელოფანში ჩაყაროს და კლიენტზე თუ ქვეყნიერებაზე გულმოსულმა სასწორზე დაახეთქოს.

რა ვიცი, იქნებ, ჩვენი სოფლის შებერებული, სილამაზე გახუნებული რძალიც სადღაც ახლომახლოა, როგორც სხვა ყველაფერი, მოძრავი და უძრავი, ადამიანები, ფარდულები, დახლები, მყიდველები და გადამყიდველები, ისიც ბაზარს თავშეფარებულ, ცოცხალ ატრიბუტად ქცეულა და აღარ ახსობს, აღარც სავსე მთვარის ჩასახუტებლად აპყრობილი ხელები, აღარც მასზე მეოცნებეთა თვალები, ყოველდამ ფიქრებში რომ იტაცებდნენ და თავთავის „ტრიაში“ მიჰყავდათ.

მართალია, მისთვის საწოლში ყავა არასოდეს მიურთმევიათ, მაგრამ, უნდა გენახათ, თვითონ „ლოტოს კოჭს“ თავს როგორ დაჰჰურგურებდა, ქალაქში ან დღეობაში, სტუმრად თუ მიდიოდნენ, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს არ ჩაიცვამდა, ქმარი ნამეტანი ტანმორჩილი არ გამოჩნდეს.

მოკლედ, ჩაქრა, ჩაინაცრა გაღვივებული წახშირი!

გაცივდა სადღაც მიგდებული, აბლაბუდებში გახვეული თუჯის უთო!

სოფლის ჯაფამ სინორჩეს და სილამაზეს წაართვა ჰენი.

აღესრულა ისტორიის მასწავლებელი და, იმის შემდეგ, სოფელში შლაპით აღარავის გაუვლია...

ეჱ, სეხნი, როგორ მინდა ახლა ჩემსავით ძილგატეხილი ჭოტი შემომებიანოს და შუალამეს ერთად დავურღვიოთ მყუდროება.

აი ისეთი, თუ საჭირო იქნება, დაღუპული გემის მაშველ ნავში ადგილს სხვას რომ დაუთმობს.

ეგეთს სად ნახავო, მკითხავ.

იყო ერთი ასეთი, იშვიათი „ეგზიტლარი“.

სიონში, თავისი უძილობის ფულუროში, ჩვე-





ნი „ხელობის“ კაცი ბუდობდა.

ვაჟას დილით ან წიგნი ეჭირა, ან ჩვენი მღელვარე ცხოვრების კიდევ უფრო ამფორი-აქებელ, ერთი და იგივე სახეებით აჭრელებულ ყვითელ პრესას ეცნობოდა.

პერიოდიკასთან ზიარება იმით მთავრდებოდა, რომ გაზიერებს „ლოცვა-კურთხევით“ მოაფრიალებდა და ანგილი ნერვების დასამშვიდებლად მოვლილ-დამარმარებულ ბალ-ბოსტანს დასტრიალებდა.

ჭკუის საკითხავ კაცს ნაცნობ-უცნობები ხშირად აკითხავდნენ.

დღისით დამტვრეული ჯავრის საკეტურები ღამით მთელდებოდნენ, ღამე ჰქონდა დარღიანი, უფრო მძიმედ გადასატანი.

საწოლშიც გამუდმებით ეწეოდა.

ტელევიზორის ეკრანს ზოგჯერ თვალს მოსწყვეტდა, ოთახს მოათვალიერებდა და მზერა კუთხეში მიკიდულ შვილის სანადირო ტანსაცმელზე და ნახევრად დაცლილ პატრონტაშზე გაუცივდებოდა.

ბიჭი თავის თვალწინ ხელიდან გამოაცალეს მიგზავნილმა არაკაცებმა.

სალოცავივით დაუნგრიეს შვილის სიცოცხლე.

ვინ, რატომ, რისთვის – ამ მძიმე თემაზე საერთოდ არ საუბრობდა და არც ვეკითხებოდი, მხოლოდ ვგრძნობდი, ანთებულ სანთელთან მდგომარეობით მდგრადი მდუღარეში უთორთოდა გული.

სხვების საფიქრალით ცხოვრობდა, სხვებზე ზრუნავდა, ალალად, უანგაროდ, ყოველ ზაფხულს თავისთან მიწვევდა, ხარობდა ჩემთან შეხვედრით.

მეგონა, იობის მოთმინებით ჭამდა თავის სადარდელს.

თურმე, პირიქით, ჯავრი ხრავდა და ინელებდა.

საავადმყოფოდან დამირეკა, უფალი მიხმობს, ჩემზე ხელი აიღეს ექიმებმან.

მეხუმრები თუ რაშია საქმე-მეთქი, – შევიცხადე,

ესეც არაფერი, ჩემო ძმაო, გახსოვს, მუხრანი – „იმდენი კარგი ვაჟებიცი მოკვდა, იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდესო...“ მეც ასე... ამას მოვეშვათ, – პალატაში „ლიტერატურული პალიტრის“ ბილო ნომერი ამოიტანეს, შენი ლექსებია... წავიკითხე და ახლა თუ არ გავიზიარე ჩემი შთაბეჭდილება, მერე გვიან იქნებაო!

გესმის, სეხნი, „გასვლის ზარმა“ უკვე დარეკა, ეს კიდევ...

თითქმის გაღმა გასულ კაცს გაოგნებული

ვუსმენ!

ბოლოს, აქეთ მებოდიშება, თითქმის იმ ქვეყნად თავისი ნებით მიდიოდეს, მაპატიე, ამ ზაფხულს ჩემთან, სიონში, ერთად რომ ვეღარ ვიქნებითო.

დიაგნოზი დასმულია, განაჩენი გამოტანილი – მაინც არ მჯერა, ეს გაუბზარავი ხმა სულშებერილი სანთელივით წუთიწუთზე რომ უნდა ჩაქრეს.

ვერ დავიჯერე, ვიდრე მოკლე ხანში, ნაყარი მინით ახლად აკომლავებულ მის საფლავთან არ დავდექი.

შეცდა პოეტი, არ გაგვინრავს უფალი, ადრე წასული „იმდენი კარგი ვაჟებიცის“ მსგავსები, საბედნიეროდ, არ მოილებიან ჩვენ წუთისოფელში.

ვაჟაც იმათი ტოლსწორი იყო!

რამდენჯერაც სიონის „ზღვიდან“ აკრეფილ ღამის ნისლებაფარებულ „ფულუროს“ წარმოვიდენ, იმდენჯერ გული მიტირის, შვილის სამოს-სა და პატრონტაშს, მამის მწეხარე თვალებით, ვერავინ რომ ვეღარ შეხედავს.

ერთი დედაბერი სოფლის დარდმა მოინელაო – ჩვენც საერთო სადარდელის მორევი გვაურუუმელავებს, ჩასანთქმელად გვითორევს; ვიბრძით, ვეძალავებით, ვუხმობთ თანამებრძოლებს, მაგრამ გულგრილობის ულრანი ყუმი სიჩუმით გვეპასუხება.

ვისაც როგორ ესმის, ხსნის გზას ისე ექებს და ახლომახლოში თუ გადაკარგულში პოულობს კიდევაც.

შინ მხოლოდ დუმილით მოლაპარაკე, ძილ-გატეხილი ჭოტები რჩებიან, მარტო თვითონ რომ იციან – რას და რატომ ელოდებიან.

„ყატ-ყიტ-უუუტ!“ – ღამის კედელზე ნისკარტის კაკუნით, დაშიფრული ანბანით ატყობინებენ ერთმანეთს, ჯერ კიდევ რომ ცოცხლობენ, ფიქრობენ, სუნთქავენ...

„ჭოტების გადაფრენა“ არ თქმულა და არ გაგონილა, ერთგულება ჩვენთვის განგებისაგან ბოძებული ჯილდო და სასჯელია...

მოიხდი „სასჯელს“ და გადაიდე ფეხი-ფეხზე სასუფეველში!

ხეებშორის, მოასფალტებულ სავალ ბილიზე, თავის დროზე პოპულარული ხელოვანის „ვარსკვლავი“ გაუხსნათ.

არ ვიცი, აზრად რომელ ჭაუათმყოფელს მოუვიდა მისი ამ მიყრუებულ ადგილას „ამობრწყინება“.

თუმცა, ესეც არ არის მთავარი, ვარსკვლავს მინაზე რა უნდა, ვარსკვლავის ადგილი ცაშია.





მიწიდან კი არ ამოიზარდა, სამყაროს, იე-სოს შობა, აღმოსავლეთში ამონათებულმა ვარსკვლავმა ახარა.

მეროჭიკე მოგვები, ვარსკვლავის ლვთიურმა მიუწვდომლობამ და მინიშნებამ გაუყენა ბეთლე-მისაკენ მიმავალ გზას.

დაბინდდება და ლამის ციცინათელები თვალს გახელენ, ცის კაბადონზე ამოქარგები-ან; გვონია, (მით უმეტეს მთაში) ხელს აიშვერ და მისწვდები, მუჭში მოქცეული ბარტყივით, მათ გულისცემას იგრძნობ.

იქ, დედამინას შემოვლებულ უსასრულობა-ში, კეთილი ჯადოქრებით, მზეთუნახავი პრინც-ესეპითა და უფლისწულებით დასახლებული ჩვე-ნი საზღაპრეთი, ვარსკვლავებზეა.

ჩვენი ბავშვობა იქ იყო ბედნიერი, ვიდრე მინაზე „ჩამოვიდოდა“ და მოზრდილების საზ-რუნავით დაიტვირთებოდა.

ახლა მაღლა ვიღა იყურება, ძილგატეხილი, მეოცნებები ჭოტების გარდა.

აღარც ბავშვები, იმათი ვარსკვლავეთი ახლა ინტერნეტი და მობილურია.

ანდა, მაღლა ახედვა რაღად უნდათ, აგერ, ქუჩებში არ არის გამოფენილი, ამაგდარი ადამი-ანების მინაზე „ამობრწყინებული“ ვარსკვლავე-ბი?

სეხნი, რას იტყვი, ცოტა უხერხული ხომ არ არის, ზედ რომ დავდივართ და ტალახიან ფეხს ვიწმენდთ?!

განსაკუთრებით, ამ ჩვენს დალოცვილ მთა-ვარ ქალაქში, რომელი ქვეყნის, კუთხის, მთისა და ბარის, ფერის, წებოვანების ტალახი აღარ შე-მოდის!

მოდის და მოდის, არც „განბაჟება“ უნდა, არც არაფერი!

მოდის ყველა მხრიდან დაძრული ბედის მა-ძიებელი, გაჭირვებული საქართველოს ფეხსაც-მელს აკრული.

მეტოვის წუნიანი ცოცხით იპოხება მინაზე „ვარსკვლავები!..“

პოპულარული ხელოვნის „ვარსკვლავის“ შო-რიახლო, ძელსკამზე გულალმა ვწვები.

ფიჭვებისა და კიპარისების ზემოთ, წვიმის შემდეგ გაბეცებული, დაძნილი ღრუბლები გა-დადიან.

აუზთან, მოვლილ ყვავილნარს, ოჯახებიდან მოყვანილი, ნასუქ-ნაპატიები ძალები და ადგ-ილობრივი, პარკში „ჩანერილი“ მანანნალები იყლებენ, ქექავენ იქაურობას.

გაგიუდები – საკენად დადევნებულ მყეფარს მოსაგერიებლად ფეხს თუ აუქნევ, ნაირ-ნაირი

არამეოთხე, ძალად მაცხონე „მეგობრები“ თუ ცხ-ოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციე-ბი არ გაპატიებენ და ქალაქი რომ მოისისხა, ქუჩები სანეხველას დაემგვანა, ვითომც არაფერი.

უყურა ოთხეტების თავაშვებულ ჯიროთს გამვლელმა მამაკაცმა და ლიმილით მკითხა, ნე-ტავ, ამ ძალლებს ყვავილნარი რამ შეაყვარა ვარდები-მეთქე.

იმას ვარდები ლამაზი, სურნელოვანი ფურ-ცლებით კი არა, ამ ფურცლებით შენილბულ-შე-ფარული ეკლები უყვარდაო! – მითხრა და თითქოს ძველი ჭრილობა გამეხსნა.

რამდენი რამეა, დაგინწყება რომ გვინდა, მა-გრამ ვერ ვახერხებთ, მთელი სიცოცხლე, კო-რიდის ხარივით, ზურგში ჩასობილ ხანჯლებად დაგვაქს!

სული შემეხუთა.

თუ არ წამოვჯექი, არ ვიცი რა მომივა.

ხების ჩრდილში შეღებილ სკამზე პენსო-ნერებს ნარდი გაუშლიათ და კამათელს აგორე-ბენ.

„თუ ღვინოა შუშაში,

ვიღას ახსოვს დუ-შაში!“

ეს ისე, თავის შესაქცევად და გულის გადა-საყილებლად!

ბებერმა, გაავებულმა ყვავმა აკლებულ ყვავილნარს ყრანტალით გადაუფრინა, ნეკერჩე-ლის ტოტის კინკისურაზე ჩამომჯდარმა გაშლი-ლი ფრთები დაკეცა და შტო სიმძიმით დაზნიქა.

იქიდან დაუწყო აცეტებულ ქოფაკებს თვალთვალი.

ჩემ წინ ბანჯგვლიანი, მინას ძლივს აცდენი-ლი, თოკებებმული ოთახის ძალლით ქალბატონმა ჩაიარა.

ჩეხოვის სულს ნუ შეაწუხებ, იმ მანდილოსან-მა არა, სანაპიროზე ფინიათი რომ დასეირნობდა.

ჩამიარეს და ვერ გავიგე, სპეციფიკურ სუნს ძალლი აფრქვევდა თუ პატრონი.

ალბათ, ორივე!

რას ვიზამთ, ვისაც რით შეუძლია, თავს იმით გვამახსოვრებს...

ყვავი ტოტზე თავისთავს აქანავებს და საძილედ თავი ექინდრება.

„ყვავო, ყვავო, ყვანჩალა,

აქ რამ მოგაჩანჩალა!“

არ დავგვირებივარ, მართლა ჩანჩალებს თუ რითმამ „დაისაჭიროვა“ ასე!

ესეც იღბალია, ალბათ, შეხედულების გამო აითვალწუნეს მეზღაპრე-მეიგავეებმა, მელექ-სეებმა...





ნეტავი, ისეთს რას აშავებენ, სხვაზე ნაკლები ერთგულება იციან? ბახალა რომ გადმოუვარდებათ, უნდა ნახო როგორი ცოდვის კითხვას ატრიალებენ, რა დღეში არიან, ძალმა ან კატაბ ბარტყს პირი რომ არ დასტაცოს!

იმ დროს ვინ ჩაიხედავს, ათვალწუნებული ანტიგმირის გულს, მშობლიური გრძნობის რანარი ცეცხლი და ვარამი მდუღრავს!

ასეთ რამეს ყვავი ხომ არ ჩაიდენს:

გაზის შემოყვანამდე, სკოლები, ნახშირზე მომუშავე „საკაჩიგრო“-საქვაბებით თბებოდა.

ჩვენთან, სარდაფში მოწყობილ საქვაბეში, ცეცხლფარეშებად ცოლ-ქმარი, ნაციხარი დუნია და ციმბირიდან „დმობილიზებული“ ვინმე „ბარსუკა“ მორიგეობით, დღეგამოშვებით მუშაობდნენ.

„საკაჩიგროში“ გამურული დუნია, ქალაქის პარკში სასეირნოდ გამოსული, დაბანილი, გამოკონტავებული და ფითქვინა თუ გამოგვიცხადებოდა ხოლმე, სამაგიეროდ, ლოთი „ბარსუკა“, პენზის ქვითაც რომ გეხეხა, როგორც გაშავებულ, ცხიმიმწვარ ტაფის ძირს, ფერს ვერ შეუცვლიდი.

ქმარი ერთი უჩინარი, უწყინარი ლოთი ბრძანდებოდა, ცოლი კი იმით იყო ცნობილილი, რომ დუნინ-სტალინი ჰქონდა ამოსვირინგებული.

— როგორ, ქალს, მკერდზე, კაცო? — შემეკითხები.

— ქალს, რა, მკერდი არა აქვს?

— კი მაგრამ... დუნიას ძუძუები არ ჰქონდა?

— ჰქონდა რომელია...

— მერე?

— რა მერე, ძუძუებს ზემოთ, ტანმორჩილი ბელადები, თანაც პროფილში, ვერ დაეტეოდნენ?

— კი, ალბათ...

— გაიპარებოდნენ გაკვეთილიდან უფროსკლასელი ბიჭები — რამდენიმე, რა თქმა უნდა, მთელი კლასი ხომ არ გაიხვეტებოდა... ჩააკითხავდნენ სკოლის სარდაფში, „ბარსუკას“ თანამეცხედრეს და ყელს გამოუწვდინენ, ლენინ-სტალინი გვაჩვენებ დეიდა დუნიაო.

— თანაც, დეიდაო!

— მამიდას ხომ არ დაუძახებდნენ, უფრო დეიდაა მიღებული... ბიჭები ბელადებს მიზეზობდნენ, თორემ განა არ იცოდა ქალმა, რა მუცლის გვრემაც ჰქონდათ და თითს დაუქნევდა, რო, თქვე თურქის ეშმაკებო, გაჩვენებთ, მაგრამ ხომ იცით რაც უნდა მაგ საქმესო.

როგორ არა, გადამხდელები ვართო!

აბა, თუ ხართ „ძეგვი ვპერიოდო!“

ესენიც შეგროვებულ, შინიდან საუზმისთვის

გამოტანებულ ფულს მიართმევდნენ;

დუნია, მოფარებულში ჩაიხსნიდა საკინძეს და ლიფიდან ძუძუებს ამოყრიდა.

ლენინ-სტალინს ვინ უყურებდა!

დამთავრდებოდა ხანმოკლე, წამიერი სეანსი, ისევ ჩააპრძანებდა ბიუსტჰალტერში ძუძუებს და ამოლაგდებოდნენ სარდაფიდან თვალებდაელმებული ბიჭები.

ვერავინ მოიფიქრა, დუნიასთვის ეკითხა, ან ის თურქი ვინ არის, ანდა იმის ეშმაკებიო.

— ერთი მოსწრებოდა ბესარიონოვიჩი!

— ე. დუნიაჩა ისეთი შებერტყილი იყო, ბიზნესს არ ჩააგდებდა, უფასოდ არც იმას აჩვენებდა!

იფურცლება დავთარი, ათასჯერ გადაშლილი და „გადაკითხული“, მაგრამ მაინც, ზოგჯერ, ისეთი მივიწყებული ამბის ხელახლა აღმოჩენით გაიხარებ, თითქოს ნაზამთრალ, კარადაში შეკიდულ ტანსაცმლის ჯიბები ჩარჩენილ ფულს მიაგენი.

მთავარი პოვნის სიხარულია, თორემ, ისე არ გამიგო, თითქოს, ათასობით ხელში გაცლილ, გაცვეთილ კუპიურას და სულის „ამონარიდს“ ერთმანეთთან ვაიგივებდე...

დილით, ავანზე მოფრენილი, შემოჩევეული გვრიტი მარცვალს ხელისგულიდან კენკავს.

მოგონებების ხელისგული ჩვენც ასე გვაპურებს.

ჯერჯერობით!..

რამდენი იმშვიდებდა თავს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო!

განა ის „ნაბადი“ მერე სხვამ არ მოისხა?

„ნაბადს“ ვინ მოაცდენს, შენ წილ წუთისოფელს ატარებ და, როგორც გადმოგეცა, ეგრეპენიანს, გაუხუნებელს, მერე ის გადაიბარებს, ბებია ქალმა დუნდულაზე თითები რომ გაუკაპუნა და ქვეყნიერებას თავისი მობრძანება ტირილით ამცნო.

რა თქმა უნდა, „ნაბადი“ არც ჩემს წასულ მეგობრებს გაატანეს, ტრადიციას რომ არ უღალატეს და წლევანდელ შობასაც, „თრობის დუქანში“ შეიყარნენ.

ცხადივით სიზმარში, სუფრას თავში ჩვენი ყველა დიდი და მცირე ტრაპეზის უცვლელი ერკემალი, ბატონი ლერი უზის, მერე მიყოლებით და „დადგენილი“ თანმიმდევრობით, დავითი — „გრიგორიჩი“, გივი, ზელიმხანი, ისევ დათო-დავითი, ალექსი, იგივე „ტაფა“, ფარვიზა, ნუგზარი, კიდევ გივი, ომარი...

წინ გალიცლიცებული ჭიქები უდგათ და





სანთლები უნთიათ.

„თუ დაგჭირდებით, იცი, სადაც უნდა მოგვ-ძებნო, ახლა ყველა ერთ მისამართზე ვცხოვ-რობთ და იქიდან ფეხს არ ვიცვლით, სულ შინა ვართ!“ – მეუბნება თამადა.

მაგიდასთან ერთი, ცარიელი სკამია.

ვიცი, ჩემია, მაგრამ არ მეუბნებიან, დაბ-რძანდო, ჯერ „ფეხზე“ უნდა ვიტრიალო.

„ლვინო და ქალები ვის არ გვიყვარდა, მაგრამ ვიცოდით – ვისთვის რა უნდა გვეკადრებინა... აი ის, შორისახლო რომ გვიყლის, არ შემოესვლება და ჩვენთან არ დაეჯდომება – ეგეთი წუნკი იყო, ქუჩაში მიმავალ თავის ცოლსაც კი თვალს გააყ-ოლებდა ხოლმე!“ – მანიშნა ფანჯარაზე სუფრის წინამძღოლმა, მაგრამ იქ ვერავინ დავინახე.

იწვიან სანთლები, ერთნაირად, თანაბრად.

მათ ციალს გაიპინებული ჭიქები ირეკლავენ.

„ეე, ძმებო, თავი რომ დაადეთ და ნახვედით, აღარ უშლიდნენ? რიგრიგობით გაილალეთ და უკან, სუფრასათან რომ აღარ შემობრუნდით, ეგრე უნდა? დავიჯერო იქ უკეთესი ყველი ამო-ჰყავთ ანდა უფრო გემონმინდა ლვინო დაგახვე-დრეს?! - გაღმატო ლუკამას ცრუმლს ვაყოლებ, – ამ ქალაქის სინდის-ნამუსის, კაცობის ჯები-რები იყავით და, როგორ მოიშალეთ, უკვალიდ გაქერით!.. იქნებ მეყოს ძალა და თქვენი ცხ-ოვრების რომანი...“

სიზმარში ვპირდები, მაგრამ ცხადში რა ვიცი, რა გამოვა.

დააინტერესებს ვინმეს ჩემი ვრცელი, განე-ლილი მონათხრობი?

მით უმეტეს დღეს, როდესაც მომრავლდნენ მწერლები, რომელთა წაკითხვის ნერვები და მოთმინება ჩვენს საუკუნეს აღარა აქვს.

ვნახოთ, რას ფიქრობს „მწყალობელი“ ხე-ლისგული!..

მაშინ, ყოველი შეკრებისას, „თრობის დუქანში“, ხშირად გვითქვამს, გადავილოთ ერთი საერ-თო სურათი, რა ვიცით, რა ხდებაო!

ვამბობდით, მაგრამ სერიზულად არ ვფიქრობდით იმაზე, რასაც „რა ხდება“ გულისხ-მობს.

ახლა სამუდამოდ დაგვიანებულია – რამ-დენიც გინდა, ცარიელი ნეგატივი ფოტოსსნარში ამოავლე!

ერთხელ მართლა მოვიპატიუეთ ნაცნობი ფოტოგრაფი, მაგრამ... აპარატის გარეშე გა-მოგვეცხადა; მოგვიბოდიშა, ცოტა ხანში წავალ და მოვიტანო, მაგრამ გამომთვრალი გასასვლელ კარს ვეღარ აგნებდა და აპარატის მომტანი ან გადამდები იყო?!

ჰოდა, ასე, ჩემ ცხად-სიზმარში სასურათ-ედ გამზადებულებივით სხედან, შემომყურებენ, მაგრამ რაღა შემიძლია, ობიექტივის ნაცვლად თვალს თუ ჩაუკრავ, თორემ ფოტოხელოვნების არმიაც რომ დავახვიო, ამ საქმიდან აღარაფერი გამოვა!

მათი ცხოვრების რომანსაც ფოტოგრაფი ხომ არ სჭირდება, თუმცა მოუცლელობის განუ-კურნელი ვირუსი ცხოვრებას ისე აქუცმაცებს, ჭამის რიტუალის დროსაც კი, „ლანჩებზე“, ცხ-ენებივით ფეხზე მდგომელა ვიღებებით; კუჭში ჩადის გამოუშუშებელი, ნაირნაირი „ფორმისა“ და „შინაარსის“ ცომეული და ვის სცალია გუშინ-დელი „სპექტაკლის“ გადასახვევად და ხელახლა საყურებლად!

ეკრანი სისხლის გუბეებში იხრჩობა, ყვე-ლაფერი გაშინებულია და ნამუსახდილი, გააკახპეს სიყვარულიც – ახლად წამოჩიტულ ბავშვსაც კი საოცნებო აღარაფერი დაუტოვეს; აღარც მითი, აღარც ზღაპარი, აღარც ძილის წინ, ფანჯრიდან დანახული, იდუმალებაში ჩაძირული ღამის ვარსკვლავები – მის თვალწინ პოზირებს სექსუალური „ხელოვნების“ ნიმუში – ღამის ყვე-ლა ნახვრეტში ფალოსგაყრილი დედაკაცი!

მაპატიე, სეხნი, უხერხულია, მაგრამ, რა ვქნა, უფრო რბილად და შეფარვით არ ითქმის, თორემ ვინ ოხერი – აღარც ალეგორიებს და მეტაფორებს უდგათ შესაფერისი ამინდი.

რომანების დრო მოკვდაო, წერდა შალ-ამოვი... რატომ? იმიტომ ხომ არა, თავად მცირე „ფორმატებზე“ რომ იყო განაფული? ანდა იქნებ გაჭანურებულ, დროის აჩქარებულ პულსთან შეუთავსებელ, უინტერესო თხრობას, მოსაწყენ „სიტყვაკაზმულ იდილიას“ გულისხმობდა?

არა ასეთი და ისეთი, ზოგადად რომანების დრო მოკვდა, მორჩა და გათავდაო!

ნეტა ჭოტებს რა გვენალვლება, ბუმბულის „მაკინტოშიდან“ რომ ამოვეარდი – მოკვდა, მოკ-ვდა, თან ხომ არ ჩავყვებით!

მოვეშვათ, ამ შობა ღამეს მაინც ჩვენს გულ-ში ჩავიხედოთ, რომანის დროსთან ერთად, სიყ-ვარულის დროც ხომ არ მოკვდა – ამოვქექო ჩრჩილით შეჭმული „აბგა“, ძველმანები ამოვბერ-ტყოთ და, ჯიბეში ჩარჩინილი უზალთუნივით, ეგებ, ისეთ რამესაც გადავაწყდეთ, ელვარება და ფასი რომ არ დაუკარგავს და გვაგრძნობინებს, ამ ნაპოვნისათვის ლირდა სიცოცხლეო.

ტრიალებს ძველი, ნემსისგან დაფშალული გრამფირფიტა.

ნეტავ, რამდენმა, სიყვარულის „ნისკარტმა“ გაძიდგნა ჩვენი გული?





ჩამოთვალე და მორჩა! – რად უნდა ამას ხუთასგვერდიანი ლაიალი, სერიალის მრავალ-ნლიანი მარათონი, „ჩაშაქრული“ ფინალით.

განა არ ვიცით, რომ ყველა სიყვარული, პირველიდან მოყოლებული, ერთი საერთო სათავიდან მოდის, ტყუპისცალებივით არაფერი ან-სხვავებთ, მოჰყვებათ ერთნაირი სიკრიალე-სიან-კარე, ვიდრე თანდათან არ აიმღვრევიან...

აიმღვრევიან და, აბა იქ იჩეკება რომანი და სერიალები!!

„აფსუს, რა გოგო იყავი, ვახვახიანთ ანო!.. როგორ გამოვყე ამ ბედოვლათ აბოსა!“ – ჩამჭერანი ჭინჭრის ბლუჯებივით ჩაყითლებულ, კალთაზე ამიბრუნებულ ხელისგულებს ჩაელაპარაკება დუდლუნა, ცხვირში წაჭერილი, გამალიზანებელი ხმით.

აბო, ჭიქას ჭიქაზე მიჭახუნებს და გალიმებული, თავის გადაქნევით მეუღლეზე მანიშნებს, ხედავ, რა ამბავშიან?!?

ვაკერდები ხან ერთს, ხან – მეორეს და აბოზე გული მომდის, ეს ვახვახანთ საფრთხო-ბელა ცოლად რამ მოაყვანინა.

ეჱ, ამნაირები იცის ბრმა სიყვარულმა?

აჲა, ხომ ვნატრობდი – მეორე ჭოტი გვერდით მომიჯდა, დიდხანს არ შეგანუხებთ, თითო „სტაქანი“ ვთქვათ და ჩემი გზით წავალო.

საით მიდის ეგ შენი გზა-მეთქი!

საითაც წამიყვანსო.

ერთი ჯიბიდან არაყის ნახევარლიტრიანი ამოილო, მეორედან პლასტმასის ერთმანეთში „ჩახრახნილი“ ჭიქები და ორი კარტოფილიანი, სიცივით გაფხუკული ღვეზელი.

მართალია, ხანდახან მცონია, რომ ღმერთი ყველას გაჩენაში არ ურევია, მათ შორის, თქვენი მონა-მორჩილისაც, მაგრამ შობა ღამეა და უფალი ვახსენოთო.

ჭიქები შეავსო, გაიღიმა და... ცალ მხარეს ორი ვერცხლის კბილი რომ გქონდა, რა უყავი-მეთქი.

ხელიდან ლამის ბოთლი გაუვარდა, დამაკვირდა:

– ნამდვილად მქონდა, მაგრამ თქვენ საიდან...

– სტამბაში მეტრანპაჟედ რომ მუშაობდი, იქიდან...

– კი, კი, მცონი, მეც გიცანით...

– კბილებზე გკითხეთ...

– ციხეში ჩამომართვეს!

– რატომ, ნარკოტიკი ან აკრძალული ლიტ-ერატურა ხომ არ იყო!

– უარესი!.. რაღაც საქმე უნდოდათ შეეწერათ, არ დავთახმდი და ოთხმა ვერზილამ გადა-

მიარა, გონიერომ მოვედი...

– დაგაცალეს?

– არა, ბიჭო, „შუქურას“ ნაბუშრებს გაუჭირდებოდათ!.. – არაყი გადაჰკრა და პირი მომუწა, ცხარებაო.

უფრო მგონია, ციხის გახსენება „ეცხარა“, თავად არაყი დიდი არაფერი.

თითოც ჩავცხოთო.

ჩავცხოთ, ჩემი რა მიდის-მეთქი! – გამეცინა.

აი, სასმელმა თვალებზე ლიბრი გადაწმინდა და ახლა ნამდვილად გაგიხსნეთ – გაზეთის რედაქციაში მუშაობდითო.

თავი დავუქუნიე.

მე ყველა კბილი ადგილზე მქონდა და ჩემი წარსულის ქექვა აღარ გაუგრძელებია!

თავისი თქვა:

– სტამბა რომ დაიხურა, დაგრჩი უმუშევარი და რას აღარ მივედ-მოვედე; ბოლოს, კარგი ბიბლიოთეკა მქონდა – ნიგნების გაყიდვა დავიწყე. თავიდან არა უშავდა, მერე და მერე, ხალხს ისე გაუჭირდა, რაღა ენიგნებოდა... რა მექნა, კურტნის მუშად, ჩემი ჯანმრთელობის გამო, არ გამოვდებოდი, თავმოყვარეობას შეგაფურთხე და ხელი გავიშვირე... ჩემი თავი ჯანდაბას, ლოგინად ჩავარდნილი ბიძა და იმის ცოლი მყავდა შესანახი. პენსიონ მარტო წამლებს ვერ ასდიოდნენ, ყოველდღე პური მაინც რომ არ შემეწოდებინა, ვინ იყო იმათი პატრონი.

რა? აღბათ, სიკეთეზე სიკეთით ვპასუხობდი?.. რომელ სიკეთეზე, მთელი სიცოცხლე დედაქემს იმ ერთ ოთახს ედავებოდნენ, ჩვენ რომ ვცხოვრობდით... რა ჯანდაბად უნდოდათ, უშვილძიროებს, რაც ჰქონდათ ისიც ოხრად რჩებოდათ! ისე, ღვთის წინაშე, გრძნობდნენ თავის დანაშაულს, სულ ბოდიშობდნენ, ინანიებდნენ, ვიდრე არ ავუკრძალე, მაგ საკითხზე კრინტი აღარ დაძრათ-მეთქი.

განსაკუთრებით, ბიძაჩემი განიცდიდა, მიწოდებულ ლუკმას სინანულის ცრემლს აყოლებდა, ესაო, რაცა გვაქვს, შენ დაიმტკიცე და მშვიდობაში მოიხმარე.

მაგის მკადრებელი ვიყავი? მით უმეტეს, როცა გარდაიცვალნენ – ერთი დილით მიიცვალა, მეორე, სალამის ფეხდაფეხ მიჰყვა, მაშინვე გამოუჩნდნენ „ჭირისუფლები!“

იმას ვამბობდი... მოდი, მესამეც, წასულები ვახსენოთ, თავისი წილი ცხოვრების სიზმარი რომ ნახეს და... ჰო, ეგრე... იმას გეუბნებოდი, გავიშვირე ხელი და ეკლესიასთან მათხოვრების გრძელ რიგს მეც ამოუფეხი ბოლოში.

ჯერ მერიდებოდა, სახეს ვმალავდი, უკან





ვიწევდი, ნაცობს არ გადავეყარო-მეთქი, მერე, იცოცხლე...»

ერთმა, ჩემამდე რომ მოვიდა, საფულე გადა-
მიხსნა, რაც ხურდა მქონდა დავარიგე და მეტი
ალარ მაქეს, უნდა მაპატიორო...»

დალოცვილო, ცარიელს რომ მაჩვენებ, მე
ხომ ვერ აგივსებ, მოწყალების გაცემა აქედან
დაგენტი და საპოდიშოდ საქმე არ გექნებო-
დათ-მეთქი.

გაეცინა – კარგით, მომავალში ეგრე მოვ-
იქცევი, მაგრამ აქედან თუ დავიწყებ, მაშინ ხომ
მეორე ბოლოში დამრჩება ვინმე განუკითხავიო?!

დარჩეს, სულ არ მციდა-მეთქი!..

გესმის, იმ ვიღაცაზეც მე უნდა მედარდა!

მე ვინმე მკითხულობს?

ფეხი რომ გავჭიმო, ისე ავყროლდები, კარს
არავინ შემოაღებს!

ეს ჩემი „კოლეგა-მათხოვრებიც“ ისე მიბ-
ლვერიან, თითქოს წილში ჩავუჯეტი... არ იცაან
ჩემი ოფოფების ამბავი... მე თუ არა, გალიის
ჩიტი მაინც შეიბრალონ, მთელი დღე მარტოო-
ბით გულგანყალებული რომ მელოდება, წყალი
და მარცვალი თუ არ მივართვი, სული ამოხდე-
ბა... ახლა ნახე საკენკი როგორ გაუძვირეს, ნახე-
ვარკილოიანი კოლოფი, უკვე ოთხი ლარი ლირს!..
ამათ, ამ ჩემ „მეწილებს“ თითო დავუქნიე, ჭკუთ
იყავით, თორემ საალდგომო კვერცხებივით, თავ-
ებით დაგაჯახებთ-მეთქი.

დაგვაჯახებ და გამოვიძახებთ, ვინც საჭ-
იროაო!

გამოუძახონ, რა, ციხით გამაკვირვებენ?
ანდა ისეც დაჭერილები არა ვართ?

მოკლედ, ისეთი სულნაწყმედილები არიან,
ნება თუ მიეცი, ღმერთსაც „სროკზე“ გაუშვებენ!

ერთხელ თეთრთავსაფრიანმა რუსის ქალებ-
მა ჩამიარეს. წინ რომელიც მოდიოდა, იმას, ორი
სეფისკვერი ეჭირა.

ერთი მე გამომინდა.

რომ შემომთავაზა, რატომლაც გამიკვირდა,
ჯერ სეფისკვერს დავხედე, მერე – ქალს მივა-
ჩერდი – ასაკის მიუხედავად, სუფთა, კრიალა,
ცისფერი თვალები ჰქონდა და თავსაფრის ბო-
ლოები ნიკაპთან ისე გაებანტა, თითქოს ყელზე
ფრთაგაშლილი მტრედი შეაფრინდაო.

სეფისკვერი არ გამოვართვი, ხელისგულზე
თვითონ დამიდო.

აგვისტოს ომის მერე მავიწყდება რუსებიც
ქრისტიანები, თანაც მართლმადიდებლები რომ
არიან.

ურჯულოებივით მოგვექცნენ და იმიტომ!

ეკლესიის ეზოდან გასვლისას ქალები ერთ-

მანეთს თავის დაკვრით გამოემშვიდობნენ და
გაჩერებასთან ჩამომდგარი სხვადასხვა მხარეს
მიმავალი ტრამვაით წავიდნენ.

მაგარი ტრანსპორტი იყო.

ვატრიანი ზარს ჩამოჰკრავდა, წირვის მერე
გამოშლილებს აფრთხილებდა, მოვდივარ და
გამეცალეთო.

კონდუქტორი, კისერზე ჩამოკიდებული ხე-
ლჩანთიდან ძალის ენასავით ჩამოგრძელე-
ბულ ხვეულს ბილეთებს ახევდა და მგზავრებს
ურიგებდა.

სამკაპიკიანი გადაგეხადა და გინდა მთელი
დღე წინ და უკან გევლო.

სამ კაპიკად, ძმაო!

მაშ არ იყო დასაქცევი ის ქვეყანა?! ახლა სამ
თეთრად სამი თითის კომბინაციასაც არ გაჩვენ-
ებენ!

მოდი, ბარემ... თითოც გამოგვივა და...

კოხტა გოგოს ისე როგორ ჩავუვლიდით,
„ანკესი“ არ გადაგვეგდო, თვალი არ გაგვეყოლე-
ბინა. მობილურს ჩაჩერებული თინეიჯერები, გო-
გოს დაინახავენ? ბოძს რომ ეჯახებოდნენ, თავს
მაღლა არ ასწევენ, თითქოს გზა ბოძმა უნდა
დაუთმოთ... ანგელოზივით ქალიშვილი სუნა-
მოს სურნელს და კაბის შრიალს შემოგაფრქვევს
(ზოგი ჯერ კიდევ იცვამს კაბას) არ უნდა შეხე-
დო, ძარღვებში სისხლი გაქვს თუ მთხლე!.. ეს
რა დრო დაგვიდგა-მეთქი, ძმაო, მგონი, კაცები
კაცებს უფრო უყურებენ... ესმერალდამ რომ
ჩაუაროთ, თავისი მოკიკინე თხით, თხას დაუკ-
ლავენ და შეუჭამენ... აბა, ჯინა ლოლობრიჯიდა
კიდევ ნორჩი რომ იყოს, თავს იცოცხლებდა?

ტრამვაიზე ვლაპარაკობდით... სახედარივით
პატიოსანი, ერთგული, ქალაქის კოლორიტი –
გვერდზე გაუხვევდა თუ რა, დაადგებოდა თავის
გზას და მიდიოდა, მიდიოდა, იაფი, უხიფათო, ჰა-
მაკივით გარნევდა, ნამდვილი „სახალხო“ ტრანს-
პორტი... რა ქნეს, კაცო, აუყარეს ლიანდაგები
და თვითონ კიდევ გავარვარებულ მარტენის ღუ-
მელს შეაჭამეს.

აფსუს, ჩვენი ქალაქის წითელბიბილოვანი
მამლები!

აი, იმ ჩასახვევში, ცნობილი საკონდიტრო
იყო, ფუნთუშა ცხვებოდა, კაპიკებად... გაივლიდი
და ვანილის სუნი დაგათრობდა... ახლა ყოფილ
საცხობზე კორექციის სალონის რეკლამა ჰკიდ-
ია, ყურებს ეხრეტავთ და თმებს ვაგრძელებთო...
რაც გასახვრეტი იყო, გამჩენმა ყველაფერი დაგ-
ვაყოლა და შენ რაღას ხერეტ, შე... ანდა სხვას
არაფერს აგრძელებ, მაგალითად... ენას? თუმცა,
რაღა დაგრძელება უნდა, ქალი თუ კაცი ენით





ყვერებს იფხანენ!.. ქალებს სადა აქვთ?.. ზურგი ხო აქვთ!

ასეთები მით უმეტეს ჩვენთან მრავლობენ, – დიდ ქალაქებს ნაგავიც ბევრი აქვს...

ამას წინათ ცოცხლად შემორჩენილი თანაცლასელები შევხვდით. ჩვენმა გადაკრუხებულმა გოგოებმა შეიცხადეს, აფსუს, როგორი კოხტები იყავით და რას დამგვანებისართო.

მომივიდა გული – მამაძალი, თუ ეგეთი ლამაზები ვიყავით, მაშინ ვერ გვითხარით და ვერ „აგვითვისეთ“, უკანასკნელი კახპების დევნაში, ლამის, „ათაშანგმა“ რომ შეგვჭამა-მეთქი... ხუმრობით, რა თქმა უნდა... იმდენი იცინეს, ერთ დროს ქათქათ „ბროლის“ კბილიანებს, კინაღამ პროტეზები დასცვივდათ!..

მოკლედ, ჩაიარა ცხოვრებამ, განვლილ გზაზე სულელი ბრძენიც ბევრი ვნახეთ და ბრძენი სულელიც.

– ეგ როგორ გავიგოთ?!

– როგორც ვთქვი, ისე... აბა, მანამდე ვიცოცხლოთ, ვიდრე „დემოკრატიის შუქურა“ ვერცხლის კბილებს უკან დამიბრუნებს... ერთმანეთის პატივსაცემი „ფარა“ ჯიბეში სულ გვიჭყაოდეს!.. ცოდოა და უმწეო დღევანდელ დღეს უფულო კაცი!.. თორემ მერე? მერე ფული რაღად გვინდა, იმ ქვეყანაში, ტრამვაი, უფასოდ გვარაბრახებს...

თუმცა, კუბოში წამოგორებულს სამად გადაკეცილი ცხვირსახოცის ნაცვლად, პიჯაპში, ნიკოლოზის ოქროს თუმნიანს თუ ჩაგვიდებენ, არ იქნება ურიგო.

კაცნი ვართ, რა ვიცით, იქნებ იქაც დაგვჭირდეს!..

სეხნი, როცა ფინიები ყეფენ, დიდი, ბრძენი ნაგაზები სდუმანო, დამიბარა თანამეინახემ წასვლისას და, როგორც გამომეცხადა, ეგრევე გაქრა, არც დამელოდა, არც მეითხა, ეგებ მეც მქონდა რამე გულის მოსაოხებლად მოსაყოლო:

„ნეტავ საით ხარ, თეთრო დობილო,

დალონებულო ველის შროშანო,

გულის სიღრმეში ისევ ფოფინებ

ცრემლო, თვალიდან ვერამომშრალო.“

მაშინ, „როცა ამ სტრიქონებს ვნერ“, არც უძილობა მჭირს და არც ჭოტობის პრეტენზია მაქვს; ჩემი მზეთუნახავები ჯერ კიდევ კოშკში ცხოვრობენ და ერთმანეთს ეცილებიან – რომელი დაასწრებს ნაწნავის გადმოგდებას.

ვცხოვრობ რუსი მეიგავის სახელობის ქუჩაზე, იტალიურ ეზოში, აივნიანი სახლის მეორე სართულზე, ამხანაგთან ერთად, ორფანჯრიან „სტუდენტურ“ ოთახში.

რიკულებიან აივანს ახლაც ვხედავ, გაბმულ-გამობმული თოკებით, სამი ოჯახის სარეცხით და მკერდზე მაწვნის ქილებმიხუტებული დედაბრით.

ქალი, როგორც კი მერძევის ხმას გაიგონებდა, აივნის ბოლო კარიდან გამოსული, ჩვენს ფანჯარასთან ცარიელი ქილების წკარუნით ჩაივლიდა, მოხვეული კიბის მოაჯირს ხელწაკიდებული საფეხურებს დაუყვებოდა, შუა ეზოში დასაძახებლად ყელმოლერებული წყნეთელი კაცისგან ორ ქილა მაწვნის შეიძნდა და ისევ ჩოჩიალით, სვენებ-სვენებით ამოდიოდა.

ერთ ქილას თვითონ მიირთმევდა, მეორეს, რომელიც ნაბახუსევ, ჯერ კიდევ ლოგინში მწოლიარე შვილს ეკუთვნოდა, საერთო სამზარეულოში ემალაყრილ პირსაბანში, ონკანიდან მონანკარე წყალს გასაგრილებლად შეუდგამდა.

დედაბრის მემკვიდრე, მაღალი, შეხედული, ორმოცს გადაცილებული სახლმმართველობის ინუნერი, მონატელიგენტო და მაშასადამე სასმელის პატივისმცემელიც, ერთი სიტყვით, პენენიკა ლოთი, სამსახურში დილით გამოცხადდებოდა და, ხშირად, ცოტა ხანში „გამზადებული“ უკან ბრუნდებოდა – ჩაარტყამდა სახლმმართველობის ხელოსანი ამფისონების კამპანიაში ასიოდე გრამის და ზომიერად შეუინულილებული, ხის ძველ კიბეს ააჭრიალებდა.

აივანზე გავლისას, ფანჯრიდან მოგვიკითხავდა, შევიდოდა სამზარეულოში და ვიდრე ონკანს შეგრილებულ მაწვნის გამოაცლიდა, მედიდური, მკერდთან თავადური ხელის მიტანით, გაზტურასთან მოტრიალე, ზურგშექცეულ ფაშფაში ქალს თავს დაუკრავდა, სიცოცხლე და გამარჯვება ქალბატონო ასიაო!

ქალი სუფთად პირგაპარსულ, ალაგ-ალაგ წითლად სახედაფოთლილ, ოდეკალონის სუნად აქოთებულ კაცს, ტუჩის კიდეები აქეთ-იქით რომ გაურბოდა, ხეირიანად არც მოხედავდა, თავადაც მსმელი ქმრის პატრონი, ისე, ამრეზილი მიუგდებდა სალამს.

კაცი არ იმჩნევდა უბატივცემლოდ რომ ექცეოდნენ, ქილის თავზე დაგროვილ წყალს გადანურავდა, თხელი, არისტოკრატული თითებით გადაშევეპავდა და, ციმ-ციმ, თავისი ბინისკენ წაილებდა – არ უყვარდა მორყეული, ათქვეფილი მაწონი.

დედაბერი ხშირად მისტიროდა იმ დროს, როდესაც მთელი სართული მის ცხონებულ მამამთილს ეკუთვნოდა.

ვიწმეში არავის ავერიოთ, თავბერიშვილები ვართ, შვილო, ვიღაც კოჩმაზოვ-დარდიმანდი-





ანცები ან ცხვარიპარიაშვილები კი არა. ეს ჩემი გოგაც, შეხედულების გარდა, უნიჭირესი იყო, მოსკოვში დატოვეს სამუშაოდ, მაგრამ ჩემ ქმარს ვორკუტაში რომ ამოაყოფინეს თავი, ჩვენც დაგვაქციეს, საკუთარ სახლში, ამ ერთ ოთახში, თაგვის სოროსავით შუშაბანდში შეგვეუჭეს და ბიჭიც სამსახურიდან გამოუშვეს!.. რას ვიზამთ, ეგეთი ყოფილა ცხოვრება, ახლა წუნიან ასიას, დორბლიან მეხორცე ამბაკოს და, ვინ იცის, კიდევ საიდან მოთრეულ ნაყარ-ნუყარებს უნდა ვუგორო წითელი კოჭი, საერთო სამზარეულოში ველოდო წყლის ონკანთან როდის მიმიშვებენ!.. ამ დღეში მამამთილს რომ ვენახე!.. აფსუს, კოტე თავპერიშვილი! ნაქეიფარი ერთ ეტლში ქუდსა და ტროსტს ჩადებდა, მეორეში თვითონ ჩაბრძანდებოდა და ეგრე გამოივლიდა ვარანცოვს... ესეც შენი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ – ამას უკვე, რატომლაც, რუსულად დააყოლებდა ხოლმე...

ეგეთ, აკრძალულ რაღაცებზე ხმამალლა ლაპარაკის არ გეშინიათ, ვინმემ რომ დაგასმინოთ... კი არ გამოლეულან მაგ ხელობის ხალხი-მეთქი...

მეშინია, შვილო, როგორ არ მეშინია! რა დღებიც გამოგვატარეს, იმას რა დაამავინებეს, მაგრამ, ამათ პარპაშს რომ უუყურებ, უნამუსოდ რომ ეპატრონებიან, იტაცებენ ყველაფერს, ის შიში და გულისხეთქვაც კი მავინყდებაო.

გოგას, დაკარგულ-გასხვისებული მემკვიდრეობა, მაინცდამაინც, არ ადარდებდა, მით უმეტეს მაშინ, როცა მაწვის ქილა მოციცქნულ შუშაბანდში შეჰქონდა, პატარა მაგიდასათან მიმჯდარი, საფენგადაფარებულ საპურეს გადახდიდა, ნაჭრის ოთხუთხა ხელსახოცს ყელთან „აკურატნად“ ჩაიფენდა და სადილის კოეზით საქმეს შეუდგებოდა.

ერთხელ, ჭამის დროს რომ შევუსწარი, დაიმორცხვა: მაწვის სიყვარული და ნაჭრის ყელში ჩაფენა, საბავშვო ბალიდან დამჩერდაო.

დასჩემდა, დასჩემდა, რა იყო ამაში ცუდი.

ისე, ამ ჩვევას მაშინ მაინც შეეხსენებინა თავი, შექეიფიანებული ხინკლის ქაფქაფა წვენს ვიდრე გულისპირზე გადაივლებდა ხოლმე.

მიირთმევდა მაწონს, მოინწერდდა ტუჩებს, მიეყრდნობოდა ვენური, მაღალზურგიანი ჩალის სკამის საზურგეს და მლოცველივით აპყრობილ ჭროდა თვალებში მშვიდი, თვინიერი სევდის ღრუბლები გადადიოდნენ.

ამ პოზაში, ასიამაც მოჰკურა თვალი, აივანზე სარეცხს რომ ფენდა და იდაყვი წამკრა:

– ხედავ, როგორ გარინდული ზის?.. ამისი

ცოლი კიდევ გულაობს!

– რა იცი, რომ გულაობს!

– რა ცოდნა უნდა, უქმრო, გაცილებულ ქალი მაშ რას იზამს? – ლონიერ თეძოებზე დოინჯი შემოყარა.

– ვინ გითხრა რომ გასცილდა?

– ეე, არაფერი იმალება!.. ანდა რა შესაფერისები იყვნენ, გოგა მამად ეკუთვნოდა!

– მაშ, გულაობსო, არა? უქმროდ რომ დარჩე, შენც იგულავებ?

– მეე? – იტაცა გულისპირზე ხელი, თითქოს, რაც თქვა, რაღაც იმაზე უკადრისი შესთავაზეს, ან იქვე, სახალხოდ გაუპატიურება დაუპირეს, – ეე, ბიჭოვან, ხო იცი, როგორ პატივს გცემ და ეგეთი რამე არ უნდა გეკადრებინა! – ამოიღლიავა სარეცხის ტაშტი და სამზარეულოსკენ თეძოების რჩევით წავიდა.

ავედევნე.

– რატომ, რატომ არ უნდა მეკადრებინა? გამოდის რომ ყველა ქმარს გაცილებული ქართველი ქალი ბოზია და დანარჩენები, სომხები, რუსები, თათრები, ასირიელები, ქურთები, ებრაელები, პატიოსნები ხართ?

შეცბა, საკითხის ასე გამწვავებას არ ელოდებოდა.

– არა, ღმერთმანი, მე ეგ არ მითქვამს!

– ხომ იგულისხმე?

– ვაიმე!.. არა-მეთქი!.. ის ლამაზია, ახალგაზრდა, ექმი, ჯეირანივით დადის... მე კი, აბა, ვის რად ვუნდივარ, – ისე საცოდავად ამოიოხრა, შემებრალა.

– ნუ გეშინია, ასია, მოინდომე, გაბედე და ვილაც, შესაფერისი, უეჭველად გამოგიჩნდება!

– კარგი, რაკი ეგრეა, მე რაღას უუყურო, განა „ჩემი“ ნაკლები ლოთია? – ჩაიქნია ხელი და ტაშტი ონკანს შეუდგა.

ხედავ, თურმე, რა მომხდარა? დედამთილმა კიდევ – ავადმყოფი მამის მოსავლელად, დროებით გადაცხოვრდა მშობლებთანო.

არც აყალ-მაყალი, არც რაიმე ამის მსგავსი, არ გაგვიგია.

ახლაც, ზოგჯერ მაინც, შემოუვლიდა ხოლმე დედამთილს და წვრილებულიანი ფრხსაცმლის პაკიპუზზე ვიგებდით მის მობრძანებას.

თავპერიშვილების რძალი თუ უკვე ნარძლევი, მართლა ძალიან ლამაზი იყო.

კიბის ძირში, ეზოს შემოკედლებული, ბებერი, ბალანდაკონტლებული ძაღლი იწვა.

წყნარი, თვინიერი, მშვიდი, ზედ რომ შესდგომოდი, ხმას არ ამოიღებდა, მარტო ერთადერთ ადამიანს, მეეზოვე სერგოს შეულრენდა ხოლმე





და ისიც, დამფრთხალი, უკან დაიხევდა:

— გიუია, ოხერი!.. რას მერჩი, რო ამომიჩემე, გველი შეგიწვი?.. ჯერ მეძალლეებმა ჩამოიარონ, თუ არ გაგატანო, დამაცა! — დამუქრებული მეტოვე, წვიმით დამპალ ფოთლებს ცოცხას ღონივრად მოუსვამდა, თან თვალი ნაგაზისკენ ეჭირა, ემანდ, რამე არ მიხიმანდროსო.

მხოლოდ ჩვენ კი არა, თავპერიშვილების რძალს, ფეხის ხმაზე, ძალლიც კი სცნობდა, მთვლემარე, ჩულივით მიგდებული წამოდგებოდა, მოყოჩალებული შესწეობული და ფეხებთან გაუწვებოდა.

მანანნალასაც კი, მის დანახვაზე თუ გული შეუქანდებოდა, ჩვენ რა, დახოცილები ხომ არ ვიყავით — აბაკუნდებოდა დერეფანში წვრილქუსლიანი „ფრანცუსკი“ და შემოურნავდა შელებული ფანჯრიდან დამპანგველი „შანელი“; ხანდახან, თითქოს საგანგებოდ, სწორედ ჩვენ ფანჯარასთან ჩაეჭედებოდა ფეხსაცმლის ქუსლი იატაკში და, რომ დაგვიძახებდა, მიშველეთ, ბიჭებორ, მისახმარებლად არ გავიქცეოდით?.. აბა, ტერფები ასიას ფეხი კოჭამდეც რომ ჩაჰულოდა, კისრისტებით ვინ გავარდებოდა, თუ ქმრის გასაგონად არ აკივლდებოდა, შე ლოთო, ხომ არ მოკვდი, დროზე გამომხედეო!

მაშინაც...

ჩაჭედილი ქუსლი რომ არ მოტეხილიყო, ფიცრის ნაბზარიდან ფრთხილად უნდა ამომეძვრინა.

დედამთილისთვის მოტანილი ტკბილეულის პარკი ფანჯრის რაფაზე ჩამოედო და, ფეხსაცმლის პატრონი ფეხაკანჩურებული დამყურებდა.

ისე ილიმებოდა, ალბათ, ეგონა, რომ საქმეს შეგნებულად ვაჭიანურებდი.

იქნებ არც უამისობა იყო?!

უცებ ერთმანეთს გასმულ მუხლისთავებთან კაპრონი გაშარიშურდა და სმენა მომტაცა.

„პა?!”

როგორც იქნა ქუსლი „ტყვეობიდან“ დავიხსენი.

მადლობაო, ფეხსაცმლისკენ დაიხარა.

ჩაცმაში მივეხმარე.

ხელის ნები წვივზე მომიხვდა და, ჩემდა უნებურად, კაპრონის შარიშურის დინებას აუყვა.

„ასე მიცურავს ლოტოსი წყალზე!“

აღარ ილიმებოდა, მუხლებში ჩამჯდარმა ერთხანს მიყურა, მიყურა და მერე შუბლზე ჩამოშლილ თმაზე თითები გადამაყოლა, აი, ისე, თამამ, „ცხვირმოუხოცავ“ ბიჭებს ჯიუტ ქოჩორს რომ გადაუსწორებენ ხოლმე.

ვიდრე გავარკვევდი, მომეჩვენა თუ უპეებში ცრემლი მართლა ჩაუდგა, სადღაც კარი გაჯახუნდა.

მჭახე ხმამ საფეთქლები მატკინა და თვალები მოვცუჭე.

ფეხსაცმლის კაჯუნის ხმა დერეფანში წინ აღარ წასულა, უკან, კიბისკენ გაბრუნდა.

წამომდგარმა, თვალები რომ მოვიფუნიტე, პირველად რაც დავინახე, ფანჯრის რაფაზე დარჩენილი ტკბილეულის პარკი იყო...

რა მკითხე, სეხნი?

მერე რა მოხდა?

არაფერი, სულ ეს იყო, გაიყინა „ლოტოსი წყალზე!..“

სამაგიეროდ, წავიდნენ წლები!..

გაჰყვნენ დროის დინებას...

თვალები ხომ არ ბერდებიან!

არც ხსოვნაში ჩარჩენილი სილამაზე ჭენება!..

ამას წინათ, წირვაზე, ერთი, შორიახლო მდგომი, ასაკით შემჭერარი ქალბატონი თვალებით მივამგვანე — არ დამიჯერებ და, თითქოს მაღალმა ძაბვამ მიიტაცა, ამენვა ხელის ნები — წამიერად ისევ „გაცურდა ლოტოსი წყალზე.“

პირჯვარი გადავისახე და შენდობა ვითხოვე!

არ გამოვემცნაურე!

რატომ?

შემეშინდა, ვაითუ, მართლა ის გამოდგეს-მეთქი.


რა ვენა, უცნაურები ვართ ჭოტები!

ახლა რაღა შეგვცვლის — ვიდრე „წითელ წიგნში“ შეგვიტანენ, რომ არ ჩაგვთვლიმოს, ხანდახან შუალამეს გავიკვით და სადღაც, შორიახლო ჩასაფრებულ, სახელდაურქმეველ შიშს ვაფრთხობთ.

ვინ გვეტყვის, როდემდე მოვიგერიებთ!

ამიტომ, სეხნი, მოდი ნულარ გადავდებთ, ვინც დავრჩით, ერთხელაც შევიკრიბოთ და სამახსოვრო სურათი გადავილოთ.

რა ვიცით, რა ხდება!



გიორგი გიგაური

ს ი მ ი ლ ი ს ი მ ი ლ ი ს ი მ ი ლ ი ს ი მ ი ლ ი

ნუთუ წელმა და... წელისტერამ ასე ინება?! –
ლამით არა და... არ მასკვენებს ფიქრი, – წყეული,
შიკრთება ძილი, ფიქრში ჩაფლულს არ მეძინება,
ასეთ სიბნელეს როდი იყავ, სულო, ჩვეული?!

შეწომაშ ჩემში, ლამის, ახლა, შემშრომს ჭკვაზე,
რომ... საფარფელი სიკვილიამდე თავს მომახვიდა...
წეფი ყოფილა – ყველაფერი, ამ ქვეყანაზე,
გულს ვიკეთებ და... საფლავ მჭერა: ჩემზე ახა.

ალბათ, სულ, მაღლე, წერე სულში ჩამობნელდება,
შიკრთება ძილი, არ მასკვენებს ფიქრი, – წყეული,
ჩემი წარსული სიზმარივით გამახსენდება,
ასეთ სიბნელეს არ იყავი, სულო, ჩვეული.

23

გ. გიგაური



წოლოს მაჭარის ლვინდება...

რა სახელიც მაქვს: ჩემს სოფელში, სახლში, თუ, გარეთ,
სიკვდილის მერე, უეჭველად, გამოვლინდება...

არვინ შეხედოთ ჩემს ცხოვრებას ავად და მწარედ,
არა უშავს რა, მაჭარიც, ხომ, ბოლოს, ლვინდება..

25. X. 2022

ასეთ სიბნელეს, არ იყავი, სულო, ჩვეული

დალამდება და... ბებერ გულში ჩამობნელდება,
ფიქრს მიეცემა – უიმედოს, ნატანჯი სული,
ჩემი წარსული სიზმარივით გამახსენდება,
ტყვიანაკრავი ირემივით შეკრთება გული.

ნუთუ ბედმა და... ბედისწერამ ასე ინება?! –
ლამით არა და... არ მასვენებს ფიქრი, – წყეული,
მიკრთება ძილი, ფიქრში ჩაფლულს არ მეძინება,
ასეთ სიბნელეს როდი იყავ, სულო, ჩვეული?!

შეცდომამ ჩემმა, ლამის, ახლა, შემშალოს ჭკვაზე,
რომ... სადარდელი სიკვდილამდე თავს მომახვია...
ბედი ყოფილა – ყველაფერი, ამ ქვეყანაზე,
გულს ვიკეთებ და... სადლაც მჯერა: ჩემზე ახა.

ალბათ, სულ, მალე, ბებერ სულში ჩამობნელდება,
მიკრთება ძილი, არ მასვენებს ფიქრი, – წყეული,
ჩემი წარსული სიზმარივით, გამახსენდება,
ასეთ სიბნელეს არ იყავი, სულო, ჩვეული.

21. I. 2023

წოლის სიკვენე გერჩიოს

რად გინდა დიდხანს სიცოცხლე, ხალხს არ უყვარდე გულითა,
ქაჯმა დაკრულზე გაცეკვოს და მოგისყიდოს, – ფულითა,
არ აფასებდნენ შენ სიტყვას, გატარონ – გამტკნარებული,
ცოტა სიცოცხლე გერჩიოს, – კაცურად გატარებული.

25. IV. 2023. შუამთა





ლამე აჭმის შალში

შვილიშვილს მარიკოს!

ატმის ყვავილი, სურნელს ჰუნდა დაუსრულებელს,
ვერ აშინებდა, გაზაფხულის სუსხი და თქეში,
გულში იმედებს აცოცხლებდა, – აუსრულებელს,
რა კარგი იყო ატმის ბალი, აპრილის თვეში.

წვიმდა და ქარი ბალში ხეებს მძიმედ არხევდა,
ატმის ყვავილი პირს იბანდა, – თოვლით და თქეშით,
გათენდა, რტოებს მზის სხივები სითბოს აფენდა,
რა კარგი იყო – ატმის ბალი, აპრილის თვეში.

შენს დაბადებას გადავძახებ ტყეს და მთაგორებს,
რომ მოიტანე იმედი და სიცოცხლე ჩემში...
ეგ, დაბადება გაზაფხულს და ყვავილს მაგონებს,
რა კარგი იყო – ატმის ბალი, აპრილის თვეში.



გიორგი გიგაური

ჩემს გულგულა!

თუ, ხარ: ვაუკაცი და... სოფელში შენ ხალხს ახარებ,
თუ, მათ სიყვარულს, შენი გული დაუფერია,
თუ, შენი ქცევით, სოფლის ლხინი ქვას არ ახალე,
თუ, ხალხს უყვარხარ, სხვა სიმდიდრე არაფერია.

ჩემო სოფელო, შენი მიწის მწვანე ხავერდი,
მახსოვს, პატარას ბევრჯერ ფეხქვეშ გამიფერია,
არ დამაყვედრო, როგორც დედა შვილს არ აყვედრის
მუდამ მახარებს, შენს მიწაზე რაც მირბენია.

არ დამაყვედრო შენს მიწაზე ფიქრის თარეში,
ვნანობ დაგტოვე, დრო ტყუილად გავანიავე,
თითქოს, მრცხვენია, ვერ გიყურებ ისე, თვალებში,
რომ განშორებით ეს შეხვედრაც დავაგვიანე...

ო, როგორ მინდა: მოვიხადო კაცური ვალი,
და ჩემს გულგულას სიყვარული გავუნანილო,
რომ... განშორებამ, სინანულის დატოვა კვალი
იმ, ბოლო გზაზე – ცრემლიანმა რომ გამაცილოს.

დარდით დავტოვებ ჩემს გულგულას, მის ცას და ფესვებს
მინდა მათ გულში, რომ... წიგნივით, გადავიშალო,
იმიტომ „ვქსოვდი“ ჩემ სოფელზე დარდიან ლექსებს,
სიკვდილის მერეც, ჩემი კვალი არ წაიშალოს.

ვცდილობ, დავთესო სიყვარული, სოფელში, ხალხში,
იმ ქვეყნად, მათმა მონატრებამ კვლავ, დამიმონოს...
რა ბედნიერი, უდარდელი ვიქნები მაშინ,
ჩემმა სოფელმა, ერთხელ, მაინც, რომ მომიგონოს.

8. IX. 2023. შუამთა



ჩემ სოფელი!

ნაწყვეტი

მე ჩემი სოფლის სიყვარული, ფეხდაფეხ დამდევს,
რადგან, სამშობლის დავიწყება არვის არ უნდა,
სიკვდილის შემდეგ დედის გვერდით, მინაში ჩამდეთ.
რომ გულგულის მზე დაჰყურებდეს ჩემ საფლავს, – მუდამ.

მე დედაზე ვერ ვლაპარაკობ

შემომზებია სინანული, გულის ტკივილი,
რომ ბევრი მრჩება, დედაჩემზე, სალაპარაკო,
მისი სახელის ხსენებაზეც მომდის ტირილი
და, სამწუხაროდ, მე დედაზე, ვერ ვლაპარაკობ.

რომ... მისი სული, პატიოსნად, დაფრინავს ცაშიც,
იქიდან, ცდილობს, ჩემი გზები, რომ... დაალაგოს...
ილევა წლები სიბერისა, დათოვა თმაშიც,
მაინც, უცრემლოდ, მე დედაზე ვერ ვლაპარაკობ.

ვერ ვლაპარაკობ, თითქოს სიტყვა მიწყდება ყელში,
გულში მყავს, გულში, – საამაყოდ და... საარაკოდ...
მისი თვალები, სალოცავად, არსებობს ჩემში...
და, ამიტომაც, მე დედაზე ვერ ვლაპარაკობ.

29. VII 2022

დედა!

დედას დაბადების დღეზე. „106 წელი“


სიზმარში ხშირად, ვნახულობ დედას,
ჩემი სიზმრები – ტკბილზე ტკბილია,
როგორ წუხს ჩემზე, თვალნათლივ ვხედავ,
და... სიკვდილისაც – არ მეშინია.

P. S.

ის ერთი სიტყვა სიკვდილის წინ, რა იყო, ნეტავ? –
ჩემთვის სათქმელად, რომ ლამობდა და... ვერ თქვა დედამ.

25. VII. 2022

25



ოლქ. №1, 2024



შვილიშვილს – ერეკლეს!

ერთი თხოვნა მაქვს, სიცოცხლის მერე:
მოდი, ჩემ საფლავს ფეხი დაჰკარი,
შენ იქ დაგხვდება – დედ-მამაც ჩემი
და... საბოლოო ჩემი „სახლ-კარი“.

მოდი, დაადგი ფეხი სამარეს, –
ჩემო, პატარა, – „სულის ნაწილი“,
რომ... გავიხარო, – შენი დანახვით...
და... სამარეშიც გამაყმანვილო.

2. XII. 2021

26



საოცარია წუთისოფელი

საოცარია – წუთისოფელი, –
არც კი დაგაცდის თვალის გახელას,
აქრობს სიცოცხლეს როგორც სანთელი,
სიკვდილს დრო მისცა აუ, რამხელა.

17. VIII. 2020

სინაწყლი...

სანამ, სიკვდილი ფეხს დამაბიჯებს,
სანამ, ჩადგება დარდის ქუხილი,
ჩემს წარსულს ვნანობ, ჩემს მცდარ ნაბიჯებს,
თუმც, გვიანია – ჩემი წუხილი.

5. VI. 2022

იბობოქრე წხოვრების ზღვავ

იბობოქრე ცხოვრების ზღვავ, ჩემს ირგვლივ,
იბობოქრე რაღა უნდა დამაკლდეს?!..
შემატოვე მარტოობას პირისპირ,
დასაკარგიც ყველაფერი დავკარგე.

დარდის ლოდებს ვეხეთქები წყალივით,
გული უძლებს, როგორც – ძველი ქვითკირი,
ხან, კი ღამით ავცრემლდები ქალივით,
ჩემს წარსულს და ჩემს ცხოვრებას მივტირი.

იბობოქრე, როგორც გინდა დამტორე,
მკვნესარე გულს ფიქრი ვეღარ აახლებს...
სიყმანვილე მე წარსულში დავტოვე,
და... ცხოვრებაც დარდს და ნალველს არ მაკლებს.

არ მაშინებს მაგ ტალღების სიმძიმე,
და ცხოვრების ბედუკულმა ტრიალი,
ვატყობ, გულში ისადგურებს სიცივე...
და... სიკვდილიც აგვიანებს ტიალი.

იბობოქრე, – ცხოვრების ზღვავ, – ჩემს ირგვლივ,
იბობოქრე რაღა უნდა დამაკლდეს?!..
ვიცი, დავრჩი – მარტოობის პირისპირ,
დასაკარგიც, ყველაფერი, დავკარგე.

21. I. 2022

იქნება, ჩემი ზრალია?..

დღესაც, არ ვიცი რა ხდება, –
გულს რომ ატირებს – დადაგულს...
დღეს, გვიანია – გოდება,
ვინ დააბრუნებს დაკარგულს?!..

ნუთუ, – სიკვდილი გამრიყავს,
სულში იქროლებს ქარია,
იქნება, ვიყავ მართალი,
ან, – იქნებ, ჩემი ბრალია?..

2. VIII. 2008

წვიმა ფა ლამე

ლამის წყვდიადში გავედი გარეთ,
მარტოსული და ლონემიხდილი,
თვალი შევავლე ჩემს სარკმელს მხარედ,
ის – შავი იყო: როგორც სიკვდილი.

ვუცერდი, ბნელში, ჩემ ეზო არეს,
ნაწვიმარ ვარდის ნახვა მინდოდა,
ბნელოდა ძლიერ არ ჩანდა მოვარე,
ვფიქრობდი როდის ამოვიდოდა?..

სურნელს აფრქვევდა თეთრი ვარდები,
ალარ მინდოდა შემოსვლა სახლში,
სახურავიდან, წვიმის წვეთები,
თითქოს ცრემლებად წყდებოდნენ მაშინ.

ვერ შევაჩვიე სიბნელეს თვალი,
არ ჩანდა მოვარე, ელავდა, ქუხდა,
და... გამახსენა, რომ, „ერთი ქალი“
ალბათ ჩემსავით წუხდა და წუხდა.

ნუთუ, – სიცოცხლეს ფასი აქვს ჩალის?!..
მთელი ცხოვრება დამიდგა წინა,
წარსული, ანშე და მომავალი, –
ყველა, ერთად, რამ დამაკარგვინა?!..

წარსული რატომ მაფიქრებს მხოლოდ? –
ვერ დაგიბრუნებ დღევ, გარდასულო,
და, მაინც ვცდილობ სიცოცხლის ბოლო –
როგორმე მალე, არ დავასრულო.

შევედი სახლში მწუხარე, სველი,
ბნელოდა, გული ფიქრებით ვლალე,
არ მასვენებდა – წარსული ჩემი,
დარდისა და განცდის წვიმა და ღამე.

25. V. 2016



ლანა განველი

საქართველოს კულტურის, სპორტის, გარემონიკურის
მდგრადი განვითარებისა და სამართლებრივი
მინისტრის მინისტრი

გვიან დამით, რელიგიური შეცემიდან დამრუნებულს
კარი რომ არავინ გაულო, გულმა რეჩხი უყო. გასაღებით
საკუჭი სწორფად გადაატრიალოა და დაწარიელებული წინის
დანახვაზე კულტურულს მიხვდა. მაშინვე მურადს დაუკუეა და
მასთან ერთად პოლიტიკში წავიდა. წოლს, შეიღის გატაცებაში
ადანაშაულებრივ და შავშეის დამრუნებას ითხოვდა.

ლ. მანველი

27



საქართველოს კულტურის, სპორტის, გარემონიკურის მდგრადი განვითარების მინისტრი

Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი; „ოლე“ №1, №2, №3, №4, №5, №6, 2023 წელი.

მელანი

– მელანი... ელიასს მხოლოდ ერთი სი-
ტყვა, მისი სახელი მოეწერა.

მოზღვავებული ემოციებისგან ეგონა
გული გაუსკდებოდა. თვალები დახუჭა და
სახე გაშლილ ხელისგულებში ჩამალა.

ესე იგი, ელიასს ის კიდევ ახსოვდა.
ტკივილის და შვების ცრემლები სცვიოდა
თვალებიდან, გულიდან, მთელი სხეული-
დან.

– სული დამეღალა... ვეღარ ვუძლებ...
მტკივა, ელიას... – ჩურჩულებდა და არეუ-
ლი გონებით მომავლისექნ გზის განვებას
ცდილობდა. დიდხანს ტიროდა. ბოლოს
დასიებული ქუთუთოები ერთმანეთს დააშ-
ორა და დაბინდული მზერით, ელიასის პა-
სუხის ქვეშ თავისი მობილური ტელეფონის
ნომერი მიაწერა.

უჩვეულო სიწყნარე სუფევდა სახლში.
მიუხედავად იმისა, რომ სიცხის გამო, ყვე-
ლა ფანჯარა ღია იყო, ქუჩიდანაც არანაირი
ხმა არ მოისმოდა. ისეთი შეგრძება დაეუ-
ფლა, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ ის და
ელიასი დარჩენილიყვნენ. დედამიწის სხვა-
დასხვა წერტილში, მაგრამ ერთსულად.

ემირი და აია ჯერ ისევ არ ჩანდნენ.

გარდერობში საგულდაგულოდ გადამალუ-
ლი, საფრანგეთიდან ჩამოტანილი სუვენი-
რების პატარა ყუთი მოძებნა და კალთა-
ში ჩაიდო. თვითონ ყუთიც სუვენირი იყო,
ანეტის ნაჩუქარი. დროის დინებისგან დაძ-
ველებული და გაცრეცილი. ბავშვობაში
ძალიან უყვარდა ამ ყუთზე გამოსახული
ნახატების და ნარნერების თვალიერება.
ელზასურ სამოსში გამოწყობილ გოგონას
მარჯვენა ხელი ყვავილებით მოხატული
ურიკისთვის ჩაეკიდა, რომელშიც მასზე უმ-
ცროსი, წითელკოპლებიან კაბაში გამოწყო-
ბილი გოგონა იჯდა და საფრანგეთის ალამს
მხიარულად აფრიალებდა. ყუთს ზემოდან –

„es Authentiques de Hansi“ ეწერა. გვერდებ-
ზე ასევე ტრადიციულ სამოსში გამოწყობი-
ლი ბავშვები ეხატა. ყველას ერთად გრძელი
სანოტო ფურცელი დაეჭირათ და მღეროდ-
ნენ. მელანიმ ყელში მოწოდილი ცრემლი
ჩაყლაპა და საცოდავი ღიმილით სახურავი
ახადა. პირველი, რაც თვალში მოხვდა, ანე-
ტის სპილენძისგან დამზადებული სამაჯუ-
რი იყო. ბებიამისი მას მაღალი წნევისგან
თავის დასაცავად ატარებდა ხოლმე. ვიდრე
მაჯაზე მოირგებდა, ხელისგულებში მოიქ-
ცია და თითები მაგრად მოუჭირა. ელია-
სის ნაჩუქარი ქრისტეს შობის სცენის ამ-
სახველი პატარა ბარათიც იქვე იდო. ხელში
ფრთხილად აიდო, ჩვეულებისამებრ ჯერ
მიუალერსა, მერე კი გულზე მიიდო.

ოლე №1, 2024





პლეკავი

მურადი ბათუმში პირველად მაშინ მოხვდა, როდესაც ემირს კიდევ ერთი მაღაზიის გახსნა უნდოდა და ნიადაგის მოსამზადებლად ის საქართველოში გააგზავნა. იქაურ თურქ საქმოსნებთან გასაუბრების შემდეგ, აჭარელი მაკლერის თანხლებით რამდენიმე კომერციული ფართიც მოინახულა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ემირს ფოტოები და სხვა ბევრი საჭირო ინფორმაცია გაუგზავნა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, რომ არა მისი დაინტერესება აზარტული თამაშებით. სასტუმროში, სადაც ის დაბინავდა, კავკასიაში ყველაზე დიდი და მდიდრული კაზინო ფუნქციონირებდა. თურქეთში მზარდი თვითმევლელობების, მკვლელობების და გარკვეული სოციალური თუ კულტურული მიზეზების გამო, ქვეყნის ხელისუფლებამ 1996 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნებული ცირკულარით ყველა კაზინო დახურა და თამაში აკრძალა.

მურადმა, იმ საღამოს, ცოტათი განტვირთვა გადაწყვიტა და ცნობისმოყვარეობით შეხსნა კაზინოს კარი. ნეონის განათებამ მაშინვე თვალი მოსჭრა. დარბაზში უზარმაზარი წითელი, ოქროსფერი ყვავილებით მოხატული ხალიჩა დაეფინათ. მსუბუქად შეაბიჯა, რბილი იატაკი თითქოს მის ტერფებს იკრავდა. პირველივე მაგიდასთან შეჩერდა, ჯერ შორიდან აკვირდებოდა მოთამაშებს, მერე კი თავადაც მიუჯდა „ბლექჯეკის“ სათამაშო მაგიდას და დილერს თურქულად მიესამართო. იმ ღამით მცირე თანხა მოიგო. ბოლოს კაზინო კარგ ხასიათზე დატოვა და ღამის გასაგრძელებლად ბარში შევიდა.

ახალი გატაცების შესახებ ძმისთვის არაფერი უთქვამს. მერე კიდევ რამდენჯერმე ითამაშა და რაც თანხა ჰქონდა მთლიანად წააგო. სტამბოლში ნასესხები ფულით დაბრუნდა.

ლუი

უანამ რომ მიატოვა, ეს ამბავი ლუის დიდად არც სწყინია. გათენებისას, კლუბიდან დაბრუნებულს დაცარიელებულმა სახლმა ცოტა არ იყოს შვებაც კი მოჰვარა. უანას ყველაფერი თან წაეღო, ის ნივთებიც კი რომლებიც მას არ ეკუთვნოდა, მაგალითად ლუის ვინილების კოლექციიდან რამდენიმე თან გაეყოლებინა, ისინი რომლებსაც ლუი ბოლო ხმაზე თითქმის ყოველდღე უსმენდა და ყოვ-

ელთვის ფირსაკრავთან იდო. რამდენი ხანია ერთმანეთთან ურთიერთობას ჩხუბის გარეშე ვეღარ ახერხებდნენ და ლუიმ იფიქრა, რომ მან ამით სამაგიერო გადაუხადა. და არა მარტო ამით. უანას წასვლისას გასაღებების ჩამოსაკიდი დაფაც ჩამოეგლიჯა, ანეტის სარკე გადაეყირავებინა და მაგიდაზე სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლე და სანახევროდ დალეული ყავის ფინჯანი დაეტოვებინა. ბოლო დროს ლუის სახლში გაჩერება აღარ უნდოდა, ერთმანეთს ვეღარ იტანდნენ და ორი სიტყვის შემდეგ ის და უანა ისტერიკას აწყობდნენ.

ლუი ჯერ ჩამოჯდა, მომხდარი კარგად გააანალიზა, შემდეგ დალლილობის მიუხედავად ყველა უთხე-კუნძული მოიარა და დილამდე, უანას იქ ცხოვრების ყოველგვარი კვალი წაშალა.

„პეცედრა“

ბოლო დროს აიას ბალში წასვლა აღარ უნდოდა. დილდილობით თავბრუსხვევებს და მუცლის ტკივილს უჩიოდა. სტამბოლელმა ექიმებმა მისი ავადმყოფობის მიზეზი ვერ დაადგინეს. უამრავი გამოკვლევა ჩაუტარეს, სისხლის ანალიზი კი გამოსაკვლევად ანკარაში გააგზავნეს. ბოლოს ექიმთა კონსილიუმზე, მიღებული პასუხების მიხედვით, საბავშვო შაკიკი დაუდგინეს და შესაბამისი მკურნალობის კურსიც დაუნიშნეს. მაგრამ, გოგონას წამლების დალევა არ უნდოდა. მელანი აძალებდა. ემირი ჩხუბობდა, შვილის ავადმყოფობაში მას ადანაშაულებდა და მედიკამენტების მიცემას უკრძალავდა.

იმ დღეს, აია ისევ სახლში დარჩა. პონები საწოლის გვერდით მდგომ ტუმბოზე გაამწერივა და გვერდით მიუწვა. მელანის რომ არ აეყენებინა მთელ დღეს ასე ძილ-ღვიძილში გაატარებდა. ტანსაცმელი ჩააცვა და ეზოში ჩაიყვანა.

აიას საქანელაზე ქანაობა უყვარდა. გოგონა ბავშვებთან არ კონტაქტობდა. მათგან მოშორებით იდგა და თავის რიგს მორჩილად ელოდა. მელანი აგულიანებდა, მაგრამ საშინლად დამორცხვებული აია დედას ეკვროდა და ბავშვებს სახეს არიდებდა. ბოლოს იძულებული გახდა თავადაც საქანელაზე დამჯდარიყო და შვილი კალთაში ჩაესვა. ერთხანს ასე იქანავეს, მერე ერთად ითამაშეს ქვიშაში. უფრო მელანი „თამაშობდა“, აია წარამარა



ისუფთავებდა ქვიშით დასვრილ ხელებს და პრაზობდა. სახლში ასვლისთანავე აბაზანის მიღება მოითხოვა, თბილ რძეში გახსნილი შოკოლადის ფხვილი დალია და დაიძინა. მელანიმ, ვახშმის მოსამზადებლად, საყინულიდან, გასალლობად, ხორცი გამოიღო, ავეჯს მტვერი გადაწმინდა და კომპიუტერს მიუჯდა. ის იყო წერა უნდა დაეწყო, რომ მისი მობილური განათდა. ეკრანს დახედა და მაშინვე გული ყელში მოეჯინა, – საფრანგეთიდან რეკავდნენ.

– Oui, Allô?

წამიერი სიჩუმის შემდეგ, მისთვის ამქვეყნად ყველაზე მშვიდი, იმედის მომცემი სასიამოვნო ხმა გაჟღერდა:

– მელანი...

მელანის ღელვისგან ყელი გაუშრა, ხელი უნებლიერ გულისკენ წაიღო და წლების განმავლობაში მხოლოდ თავისთვის, ფარულად ნათქვამი სახელი უცნაური მსხვრევადი ხმით აღმოხდა:

– ელიას...

– élanie, tu es ma rose éternelle... pour l'amour éternel...*

ღმერთ! როგორი ამაღლვებელი იყო ეს სიტყვები.

მელანიმ ცხვირში სიმწარე იგრძნო, თვალებიდან ცრემლები გადმოსკდა და პატარა ბავშვივით ლუღლული დაიწყო:

– Je l'espèrè... Je l'espèrè Elyas!**

უაღრესად დაბნეული ყვებოდა თავის ტკივილზე, მარტობაზე, სევდაზე. ისევე, როგორც შვილი ელის დედისგან გამხნევებას, დაყვავებას, თავზე ხელის გადასმას, მსგავსი მოლოდინით უცბადვე მიეკედლა თავის ერთადერთ და უჭერობ იმედს.

მიზრაპებთან

ბარგის ჩალაგება ისე დაიწყო, ყველაფრის ასე უცბად მიტოვების გამო, სინანული ერთი წუთითაც არ უგრძენია. გონებაში მხოლოდ ელიასის ნათქვამი: „ჩემთან წამოდით, მელანი...“ უტრიალებდა და განუსაზღვრელი ენერგიით ავსებდა. ემირის მიერ მიცემულ

* შენ ხარ ჩემი მარდიული ვარდი... მარადიული სიყვარულისთვის... (თარგმანი ფრანგულიდან).

** იმედია ასეა, იმედია ასეა, ელიას! (თარგმანი ფრანგულიდან).



ლანა მანველი

მინდობილობას, რომლითაც აის საზღვრებს გარეთ გაყვანა უპრობლემოდ შეეძლო, ვადა ჯერ კიდევ არ გასვლოდა. პატარა ჩემიდანში თავისი და აის ტანსაცმელი, წარსულიდან გამოყოლილ, მისთვის ძვირფას და სხვებისთვის არაფრისმთქმელ ნივთებთან ერთად გაამზადა და დროებით გარდერობში დამალა. მერე ავიაკომპანიაში დარეცა, სამგზავრო ბილეთები დაჯავშნა და ელიასს შეტყობინება გაუგზავნა. ბავშვი არაფრის ეკითხებოდა. საღამოს მამასთან ერთად უყურა

საბავშვო ფილმს და იქვე მიეძინა. მელანის კიდევ ერთხელ ეტკინა გული არშემდგარი ოჯახური ერთობის გამო და მძინარე აია ხელში ფრთხილად აიყვანა. ემირს ცოლისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ფეხები აისგან განთავისუფლებულ ადგილზე შემოაწყო და ტელევიზორი სხვა არხზე გადართო.

მელანის ღამით თითქმის არ სძინებია. აიამაც რამდენჯერმე წამოიტირა. დილაუთენია წამოდგა, საუზმის სამზადისს შეუდგა, მაგრამ ემირმა არ ინდომა, სუფრის კოვზით თაფლი გადაყლაპა და სამსახურში წავიდა. მელანი სწრაფად მოემზადა, გზისთვის ორი სენდვიჩი შეავია, გარდერობში დამალული ბარგი გამოიღო და ტაქსი გამოიძახა. ნახევრად მძინარე აიას ლოგინშივე ჩააცვა. ბავშვი არაფრის არ ამზობდა.

არც მაშინ უკითხავს რამე, როდესაც თვითმფრინავში ჩასხდომამდე, მელანიმ ყურში უჩურჩულა: დედიკო, იცი, საფრანგეთში მივფრინავთ. აიამ ქერა, კულულებიანი თავი მორჩილად დაუქნია და მზერა აარიდა, ხოლო ვარდისფერ პონის, რომელიც ხელში ეჭირა თითები მაგრად, ნერვიულად მოუჭირა და სახე წამოუწითლდა. მელანი ჩაეხუტა. მისი ასეთი მდგომარეობა აფიქრებდა, რამდენჯერაც ემირს შესჩივლა, ის – „არაფერიც არ სჭირსო ჩემს შვილს!“ – ჯიუტად იმეორებდა და ცოლს მისი ახლობლებისგან ბავშვის გარიყვაში ადანაშაულებდა.

ელიასი ბაზელის აეროპორტში დახვდათ. შავ შარვალს და შავ პერანგს ბორდოსფერი თხელი შარფი უმშვენებდა. ასევე შავი ფერის კაბა ეცვა მელანისაც. უცხო ადამიანის დანახვაზე გოგონა დედის მკერდს კიდევ უფრო მიეკრა. მელანის ნიკაპი აუკანკალდა. ელიას-





მა მელანისთვის ამქეყნად ყველაზე წრფელი ღიმილით გაუღიმა და ორივე გულზე მიიკრა.

მელანიმ შვებით ამოისუნთქა. ელიასი მისთვის მშობლიური სახლივით იყო, სადაც შეიძლება არასოდეს დაბრუნდე, მაგრამ მუდამ გეგულებოდეს.

ბაზელიდან კოლმარამდე მანქანით 64 კილომეტრი უნდა გაევლოთ. აიას მალევე ჩაეძინა. მელანის მობილურის ეკრანზე ემირის უპასუხო ზარები გროვდებოდა. ელიასმა თანაგრძნობით შეხედა და ისევ გაუღიმა.

თუ არ ჩავთვლით, რამდენიმე საჭირო ნინადადებას, მგზავრობის დროს თითქმის არ უსაუბრიათ, თუმცა ერთმანეთის გვერდით ყოფნა ორივეს ბედნიერებას და სიმშვიდეს ანიჭებდა. მელანი წარსულში, ელიასთან დაკავშირებულ მოგონებებში ჩაძირულიყო. ელიასსაც თვალწინ ის პატარა, ნაწყენი მელანი ედგა და როგორც მაშინ, იმ შორეულ წარსულში, ახლაც მის შეელას ცდილობდა. თავისთვის იღიმებოდა. მელანი ახლა უკვე მის გვერდით იყო და თუ ისიც მოინდომებდა, მთელ თავის სიცოცხლეს მას შესწირავდა. ვიდრე სახლისკენ მიმავალ გზისკენ გაუხვევდნენ, მანქანა „პატარა ვენეციის“ უბანთან შეაჩერა. მელანის ძალიან უყვარდა ეს ზღაპრული, ფერადი არქიტექტურით და ყვავილებით მორთული ქალაქი. მდინარე ლაუხის სანაპირო ტურისტებით იყო სავსე. ელიასმა აიას წყალი და ტკბილეული უყიდა, ხოლო მელანის წითელი ვარდების თაიგული მიართვა და გაუმეორა: თუ ეს *ma rose éternelle... pour l'amour éternel...* მელანიმ არ უპასუხა, მხოლოდ გაუღიმა და თავი დახარა.

კარი ლეამ გაუღოთ. მელანივით მასაც შავი სარაფანა ჩაეცვა, მხრებამდე შეჭრილ თმაზეც შავი ნაჭერი გადაეჭირა. ელიასი დედას ჰგავდა. მან მელანიც და აიაც კეთილდად მიიღო. ისე იქცეოდა, თითქოს მათ სულ იცნობდა. ვიდრე მელანი კედლებზე გამოფენილ ელიასის ნახატებს ათვალიერებდა, ხოლო *le tartre flambée*-ს ამზადებდა, ელიასი აიასთან მივიდა, რომელიც თავისი ზურგჩანთიდან ნელ-ნელა იღებდა პონებს და პატარა ნოხზე ამწკრივებდა.

— აბა, ჩვენო პონი, შეიძლება მეც შენთან ერთად ვითამაშო?

აიამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მორცხვად გაუღიმა. ელიასი იქვე ჩაჯდა, ზურგით დივანს მიეყუდა და მტკივანი ფეხი რის ვაივაგლახით გაშალა.

მელანის პატარავალ

ემირმა, დღის განმავლობაში, სახლში რამდენჯერმე დარეკა, მაგრამ უშედეგოდ. მელანი არც მობილურზე პასუხობდა.

— „Allah bilir sen yine ne işler çeviriyyorsun?!”*

— გაიფიქრა ცოლის მისამართით და ისევ თავის საქმეებს მიუბრუნდა.

გვიან ღამით, რელიგიური შეკრებიდან დაბრუნებულს კარი რომ არავინ გაუღო, გულმა რეჩხი უყო. გასაღებით საკეტი სწრაფად გადაატრიალა და დაცარიელებული ბინის დანახვაზე ყველაფერს მიხვდა. მაშინვე მურადს დაურეკა და მასთან ერთად პოლიციაში წავიდა. ცოლს, შვილის გატაცებაში ადანაშაულებდა და ბავშვის დაბრუნებას ითხოვდა. დილაუთენია Turkcell-ის ოფისში წავიდა და რადგანაც მელანის მობილურის სიმ ბარათი მის სახელზე იყო გაფორმებული, ბოლო თვეების სატელეფონო ზარების ამონაწერი უპრობლემოდ გამოითხოვა. შემდეგ გაბრაზებულ გულზე ლონდონში დარეკა და იქაურ „ძმებთან“ ჩაღლას სასწრაფოდ სტამბოლში დაბრუნების საქმე მოაგვარა.

სატელეფონო ამონაწერიდან უამრავჯერ გამოყენებული ფრანგული ნომერი ამონერა და მაშინვე დარეკა. არავინ არ უპასუხა. ამჯერად, სტრასბურგში, შარლოტას დაუკავშირდა და მომხდარის შესახებ მოუყვა.

ზარი მიზრაჲებთან

შარლოტამ დიდხანს, ყოველგვარი ჩარევის გარეშე უსმინა ემირის უასასრულო წუხილს; იმას, თუ როგორ აკეთებდა ყველაფერს ოჯახისთვის, მისი ქალიშვილი კი მაინც არ იყო კმაყოფილი. არ ურთიერთობდა მის ნათესავებთან, ბავშვებსაც უკრძალავდა მათთან ურთიერთობას და მუდმივად სევდას და განმარტოებით ყოფნას ამჯობინებდა. მიუხედავად იმისა, რომ კმაყოფილი იყო მელანის სისუფთავით და მონესრიგებულობით, ის მაინც არ იყო კარგი ცოლი და მისი თანამდგომი. მოუყვა, როგორ მოულოდნელად, ყოველგვარი ამბის დატოვების გარეშე მიატოვა და აიაც თან წაიყვანა. ჩაანერინა ფრანგული ნომერი, რომელზეც ბოლო პერიოდში სისტემატურად რეკავდა მელანი და ასევე ხშირად უკავშირდებოდნენ ამ ნომრიდანაც. თუ როგორ აერია ყველაფერი, მელანის

* ღმერთმა იცის კიდევ რას აკეთებ?! (თარგმანი თურქულიდან).

წასვლით და ამის გამო უამრავი საქმე გაუფუჭდა. უთხრა ისიც, რომ განცხადება შეიტანა პოლიციაში და ჩაღლა სტამბოლში დაბრუნა. როგორც იქნა შეწუხებულმა შარლოტამ ლაპარაკი შეაწყვეტინა და ჰკითხა: „ჩემგან რას ითხოვ? ჩემი შვილი მე არ დამკავშირებია და არც მისი ადგილსამყოფელი ვიცი“.

ემირს უნდოდა, რომ მას მის მიერ მიცემულ ნომერზე დაერეკა და ადრესატის ვინაობა გაეგო.

შარლოტა დაპირდა და დროებით დაემშვიდობა. საგონებელში ჩავარდნილი ქალი ერთხანს ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო, — ლუისთვის დაერეკა თუ მელანისთვის მიეწერა. არც ერთი არ უნდოდა. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო და ემირის მიერ მიცემული ნომერი აკრიფა:

— Allo! — მამაკაცის ხმის გაგონებაზე შეკრთა. ცოტა შეყოყმანდა, მერე გამბედაობა მოკრიბა და მტკიცე ხმით წარმოთქვა: „Bon-jour, შარლოტა ვარ, მელანის დედა!“

აღელვებული სუნთქვის გაგონებაზე მაშინვე მიაყოლა: „ვინ ბრძანდებით? შეიძლება ჩემს შვილს დაველაპარაკო?“

— Bonjour, Madame, მე ელიას მიზრაპი ვარ! გადავცემ და თვითონ დაგირეკავთ.

შარლოტა გაბრაზდა და დაიყვირა: „სჯობს შვილების დედა ოჯახს დაუბრუნოთ!“

პასუხი აღარ მოუსმენია, მაშინვე გათიშა. ელიასის წერილები გაახსენდა და ლუისთან მოუნდა ლაპარაკი. როგორც ჩანს, მელანი ისევ წარსულში იქექებოდა.

— წყეულო ებრაელო! — ტელეფონი გადააგდო და სიგარეტს ხელისკანვალით მოუკიდა.

Mauvaise mère*

მელანიმ დედასთან დარეკვა არ ისურვა. იცოდა, რომ მასთან ვერც სითბოს და ვერც თანაგრძნობას ვერ იპოვიდა. ლუის გახსენება ხომ საერთოდ ზარავდა. მიზრაპებთან კარგად იყო, აიაც კონტაქტური გახდა. ვიდრე შემდგომ ნაბიჯებს გადადგამდა, მცირე ხნით მაინც სიმშვიდეში ყოფნა სურდა. ემირი ყოველდღე უამრავ შეტყობინებას უგზავნიდა. ხან ეჩხუბებობდა, ხან უყვავებდა. აია ერთხელაც არ უხსენებია. ბოლოს მელანი მის გზავნილებს წაუკითხავად შლიდა. ელიასი და ლეა თავს დასტრიალებდნენ. ისე გრძნობდა, თითქოს

* ცუდი დედა. (თარგმანი ფრანგულიდან).

მათი ოჯახის წევრი იყო. აია, პონებით ხელში სულ ლეას დასდევდა და თავის ამხანაგებზე უყვებოდა. ჩუმად უამბო იმ „ცუდ“ ბავშვზეც რომელმაც ბალში, მისი პონები კარადაში დამალა და უკან აღარ აძლევდა. მელანი თურქეთში დაბრუნებაზე არც იფიქრებდა, რომ არა ჩაღლას შეტყობინება.

ლეა სამსახურში, ხოლო ელიასი სტრასბურგში, დეიდამისის საქმეების მოსაგვარებლად იყო წასული, მელანის მობილურში ახალი შეტყობინება რომ შემოვიდა.

ბრაზით და ზიზღით იყო სავსე ჩაღლას სიტყვები. მათი კითხვისას მელანის თვალთ დაუბნელდა და შეტორგმანდა.

— Je te déteste profondément parce que tu es une mauvaise mère pour moi, même si tu n'es même plus ma mère pour moi.** — ჩაღლა ამგვარად ამთავრებდა, დედის სალანძღავ წერილს.

მელანის კეთილი მომავლის ყველანაირი იმედი გადაეწურა და შვილის მწარე სიტყვებით გონებარეულმა უკან დასაბრუნებლად სწრაფადვე დაიწყო მზადება.

უკან

ტაქსში რომ ჯდებოდნენ, ელიასის მეზობელი — მადამ გიზელი ქუჩას გვიდა. აბარგებული მელანის დანახვაზე შეჩერდა და სახეზე გაკვირვებული ლიმილი გამოესახა. მელანიმ თავი ჩაღუნა. ან კი რა უნდა ეთქვა? — ის რომ ასე ქურდულად ტოვებდა ოჯახს? გარბოდა იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ამქვეყნად ყველაზე კეთილი გულით შეიფარეს ის და თავისი შვილი?

მიზრაპებთან სტუმრობისას, როდესაც აიას გარეთ ასეირნებდა, ხშირად ესაუბრებოდა მადამ გიზელს, ახლა კი გამარჯობაც ველარ უთხრა. აია ისევ ჩაიკეტა, გაჩუმდა და უტყვად მიჰყვებოდა დედის გზას. სევდისგან გათანგულმა, სტრასბურგის მატარებლების სადგურიდან დაურეკა ემირს. მან თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, ისე მშვიდად შეხვდა მის ზარს და პარიზიდან სტამბოლამდე თვითმფრინავის ბილეთები უყიდა. მელანი ჩაქრა, გაილია და მორჩილად გაუდგა ულიმღამო და უმომავლო გზას.

** „ძალან მშელხარ, რადგან ჩემთვის ცუდი დედა ხარ, მოუხედავად იმისა, რომ შენ ჩემთვის დედა აღარ ხარ.“(თარგმანი ფრანგულიდან).





ლეას თასვლა

მელანის წასვლის შემდეგ ელიასი და ლეა, მათზე თითქმის არ საუბრობდნენ. ელიასმა მხოლოდ ერთხელ დარეკა სტამბოლში, ერთადერთი შეკითხვით: „მელანი, რატომ?“

ტელეფონი ისე გათიშა, პასუხი არ მოუღია. ისევ თავის თავში ჩაიკეტა და დღების განმავლობაში დედას ყურადღებასაც არ აქცევდა. ასე გავიდა ერთი თვე. ერთ დღესაც, პარიზის კონგრესის სასახლეში, მნიშვნელოვან გამოფენაზე მიიწვიეს. გამგზავრების წინა საღამოს, რატომდაც დედასთან მოუნდა საუბარი. მისი ოთახის კარზე წყარიდ დააკაკუნა და რადგანაც პასუხი ვერ მიიღო, მცირე ხნის შემდეგ შეხსნა.

ლეა ხის, ყვავილებიან ნაჭერგადაკრულ სავარძელში იჯდა. გულზე სამკუთხედად ამოჭრილი შავი კაბა ეცვა. მხრებამდე გაშლილ თმაზე, ჩვეულებისამებრ, შავი ხავერდის ნაჭერი გადაეჭირა. ყურებზე ისააკის ნაჩუქარი სამთვლიანი ბრილიანტის საყურე ეკეთა. მუხლებზე საოჯახო ალბომი ედო გადაშლილი. იჯდა ასე ფიქრებში გარინდებული. ელიასი ჩუმად მიუახლოვდა და მის წინ ჩაიმუხლა. ლეა შეკრთა. შვილს



მხატვარი სოფიო ჭელიძე

გაკვირვებულმა შეხედა და ხელი მის გამხდარ ლოყისკენ წაიღო.

— როგორ ხარ, დედა?

— თავად როგორ ხარ მელანის შემდეგ?

— ლეამ კითხვაზე კითხვითვე უპასუხა და მკრთალად გაუღიმა. ელიასმა ალბომი მოარიდა და თავი კალთაში ჩაუდო...

სახლიდან დილაუთენია გავიდა. ლეას მისთვის მაგიდაზე საუზმე გაემზადებინა და ზედ გაზეთი გადაეფარებინა. ხელი არ უხლია.

გამოფენის დროს დედისგან შეტყობინება მიიღო. მერე ვნახავო, გაიფიქრა და მობილური გამორთო. სასტუმროში დაბრუნებისას, ტაქსში ტელეფონი ჩართო და შეტყობინება გახსნა:

— თავს გაუფრთხოილდი, ელია!

დედისთვის პასუხი მაშინვე არ დაუბრუნებია. კარგად იცოდა, რომ ლეას, მისი ასეთი უყურადღებობა ხშირად გულს სტკენდა, მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ ერეოდა, ადამიანებთან ურთიერთობისას რაღაც ძალა ზღუდავდა. მის მიმართ გამოვლენილი სითბო ეუცხოებოდა და აფრთხობდა. მხოლოდ ნომერში დაბრუნების შემდეგ უპასუხა: „დედა, მიყვარხარ!“

ლეამ არ უპასუხა. არც შეტყობინების მიღება დაფიქსირდა. ალბათ, რაიმე საქმით არისო დაკავებული, — გაიფიქრა და ვიდრე ვახშმის დრო მოვიდოდა, დასასვენებლად საწოლზე ჩამოჯდა. ფეხი ანუხებდა, ორივე ხელის დახმარებით საწოლზე შემოდო და ბალიშზე გადაწვა. გამხდარ, დაღლილ სახეზე ყვრიმალები გამოკვეთოდა, შექმუხნულ შუბლზე ნაოჭები გასჩენილა. სევდით სავსე თვალები დახუჭა და ზედ ხელისგულები დაიფარა. ის იყო ძილში წავიდა, რომ მობილურმა დაურეკა. თვალდახუჭული გადასწვდა. კოლმარის პოლიციიდან რეკავდნენ. ელიასი საწოლზე წამოჯდა და სმენა დაძაბა.

— ვწუხვართ მუსიო მიზრაპი, მაგრამ ვალდებულები ვართ გაცნობოთ, რომ დედათქვენი საგზაო შემთხვევას ემსხვერპლა... გზად მიმავალს, მანქანა დაეჯახა და ადგილზევე გარდაიცვალა...

ელდადაცემულ ელიასს, თვალწინ, დედის ოთახში დაკიდული ფოტო დაუდგა — ახალგაზრდა ლეა, პატარა ელიასით კალთაში. პოლიციის ინსპექტორი დაემშვიდობა. ელიასმა სახე ხელებში ჩამალა და ხმამაღლა ატირდა: „მიყვარხარ, დედა!..“



თამარ კოლეგიაზილი

ରାଜ୍ୟକାବି ଫାରମିନ୍ଦଲା ଦା, ହୋପାର୍, ବ୍ରାହ୍ମଗର୍ଭକ, ମିନ୍ଦା, ରାମ ପୁଷ୍ପିନ୍ଦା ଶିଳ୍ପିନ୍ଦା, ଅଲ୍ଲାର୍, ଶ୍ରୀଚିତ୍ତପୁଣ୍ୟ ମୃଷ୍ଟିନ୍ଦା ଶାମିନ୍ଦିନ୍ଦା... ଦା, ପୁର୍ବାଦ, କ୍ରିକ୍ରିଲା ମିନ୍ଦିନ୍ଦା... ବଶିନ୍ଦା, ଘର୍ଯ୍ୟକ ବ୍ୟୁତା, - ଦେଖିଲାଏ କାହାକାନ୍ଦି, ରାମବ... ଶେର୍ ଏକ ନାରୀ: ଏବଂ ଗିନ୍ଦା... ମିନ୍ଦା - ମନ୍ଦିରକାର୍ଯ୍ୟ କାର୍ଯ୍ୟକ ଗର୍ଵକାର୍ଯ୍ୟ, ମିନ୍ଦା - ଫାରମିନ୍ଦଲା, - ତାପିନ୍ଦା. ନ୍ରେତ୍ରା, ହାମିନ୍ଦିନ୍ଦା, ମର୍ବିନ୍ଦା, ମିନ୍ଦିନ୍ଦା ଦ୍ୱାରା... ନ୍ରେତ୍ରା, ମନ୍ଦିରିନ୍ଦା - ବ୍ୟବୀଲାନ୍ଦା... ଗୁଲ୍ମିନ୍ଦା - ଫରନ୍ଦାର ଶୁଣ, ଇତ୍ୟ, ଶୈମିନ୍ଦିନ୍ଦା, ରାମଗର୍ବାର୍ - ହେବା: ପ୍ରେର୍-ପ୍ରିବିଲା.

က. ပုဂ္ဂလာရေးဝန်ဆောင်ခွဲ



33

Եոյցտակը...

სიყვარული, იცი, თითქოს,
ველზე ქარის ქროლვაა,
გაზაფხულის სიმწვანეა,
მკერდში გულის ჩეროლვაა.
ციდან ურჩი ფანტელების
ნაზად ჩამოთვლაა,
აზვირთებულ ზღვის ტალღების,
შეხვეულის ამოსროლვაა.
წვიმის წვეთში მზის სხივების
არეკვლა და თრთოლვაა,
ჩანჩქერების ჩერის ჩქამით
მთა და ბარის მოვლაა.
ჩვილის თვალში ჩაპარგვაა,
სიეთისკენ ლტოლვაა,
სანთლით ხელში, უფლის სახლში
ლოცვები და თხოვნაა...
სიყვარული – იცი, კარგო.
შენ გულის პოვნაა...



თამარ
კოლეგიაზოლი

მიზის ნოუზი...

წუხილს ვატან შემოდგომის ქარებს,
მოვალ, გვიან ჩავიმუხლავ – შენთან,
გეტყვი, მხოლოდ, როგორ დავიღალე...
და... არ გეტყვი, რაც მინდოდა მეთქვა.
არ გეტყვი, რომ... იმ, ოცნებებს, – ლამაზს,
არ ეწერა გაცოცხლება, – ცხადში,
რადგან... შენ მე შემადარე მრავალს,
რადგან... შენთვის ვიყავ, თითქმის, ბავშვი.
მიდის წლები... და... დაგვათოვს – თმებზე,
დროის ჩარხი ჩვენს განვლილ გზებს ქარგას,

და... ოდესმე, მე მოვყვები – შენზე,
ერთი, – გულტვა – მზეჭაბუკის ამბავს...





რაღაეგმი დამლაცო...

რაღაეგმი დამლალა და, ზოგჯერ, ცხოვრებას,
მინდა, რომ ვუყურო შორიდან,
ახლაც, შევიყუჟე მყუდრო სამყოფელში...
და, უცბად, ტირილი მომინდა...
ხშირად, დგება წუთი, – ძნელად ასატანი,
როცა... შენც არ იცი: რა გინდა...
მინდა – მწუხარება ქარებს გავატანო,
მინდა – დავიბადო, – თავიდან.
ნეტავ, ჩამომეხსნას, მხრიდან, მძიმე ტვირთი...
ნეტავ, მოვიშორო – წუხილი...
გულში – დარდის ჭია, ისე, შემომიჩნდა,
როგორც – ზეცას: ჭექა-ქუხილი.
სადღაც, ჩაკარგულა გზები, – სანავარდო,
თითქოს, არც ყოფილა, არასდროს,
ახლა, აღარავინ, აღარ მეგულება –
ჩემი სატკივარი – გავანდო.
დამაქეს – გადალლილი, სულის სარკოფაგი,
დამაქეს – გადალლილი სხეული...
მიკვირს... ახლა, სევდაც – ისე შემიყვარდა,
როგორც, ერთ დროს, ჩემი რჩეული.
ლანდებს – მოლაციცებს, – მკრთალი მთვარის შუქზე,
ვსახავ: ჩემი სულის – ნაწილად...
რაღაც შეიცვალა, განა, მარტო, ჩემში?!.
რაღაც შეიცვალა, – ნამდვილად...
სადღაც, მინდა წასულა, შორს, ამ სამყაროდან,
სადაც არ იქნება – ტკივილი...
მინდა, რომ ცხოვრებამ ცრემლი გვაკმაროს და
ზეცამ შეისმინოს ჩივილი...
სადაც – სიწმინდეა, შვება, სიხარული,
იქით ვილტვი, – მეტი რა მინდა?!.
მინდა: ყვავილები, მზე და... სიყვარული,
მინდა: დავიბადო, – თავიდან!...

ტერნტი გრანელის...

„არა – სიცოცხლე, არა – სიკვდილი;
არამედ, რაღაც, სხვა“ – სურდა ეთქვა,
იჯდა მდუმარე და... ფერმიხდილი...
და... ამქვეყნიურ ტკივილზე წერდა.
თუ, არსებობამ დალალა, – ერთობ,
მხრებზე დააწვა – ამ სოფლის ტვირთი,
დაატყდა რისხვად ცხოვრების ექო,
ისე, ვთ, ნაპირს – ტალღების – ზვირთი...
იყო: ასეთი პოეტი, კაცი,
რომელიც, მხოლოდ, ტკივილზე წერდა....
ერთი შეხედვით – კუშტი და... მკაცრი,
თან, დაპყვებოდა – უთქმელი სევდა.
ეძებდა: წუგეშს, ხსნასა და შველას,
სურდა ეპოვა – რაღაცა, დიდი...
და – ასკეტური, მიმქრალი მზერა,
ზოგჯერ, ხდებოდა მდორე და... მშვიდი,
იქნება, მიხვდა, სულ, წამით, – თუნდაც,
რადგან... სჭარბობდა – ძალა, – ღვთიური,
რომ... ეს, – რაღაც, სხვა, როგორც მას სურდა,
სიყვარულია, – მარადიული...



დიანა მეტობიძე

ინამაშ ხელიერი კისერზე მოხვია, თავისკენ მიიზიდა და ნაზად ეამბორა.

ენმერქარი ამ ამბორმა უფრო გაახელა. უნდოდა საყ-

ვარელი ქალი თავიდან მოეშორებინა, ისე თოთქოს მასთან

არაფერი აყავშირებდა.

„მას ამ ვაჟუარვარ, უმრალოდ წრუობს,“ – მეფის გულს მძიე ლოდი დაანცა, – უმრალოდ ისის რომ უნდა ვაჟუარდე. ეს არის და ეს, მაგრამ ამდევრი მიუწყრობა ხომ ფეშმარიჭი მიუწყრობა ამ არის? გათა შეიძლება ვინმეს სიყვარული დააძალო?!”

ჭ. მეტობიძე

35



იქ, სადაც ღმერთები მეფობენ

ვუძღვნი ჩემს ლექტორს – ნინო სამსონიას

I

ურუქის ბრწყინვალებას მზეც კი დაე-
ჩრდილა. მცხუნვარე სხივები აგურთა წყობას
მორჩილად გასდევდა.

მშვიდი დღე იყო. უხმო, ოდნავ ნაღვლი-
ანიც კი.

ენმერქარი გიპარში ისვენებდა. თითქოს
რაღაც უხილავს ძლიერ ჩაეფიქრებინა. სამყ-
ოფელში ბოლთას სცემდა, შემდეგ დიდრონ
აგურის კედლებს აცერდებოდა.

მოსვენებადაკარგულს მხოლოდ სამომავ-
ლო თავგადასავლები თუღა აფიქრდებოდა.

არათას დამორჩილების შემდეგ ცხ-
ოვრების ხალისი წაერთვა. მისთვის უძრაო-
ბა დამღუპველიც კი გახლდათ. და რაღა
უნდა ილონოს მეფემ, როდესაც მეზობლებს
დაიმორჩილებს? მაშინ ხომ სამყარო მდორე
წყალივით მიედინება. აღარც ხალისია და
აღარც ავხორცი სწრაფვა დიდებისაკენ.

– ღმერთებო, დაე მომივლინეთ სატან-
ჯველი! – იტყოდა ხოლმე ენმერქარი.

თითქოს ამ სიტყვით ღმერთებს ცდიდა.

ღმერთები ერთად შეგროვდნენ, მოითათ-
ბირეს... კაცმა არ უწყის რა გადაწყვიტეს.
მათ ხომ ვერავინ ვერაფერს შეპებდავდა. მხ-
ოლოდ მორჩილად თუ მოისმენდნენ განაჩენს.

ენმერქარის სული აფორიაქდა. სიზმრა-
დაც კი რაიმე უჩვეულოს ხედავდა. თითქოს
რაღაც შორეული გასაჭირი ახსენებდა თავს.
სარეცელზე ბორგავდა, გვერდს ხშირად
იცვლიდა, ძილში ლაპარაკობდა.

და ენმერქარს ეძინა მაშინ, როდესაც
ღმერთები მის ბედ-ილბალზე მსჯელობდნენ.

II

იმ დღეს ღრუბლებმა შუბლი საავდროდ
შეკრეს.

საშინელმა ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა
ურუქის კედლები.

ენმერქარი უმადოდ იყო, მაგრამ მაინც
განიზრახა ინანასთან ხლება.

როგორც კი ფეხი ეზაგინაში შედგა, სახ-
ეზე ოდნავ შესამჩნევი ლიმილი გამოესახა.

სწორედ იმგვარი ლიმილი, რომელსაც
კაცს საყვარელი ქალის ხილვა აღუძრავს
ხოლმე.

გვირგვინოსანი ინანას კრძალვით მიუახ-
ლოვდა. ინანამ შეჰკივლა, ისე რომ ყველა
სხვა ხმა გადაფარა.

„– სიცრუე! – უცრად ენმერქარს გულ-
მა რეჩხი უყო – „ნუთუ ცრუობს?!“

– შენი ხილვაა, რაც სამარადჟამოდ მასხ-
ივოსნებს, – ინანას ხმა ტკბილ სიმღერას
წააგავდა, მაგრამ ენმერქარს რახან ერთხელ
შეეპარა ეჭვიანობის საშინელი განცდა, სა-
თაყვანებელი მიჯნურისკენ გული ველარ მიი-
ბრუნა.

„– რა მემართება? – ჰკითხა საკუთარ
თავს – „ეს ხომ ჩემი ინანა! მისით ამოდის
და ჩადის მზე!“

ინანამ ხელები კისერზე მოხვია, თავ-
ისკენ მიიზიდა და ნაზად ეამბორა.





ენმერქარი ამ ამბორმა უფრო გაახელა. უნდოდა საყვარელი ქალი თავიდან მოეშორებინა, ისე თითქოს მასთან არაფერი აკავშირებდა.

„მას არ ვუყვარვარ, უბრალოდ ცრუობს,“ – მეფის გულს მძიმე ლოდი დააწვა, – უბრალოდ იცის რომ უნდა ვუყვარდე. ეს არის და ეს, მაგრამ ამგვარი მიჯნურობა ხომ ჭეშმარიტი მიჯნურობა არ არის? განა შეიძლება ვინძეს სიყვარული დააძალო?!”

ენმერქარი საშინელმა ეჭვებმა შეიპყრო. რაღაცის თქმა დააპირა, თუმცა სიტყვები თითქოს ყელში ქვასავით ეჩირებოდა და რამდენჯერაც პირს გააღებდა, უმალ დუმილს არჩევდა.

„იცის, რომ ხელს ვერ მკრავს! მე ხომ მეფე ვარ! მეფეს ვერავინ ვერაფერს გაუბედავს!“ – ბოლო წინადადებამ გამოაფხიზლა, თავი მაღლა დაიჭრა და ინანას ალერს მეტი სირბილით შეხვდა. თითქოს ქალის შაქარივით დანამულ ტუჩებს მცირე ხნით მინებდა.

„ის ემაკია,“ – ჩასძახოდა მეორე ხმა – „მან კარგად იცის როგორ გამოიყენოს თავისი ხორციელი ვნებანი. თავბრუს გახვევს!“

ენმერქარმა ინანა განზე გასწია.

ქალმა გაოცებით შეხედა.

აქამდე ენმერქარს მასთან ალერსი არა-სოდეს შეუწყვეტია.

მაშ, ახლა რაღა მოხდა?

რამ უბიძგა უგონოდ შეყვარებულ მეფეს ესოდენ გულცივი ნაბიჯისაკენ?

ენმერქარი კედელს მიეყრდნო. მზერა ღია კარიდან შემოპარულ სინათლეს გაუსწორა. ფერმერთალი ჩრდილები სახეზე დასთამაშებდა.

– განა მე მიყვარს ინანა? – ამის გაფიქრება ერთი იყო და თავს საშინელი ქარტეხილი დაატყდა.

* * *

განა შეიძლება ინანას არსიყვარული? ეს ხომ ბუნების კანონზომიერებად იყო ქცეული. მეფეს უნდა ჰყვარებოდა ქალლმერთი. მას არ შეეძლო უბრალო მოკვდავებს გატოლებოდა.

მაშ რად აერია ფიქრის მდინარება?

ენმერქარი მძიმედ სუნთქავდა. სახეზე სისხლი მოაწვა. ინანას ვნება უკუაგდო.

გმირისთვის შეუფერებელ სისუსტეს ავლენდა.

– რამ აგიმღვრია გონების სიმშვიდე? – ჰკითხა ინანამ.

ენმერქარს მისი ხმა ახლა უფრო ფარი-სევლური ეჩვენა.

– ურუქის ბედ-ილბალი მაფიქრებს, – იცრუა ენმერქარმა.

ინანა მას ყურადღებით დააცქერდა. ბოლოს იწამა მეფის სიტყვა.

– სხვა რა უნდა იყოს! – დაიმშვიდა თავი.

სუფრის გასაშლელად მსახურს მოუხმო.

მსახურმა უმალ შემოუტანა საუკეთესო ხორცი, ყველი, ახალი პური, ლელვი, ფინიკი, მუქი და თეთრი ლუდი, მათრობელა და კიდევ ღმერთებმა უწყის რა.

ენმერქარს შუბლი არ ეხსნებოდა. ინანა-მაც სატრფოს გულცივობით მოიწყინა.

– ლეა, – მიმართა მსახურს, – მეტი ლვი-ნო მოგვართვი.

„იქნებ ლვინომ აალაპარაკოს,“ – გაუელვა გონებაში.

მსახური ლვინით ხელში დაბრუნდა. ჭიქებში ჩამოასხა და ჯერ ინანას, შემდეგ ენ-მერქარს გაუწინდა.

ენმერქარმა სასმისი გამოართვა. ორნა-მიანმა ხელის შეხებამ თვალი აუხილა. მზერა მსახურს მიაჰყრო.

რანამსაც ეს მოხდა, ადგილზე გაშეშდა. მის წინაშე თავს იწონებდა მოკრძალებული ქალის ნატიფი სილუეტი.

ლეა იდგა მორჩილად, საქმიანად.

ლვინო დაასხა, პური გატეხა, კერა გაახურა.

ენმერქარი მოწყურებული თვალებით შესცქერდა მსახურს. ეთაყვანებოდა მის სიმშვენიერეს, უბრალოებას.

აქამდე არასდროს გაეხედა სხვისკენ, რადგან გვერდს ინანა უმშვენებდა. ინანას სადარი მთელ ქვეყნიერებაზე არ მოიძებნებოდა.

განა შეიძლება ვინმე შეედაროს მის სიდი-იადეს?

ინანათი იწყებოდა სილამაზე და სიყვარული.

და მერე რამდენი უბრძოლია ენმერქარს მისთვის! თავად არათას ბატონი ენსუგირანაც კი ილტვოდა ქალლმერთის გულის დასაპყრობად, მაგრამ ენმერქარმა სძლია. სძლია და თან როგორ! მთელი არათა ურუქს დაუმორჩილა!

და რა მოხდა ახლა? რამ წახდინა უძლეველი მეფის სული? როგორ მოჰკიდა მას ხელი ადამიანურმა სისუსტემ და როგორ წაუბილნა სხარტი გონება?



საკმარისი იყო ლეასკენ გაეხედა, რომ მზერა უხევდებოდა, სუნთქვა უმძიმდებოდა და ქალისადმი საშინელ მიჯაჭვულობას გრძნობდა.

იცოდა, ეს არ შეეფერებოდა მის ძლევა-მოსილებას, მაგრამ თავს ვერ ერეოდა.

„– შეუძლებელია, შეუძლებელი!“ – ბობოქრობდა გულში – „ჩვეულებრივ მსახურს ჩემი გულის მონადირება არ შეუძლია!“

არა და არა! იგი ვერ დაუშვებდა მოკვდავთა მსგავსად რაღაც ცხოველურ ზმანებას აეტანა და ყველაფერი ამ გამოუსწორებელი ცოდვისთვის შეენირა.

ურუქის დიდებული მეფე კრთოდა არუ-რუს მიერ შექმნილი ქალის წინაშე!

III

ენმერქარს ბედი დასცინოდა.

ღმერთებმა მოითათპირეს და გადაწყვიტეს მისთვის ყველაზე დიდი სატანჯველი მოევლინათ.

„– რაღა მაინცდამაინც ქალი?“ – ბორგავდა ენმერქარი – „გამოეგზავნათ უკვდავთა არმია ურუქის დასაპყრობად! ანდაც ენსუხ-გირანასნაირი მტერი? თუგინდ გრძნეულის ხელით სიცოცხლეს გამოვესალმებინე, მა-გრამ რაღა ქალი? რაღა მოკვდავი არსება, რომლის სიყვარულიც საუკუნოდ დამტან-ჯავს?!“

ენმერქარი ინანასთან ხლებას გაურბოდა, მაგრამ რამდენჯერაც ლეას სახე მოენა-ტრებოდა, უმაღლ მისკენ იწევდა.

საკუთარ თავს უწყრებოდა ამგვარი სისუსტის გამო.

ფარულმა კავშირმა წყვილი დაახახლოვა. ორთავეს გულზე ცეცხლი მოჰკიდებოდა და შეუმჩნევლად იწვოდნენ ურუქის კე-დლებქვეშ.

ინანას ეჭვები ღრღნიდა.

მისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა ენმერქარის და ლეას საიდუმლო ტრფობა, თუმცადა თითქოს ალლოთი ხვდებოდა, რომ ენმერქარი მისდამი გაცივდა.

აღარც ძველებურად ამკობდა ათასი სამშვენისი სიტყვით და აღარც სიყვარულს ეფიცებოდა ისე ძლიერ, როგორც უწინ.

– მშვიდობის ჟამს მომენტინა, სულ ეს არისო, – ასე პასუხობდა ენმერქარი და თვალს არიდებდა.

ინანასთვის ეს პასუხი კმაროდა, რადგან იგი თავს უფლებას არასოდეს მისცემდა,

რომ თავისი სიდიადე ვიღაც მომაკვდავი ქალისთვის გაეტოლებინა.

„უძრაობამ დაღალა,“ – ფიქრობდა გულში – „მუდმივი ბრძოლის შემდეგ წყნარი ყოფა მომაკვდინებელია!“

ასე გადაწყვიტა და ამ საკითხს მეტად აღარ ჩაღრმავებია.

IV

ენმერქარის ყოფა დამძიმდა. მისთვის დღეც აღარ თენდებოდა ისე, რომ ლეა არ ენახა. უეცარმა სიტკბოებამ თავბრუ დაახვია.

მეფისათვის შეუფერებელ უძლურებას იჩენდა არურუს შექმნილისადმი. მუდამ თავს ევლებოდა. მაღულად უთვალთვალებდა. როდესაც ინანა თვალს მოატყუებდა, ენმერქარი ლეას ეტრფოდა.

იცოდა, თავი რა საშიშ ხაფანგშიც გაჰყო, მაგრამ სურვილებს ვერ ეწინააღმდეგებოდა.

თავიდან თავს ძალიან მტკიცედ და გადაჭრით შეუძახებდა ხოლმე – ჩემნაირ დიდებულ მეფეს მხოლოდ ინანას ღვთაებრივობა თუ შეეფერება. სხვისი ადგილი ჩემს სამყოფები არ მოიძებნება. მხოლოდ ინანაა ღირსი სახოტბო სიტყვისა და სარეცელისა. ეს განგებამ დაადგინა და მე ამას ვერ შევეწინააღმდეგები! – ეს გაფრთხილება დაიზუთხა და გულში ღრმად შეინახა.

მაგრამ ერთხელაც გაუგონარი რამ მოხდა.

მიჯნურთან მაღულად მისულს მოეჩვენა, რომ ლეას მეღამი ემოსა. რქიანი ტიარით დამშვენებული ლეა ამორძალების დედოფალს უფრო წააგავდა, ვიდრე მომაკვდავ არსებას.

მისი მოკრძალება გამქრალიყო და იგი ჩაენაცვლებინა ძლევამოსილებას.

ენმერქარი ქალს უსიტყვოდ მოშორდა. სასწრაფოდ დაბრუნდა თავის სამყოფები და იქიდან კარგა ხანს არ გამოსულა.

* * *

მეორე დღეს ენმერქარი ბორცვიან მაღლობს აუყვა. ცივი მდინარე შიშველი ფეხებით გადალახა და დაბლობზე გავიდა.

მიდიოდა მარტოდმარტო. გზად არავინ შეხვედრია, რადგან უკაცრიელ ტყეში არც ერთი თავზეხელალებული შეაბიჯებდა. გაიარა კედრების წყება და კლდეს მიადგა.

კლდე ციცაბო და ძალიან საშიში ჩანდა.



ენმერქარი კლდეზე მიცოცავდა. დაბლა ერთხელაც არ ჩაუხედავს. იგი ისწრაფვოდა მხოლოდ წინ, დინჯად და სხარტად.

მელამის ხილვამ მეფე გადარია.

„ეს წარმოუდგენელია! ალპათ მომეჩვენა“ – ფიქრობდა გზად – „ყველაფერს ვინამებ, გარდა ამ ამბისა!“

კლდე დაილია და მის შუაგულში მომცრო სამყოფელი გამოჩნდა.

ენმერქარმა შიგნით კრძალვით შეაბიჯა.

– არასთან მოვსულვარ, – ალელვებით დაიძახა.

– მომიახლოვდი! – მოხუცის ხმა ექოსავით გაისმა.

V

არა ცეცხლს მისჯდომოდა.

გარედან მონაბერი ქარი კედლებს აზანზარებდა.

ენმერქარმა არ იცოდა, საუბარი როგორ წამოეწყო.

მის მეფურ გვარს ამგვარი დაბნეულობა არ შეშვენდა.

„– მხნედ უნდა ვიყო,“ – გაიფიქრა გონებაში – „თავი ისე უნდა მეჭიროს, გეგონება ჩემს სულს ვერავინ ააფორიაქებს!“

– ვხედავ რაღაცას ძლიერ ჩაუფიქრებიხარ! – არამ სტუმარს მზერა გაუსწორა, – აქ რამ მოვიყვანა?

– არის ერთი ქალი... – ენმერქარმა სცადა დაუინიბული მზერისთვის თვალი აერიდებინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

– ახლა გასაგებია რაშიც არის საქმე, – გრძნეულმა ხელები ცეცხლისკენ მიმართა, – თანაც მოკვდავი ქალი!

ენმერქარს თითქოს თავზე ცეცხლი წაუკიდესო, ისე ბორგავდა ერთ ადგილას. არარას ვერაფერს დაუმალავდა, რადგან გრძნეულმა უკვე ყველაფერი მასზე კარგად უწყოდა.

– არურუსთან შეხვედრა მსურს! – არურუ აქ არის! – გრძნეულმა ცეცხლის ალს ხელი შეახო და იქიდან არურუს სახე გამოჩნდა.

– არურუ! – ენმერქარი ფეხზე წამოიჭრა, ხელი ცეცხლისკენ გაიშვირა, თუმცა უმალ უკან გამოსწია.

საშინელმა ალმა ხელი დაუწვა.

– არურუ! – ენმერქარის ხმა სამყოფელში ექოსავით გახმოვანდა, – გევედრები წარავლინე ლეა იქ, საიდანაც მოგიყვანია! ის ხომ უთუოდ ჩემს სატანჯველადა მოვლენილი!

არურუს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მეფის ამგვარმა თხოვნამ უმალ ჩინებულ ხასიათზე დააყენა.

– განა შენ არ ითხოვე სატანჯველი? – ნიშნისმოგებით მიუგო.

– მე შევერკინები უძლეველ გოლიათს, გადავივლი საშინელ ქარტეხილებს, დავლაშქრავ ახალ მიწებს, ოღონდაც ლეა განმარიდე!

– ეს შეუძლებელია, – არურუს მტკიცე სიტყვამ ჰაერი გაკვეთა.

– მოიცადე! – შესძახა ენმერქარმა, მაგრამ არურუ ცეცხლში ზუსტად ისე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

– ღმერთების ნებას ვერავინ შეეწინააღმდეგება, – გრძნეულმა მეფეს ისეთი სახით შეხედა, თითქოს აფრთხილებდა, ამაზე შორს აღარ შეეტოვა.



— ლეა! — ენმერქარის მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა, მომეჩვენა მას მელამი მოსავდა. ნუთუ... ნუთუ ეს შესაძლებელია? ის ხომ არ არის ღვთაება. არა, ეს ნამდვილად წარმოუდგენელია!

არა უხმოდ იჯდა. ენმერქარი იტანჯებდა, ის კიდევ ხან ცეცხლის ალს ეთამაშებოდა, ხანაც გარედან მონაპერი ქარის ხმას უსმენდა.

— მელამი გაფრთხილებაა, — წარმოთქვა გრძნეულმა, — უკანასკნელი გაფრთხილება, რომ ლეა მიატოვო!

ენმერქარს ამის გაგონებაც კი არ უნდოდა.

თავი ასე უმწეოდ არასოდეს ეგრძნო.

ის ხომ დიადი მეფე იყო! მერედა როგორ შეიძლება მეფეს ასეთი უსუსური როლი მოერგო?

— მე მაფრთხილებენ? მერედა ვინ ბედავს ჩემს გაფრთხილებას, — გაბრაზებული ენმერქარი ფეხზე წამოიჭრა.

— ლმერთები, — ლიმილით მიუგო არამ.

* * *

ენმერქარმა შეპასუხება ვეღარ გაბედა.

ლმერთების მიერ არჩეულ გზას ვერავინ გადაუხვევდა. მას სურდა მსოფლიოს მბრძანებლობა რომ ეგდონ ხელთ, თუკი ლმერთები მოინდომებდნენ, ყველაფერს უმალ დაკარგავდა. იგი ისევე აღიგვებოდა მიწისაგან, როგორც ჭექა-ქუხილში ობლად დარჩენილი ვარდი.

სიამაყე ვერ დაეძლია, ისევ ჯიუტად ცდილობდა გამარჯვებას.

გრძნეულს კი კაცმა არ უწყის ქვეყნად რამდენი მომჩივანი ჰყოლია!

ენმერქარი ბოლთის ცემას მოჰყვა.

სასწრაფოდ რაიმე უნდა ეღონა.

ლეას სიყვარულზე უარის თქმა ეძნელებოდა. ქალის გახსენება ერთი იყო, რომ თვალთ უბნელდებოდა. საკვირველია, ასე რატომ ეძვირფასებოდა ერთი მოკვდავი, როდესაც ინანა მზად იყო მასთან სარეცელი გაეზიარებინა.

— რა უნდა გავიღო, რომ მასთან ერთად ვიყო? — მულოდნელად წამოიძახა ენმერქარმა.

გრძნეულმა მეფეს დაკვირვებით შეხედა.

მის სახეზე შეუპოვრობა და სიმტკიცე ამოიკითხა.

„გაიღებ კი იმ ყველაფერს, რაც სიყვარ-

ულისთვისაა საჭირო?“ — თითქოს მალულად ეკითხებოდა.

— ლმერთებმა შენი და ინანას ბედი ერთმანეთს წინათვე დაუკავშირეს, — არას ცივმა პასუხმა ენმერქარს ყველა გზა მოუჭრა.

— მაგრამ უნდა არსებობდეს რაიმე გზა!

— არ ნებდებოდა ენმერქარი.

არა ისევ ცეცხლს მიაშტერდა. შემდეგ თვალები დახუჭა და ხმადაბლა ჩურჩულს მოჰყვა.

„ლმერთებს ელაპარაკება, — გაიფიქრა ენმერქარმა, — „დაე მიჩვენონ სწორი გზა!“

* * *

არამ თვალები რომ გაახილა, სახეზე უსიამო გამომეტყველება დააჩნდა.

— შენ მოგეჩვენა, რომ ლეას მელამი მოსავდა, — წყნარად მიმართა გრძნეულმა, — სწორედ ის რქიანი ტიარა, რომელიც ზღვარია ლვთიურ და ადამიანურ სამყაროში!

— ასეა, — ენმერქარის ხმას სევდა შეერია.

— ეს უკანასკნელი გაფრთხილებაა ლმერთებისგან, — არამ ცეცხლს ნაცარი დააყარა და საშინელმა კვამლმა იქაურობა დაფარა, — ლეას სიყვარულზე უარი უნდა თქვა, თორემ ორ სამყაროს შორის წონასწორობა დაირღვევა!

ენმერქარს თვალები აეხილა. იგი მიხვდა, თუ რატომ წარმოესახა ლეა მელანით დამშვენებული.

ეს ხომ საშინელი დაცინვა გახლდათ!

რალას გააწყობდა? როგორ დაიოკებდა მიჯნურის გულს?

— წარმოუდგენელია ხსნა არ მოიძებნებოდეს! — წამოიძახა გახელებით, ისე თითქოს ვერ დაეჯერებინა, რომ თურმე ოდესმე მეფებიც მარცხდებოდნენ ბედისწერის წინაშე.

— ბედისწერას წინ ვერავინ აღუდგება, — არა თავის ნათქვამს იმეორებდა, — ასეთია ლმერთების ნება!

ენმერქარმა თავი ნერვიულად ჩაქინდრა. ფიქრები შემოაწვა და ხელები უსუსურად გაასავსავა.

— მაშ თუ ლეას არ წარავლენთ იქ, საიდანაც გამოგიგზავნიათ, ლმერთებს შეავე-დრეთ სწორი გზა მიჩვენონ!

არა როგორც ჩანს სულების სამყაროში გადავიდა. ენმერქარი კი ჯიუტად იმეორებდა, ხსნა უნდა არსებობდესო, ისე წარმოუდგენელიაო.

გრძნეულს თვალები აუელვარდა.



— მხოლოდ ერთი გზაა, — წარმოთქვა ჩურჩულით, — ტახტზე უარი უნდა თქვა, ურუქს გასცილდე და მთელი ძალაუფლება უკან მოიტოვო!

VI

ენმერქარი ამ ამბის გაგონებამ შეძრა. სათაყვანებელი ურუქის დათმობაზე ფიქრიც არ შეეძლო.

სიყვარულმა ხელი კი დარია, მაგრამ გონება ისევ ცივად უმუშავებდა.

და ვინ იყო ენმერქარი ურუქის გარეშე? და რა იყო ურუქი ენმერქარის გარეშე? სიცარიელე და სხვა არაფერი.

არ არსებობდა ეს ორი ცნება ერთმანეთისგან განცალკევებით. ვერ იარსებებდა ეს ორი დებულება უერთმანეთოდ.

სათაყვანებელი ლეა... მისი დარბაისლური გამოხედვა, მოკრძალებული ქცევა.

ენმერქარს კი სატანჯველი სატანჯველზე ემატებოდა. ქალზე ფიქრს თავი ანება, რადგან როცა ლეაზე ფიქრობდა, თავს ყველაზე სუსტად გრძნობდა.

ღმერთებმა ენმერქარი მასხრად აიგდეს! მისი სიტყვები კარგად დაიხსომეს და მეფეს უკანვე შემოუბრუნეს!

* * *

ენმერქარი შინ დაბრუნდა.

რამდენიმედღიანმა ხეტიალმა და შიმშილობამ მისი გონება გააწმინდა.

ამ უდიდეს სატანჯველს თავადვე უნდა გამკლავებოდა. სხვა გამოსავალი არ იყო.

მისთვის ურუქით იწყებოდა და სრულდებოდა ყოველი დღე და ღამე.

როგორ უნდა ესულდეგმულა უმისოდ? ეს იგივეა მეომრისათვის ხელ-ფეხი წაგერთმიათ.

„ჩემთან პაექრობა განიზრახეს“, — გაუელვა გონებაში, — „დაე იყოს ასე!“

ღამე თეთრად გაათენა და ყველაფერი უმალ გადაწყვიტა.

VII

მომდევნო დღეს თავის ვაზირს უხმო. — ეს პირობა სწრაფად უნდა შემისრულო! — ბრძანა ვაზირს. — გისმერთ ჩემო მეფეო! — დღეს ერთი ქალის ხელი უნდა ითხოვო, — მიუგო ღიმილნარევი ხმით, — მისი სახელია — ლეა...

ეპილოგი

შუამდინარული ეპოსი ღვთიური და ადამიანური სამყაროს ნაზავია. ეს არის ადგილი, სადაც ღმერთები ადგენენ კანონებს, სხვანი კი მას ემორჩილებიან.

წარმოუდგენელია გაეცნო ამ მისტიკურ ცივილიზაციას და გვერდი გულგრილად აუარო.

ეპოსები დამანგრეველი ძალითა და სისწრაფით იზიდავენ მკითხველს, რომელიც ამ უზარმაზარი კულტურითაა მონუსხული.

„იქ, სადაც ღმერთები მეფობენ“ არის ჩემი პირველი მოკრძალებული მცდელობა შემებიჯებინა ამ უდიდეს სამყაროში, რომელიც ჯეროვან გააზრებას საჭიროებს.

„ურუქის ბრნყინვალებას მზეც კი დაეჩირდილა“ — პირველივე წინადადება ურუქს მივუძღვენი, რადგან სწორედ ურუქია შუამდინარული ეპოსის მთავარი „კერა“. ურუქში მეფობს ჩვენთვის ცნობილი სამივე ხელმწიფე: ენმერქარი, ლუგალბანდა და გილგამეში.

გასაკვირი არც არის, რომ ეპოსების მამოძრავებელი ღერძი ურუქია და მის აღწერას საკმაოდ დიდ დროს უთმობდნენ. აგურთა წყობაც ხომ ურუქის სავიზიტო პარათია, თანაც გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მისი მშენებლობა სწორედ ჩვენს გმირს — ენმერქარს მიეწერება.

ამ მცირე მოთხოვით, განვიზრახე ურუქის იდილია დამერლვია და მისი უძლიერესი მეფე საგონებელში ჩამეგდო.

ენმერქარმა მრავალი ბრძოლა გადაიხადა და ახლა საუკუნო მშეიდობამ მოაწყინა.

„ღმერთებო, დაე მომივლინეთ სატანჯველი!“ — ეს იყო მისი სიტყვა უმოძრაობის ჟამს.

აქ კარგად ჩანს ენმერქარის მოუსვენრობა, სწრაფა თვალუწვდენელი მწვერვალებისაკენ. იგი იმდენად მამაცია, რომ ღმერთებს ევედრება, სატანჯველი გამოუგზავნონ, ახალი განსაცდელი მოუვლინონ.

შუმერულ ეპოსებს ვინც გაეცნობა, ის კარგად ნახავს, რომ ენმერქარისთვის არანაირი ფიზიკური გამოწვევა ახალი არ არის და მისი სიმამაცის გამოცდა უბრალოდ ფუჭი დროის კარგა იქნებოდა.

ამიტომ საჭიროა ღმერთებს ისეთი რამ მოეფიქრებინათ, რაც უძლეველ მეფეს სულით-ხორცამდე შეძრავდა.

„და ენმერქარს ეძინა მაშინ, როდესაც ღმერთები მის ბედ-იღბალზე მსჯელობდნენ“





– ეს მონაკვეთი არამარტო ენმერქარს, არამედ ნებისმიერი ჩვენთაგანის პედისწერას დავუკავშირე. ადამიანიც ხომ ასეა, სანამ ფიქრობს და ორჭოფობს, მანამ ღმერთი ადგენს მის სამართალს...

ენმერქარი ძლევამოსილი მეფეა, მაგრამ მასაც კი აღმოაჩნდა უდიდესი ნაკლოვანება. ეს ნაკლოვანება უხეშად რომ ითქვას, სიყვარული გახლდათ. მას უყვარდება ინანას მსახური, რაც ბედის ირონიაა, რადგან ენმერქარის ყველა ეპოსში ინანას ქება-დიდების მომსწრენი ვართ. უბრალო მოკვდავი ლეას შეყვარება კი დიდი პარადოქსია.

სახელი ლეა ბიბლიის დავესესხე. ბიბლიის თანახმად ლეა გახლდათ ლაპანის ასული, რახელის და, იაკობის ცოლი და იაკობის შვიდი შვილის დედა. ლეას ბიბლიური ცხოვრება გასდევს ერთ გრძელ გზას, სადაც საჭირო იყო უდიდესი მოთმინება და ბედთან მორჩილება. ამ შემთხვევაშიც, ჩემი პერსონაჟი უუფლებო მსახურია, რომელიც საკუთარ ბედ-ილბალს თავად ვერ განაგებს.

მოგეხსენებათ რას წარმოადგენდა სიყვარული უძველეს ხანაში. ჩვენ შეგვიძლია საქართველოს ისტორიის წარსულის ფურცლებიც მოვიშველიოთ.

აქ უხვად ვხვდებით მეფეთა პოლიტიკურ ქორწინებებს, რომელსაც საერთო არ ჰქონდა ჭეშმარიტ სიყვარულთან. ქვეყნის გამგებელს კი „ადამიანური სისუსტე“ არასოდეს არ ეპატიიც მოვიშველიოთ.

მას არ შეეძლო გადაეხვია იმ გზისკენ, რომელიც ავალდებულებდა თავისი სამშობლოს კეთილდღეობაზე ეზრუნა.

ამ შემთხვევაშიც, ენმერქარი დიდი დილემის წინაშე დგას. საქმე უფრო მწვავე მოვლენასთან გვაქვს, რადგან ეს ის სამყაროა, სადაც ყველაფერი წინათვეა დაწერილი და მისი შეცვლა არავის ძალუბს.

ურუქის კანონზომიერება დაადგინეს ღმერთებმა და არა მოკვდავებმა.

აღსანიშნავია თუ როგორი სინთეზია ღმერთებს, ადამიანებსა და ერთ-ერთის ერთად თანაარსებობენ, რაც ერთის მხრივ გასაკვირიცაა. აქ ძალთა თანაფარდობა სხვადასხვანაირად ნაწილდება.

ენმერქარს სწორედ ეს აგიუებს. მისი წარმოდგენით იგი იმდენად უძლეველია, რომ არავის აქვს უფლება რაიმე გადაუწყვი-

ტოს, მაგრამ ჩვენ ამ მოთხოვთაში კარგად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა კრძალვით შედის იგი გრძნეულის სამყოფელში. ენმერქარი გარეგნულად ცდილობს გვაჩვენოს, რომ მასზე დიადი არავინაა, მაგრამ გულის სიღრმეში ისიც წინასწარ გაწერილ კანონებს ემორჩილება. შუამდინარეთში ბედისწერას უმთავრესი დატვირთვა ჰქონდა. მის წინაშე მეფეც კი უძლური ხდებოდა.

ენმერქარმა გრძნეულთან ხლება ლეას ტანზე მელამის ხილვის შემდეგ განიზრახა. ეს მელამი მხოლოდ მისთვის იყო ხილული და ის ღმერთებმა ეს მეფის შესაშინებლად გამოიყენეს. მოგეხსენებათ მელამი იყო შემზარავი და მომაკვდინებელი შუქი, რომელიც მხოლოდ ღმერთებს მოსავდათ. მელამის წართმევა ლოთიურობის დაკარგვის ტოლფასი იყო. ენმერქარს აგიუებს რქიანი ტიარის ხილვა, რადგან ხვდება, რომ მელამი ამ შემთხვევაში ზეციური და ადამიანური სამყაროს კანონზომიერების დარღვევას მოასწავებდა.

ღმერთებმა ენმერქარს უმძიმესი განაჩენი გამოუტანეს. მათ უძლეველ ხელმწიფეს მთელი ძალაუფლების დათმობა მოსთხოვეს.

ენმერქარი გარდა იმისა, რომ საკმაოდ პატივმოყვარე გახლდათ, ურუქს როგორც მამა-შვილს ისე უყურებდა. ურუქის გარეშე ენმერქარი იქცეოდა უუფლებო მსახურად, რაც მასზე დამღუპველად იმოქმედებდა.

გრძნეულისაგან შინ მიმავალ ენმერქარს გულში საშინელი ორთაბრძოლა გაემართა.

მას უნდა აერჩია სიყვარული ძალაუფლების გარეშე, ან ძალაუფლება უსიყვარულოდ...

დიდი ორჭოფობის შემდეგ იგი ირჩევს ძალაუფლებას.

„– დღეს ერთი ქალის ხელი უნდა ითხოვო, – მიუგო ღიმილნარევი ხმით, – მისი სახელია – ლეა...“ – ეს იყო მეფის საბოლოო გაბრძოლება, დაუმორჩილებელი ღმერთების წინააღმდეგ.

ამ ჟესტით კარგად ჩანს, რომ დასასრულს, მაინც ის წყვეტს სათაყვანებელი ქალის სამომავლო ბედ-ილბალს და თავისივე ხელით ამიჯნურებს ვაზირთან, ნიშნად იმისა, რომ ენმერქარი ღმერთებს საბოლოო გამარჯვების ნებას არ აძლევს.





გიგა
ტესინვილი

תְּנִשְׁאָרֶת

କୁଣ୍ଡ ଗ୍ରାଫାଲମ୍ବନ କୁଣ୍ଡ ମନୋହରିତା,
କୁଣ୍ଡ ନୀତିର, ପାଇଁ – ମନୋହରିନୀ ବ୍ୟାନଦା,
ମନୋହରିନୀ ବ୍ୟାନଦା ମନୋ ମନୋହରିତା,
ତା ଓ ମନୋହରିନୀ ଦ୍ୱାରା ଅନୁଭବ.

ଗାଁରୁକ୍ଷେଣିଲୋତ ପ୍ରଥମ ପୂର୍ବ, ତୁମାଙ୍କେ ରୁକ୍ଷେଣିଲୋତ ଗସ୍ତରୁ କୈଳନ୍ଦିତ, ତିଏହି ଉତ୍ତରାଂଶ ମୈଜ୍ଞାନିକାତ, ଦ୍ୱାରା ମିଶ୍ରତରୁ ଫାତମ୍ମାନିକାତ.

କ୍ଷେତ୍ର ନେଇଲୁକା ଫାଇଲ୍‌ଗ୍ରାନ୍ଟ,
ବେଳୋ ଅସ୍ଟରିକ୍‌ପାରଲ୍‌ଯେଟର୍‌ରୁ,
ମହିନେ ଗ୍ରାନ୍‌ଟିକ୍, ମେର୍‌ବ୍ୟୁକ୍‌ ଗ୍ରାନ୍‌ଟି,
ଏବଂ ଫ୍ରୀଵ୍ୟୁଲାର୍ ପ୍ରାଇସର୍‌ରୁ.

3. ტუბიქვილი

პოლიტიკური გაელვაპა

გიგა ტუხიშვილი დაიბადა 1995 წელს თელავის რაიონის სოფელ კურდლელაურში.

Կյուրֆուլյանայրօս Տաջարոն Տպողական գործություն 2013 թվականին:

ნლების მანძილზე ვარჯიშობდა ძიუდოში ცალქალამანიძის სახე-ლობის სპორტსკოლაში, – დაიმსახურა მრავალი ჯილდო.

გატაცებული იყო ასევე ფეხბურთით.

სიჭაბუკის წლებში დაიწყო ლექსიგის წერა.

ძალიან დასანარია, რომ 27 წლის ასაკში შეწყდა პოეტური სიცოცხლე...



გიგა ტესინგვილი

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

გამოანათე, ჩემო ვარსკვლავო,
რატომ ჩამქრალხარ, რად იმალები,
ნუ გეშინია მე არ მოგწყვეტავ,
ქიმოკომი, დავტკბები შენი ყურებით.

ნუთუ, არ გინდა, რომ იყო ჩემი,
და ბრჭყვიალებდე შენ, ჩემს თვალებში,
ვიცი, რომ გინდა, მაშ ხელს რა გიმლის,
ნუთუ, გიგა კოდა ჩემი ალერსი?..

ვიციო, რომ მაღლა, მთვარეს უყვები, რომ გტკივა გული და წუხარ ჩემზე, ვიციო, რომ მოგდის ცხარე ცრემლები და... წუხარ ამ, ჩემს უილბლო ბედზე.

მაშ, მე, რაღა ვქნა?.. მე, ხომ მარტო ვარ?
ვერავის ვუმხელ ჩემს გულისნადებს,
მხოლოდ, კალამი არის ჩემს გვერდით,
და ჩემს ნაფიქრასს თურგულსოდ განთობ...

გამოანათე, ჩემო ვარსკვლავო,
ერთად ვიდარდოთ უილბლო ბედზე.

ჩვენ, ერთად, უნდა დავატრიილოთ
ბედის ბორბალი წალმა, ძლიერად,
მამინ, გახდები შენ, ჩემთვის, უკვე,
მიზნად, სიკეთედ, სახედ, ორად...

* * *

დღე გალულა, დაიწყო ლამე,
კარგი ლესივით, ანათებს მთვარე,
მათი შემყურე, მეც გავთამამდი,
და... ლესის წერა მეც დავიპრალე.

ცაზე ვარსკვლავებს შევნატრით ყველა,
თურმე... ისინი ჩვენ მოგვნატრიან,
ცას მოსწყდებიან, მოქრიან ჩვენკენ,
ხან, უსასრულოდ იკარგებიან.

მათი შემყურე, მოვწყდები მინას,
და... ჩემი კალმის წვერსაც ავლესავ,
აბა, რა ვუყო?.. მეც, რაც გულს მინვავს,
ჩემს ლამაზ ფირქებს ლიქტად გავლინდავ.



ცაზე ვარსკვლავებს უცინის მთვარე,
და... აციმციმებს – ჩვენი გულისთვის,
მე კი, შევყურებ უვრცეს ფას ღამე
და... ვწყდები მინას ლექსის მუზისთვის.

* * *

თუკი ყველას სწამს თავის უფალი,
მისია, მართლა მადიდებელი,
აქ, ხომ, მეცა ვარ თავისუფალი,
ნებით ვარ მართმადიდებელი.

ცხოვრების მიზნად მე ავირჩიე,
შეგქმნა ისეთი, რასაც დრო ვერ სძლევს,
მე ცხოვრების რიტმს ვერ შევერვიე
მე ვერ მივყვები სხვების ნაკვალევს.

თავკერძობაა, იქნებ, ამის თქმა,
უფალი მეცხავს, იქნებ, ამისთვის,
მაგრამ... რად მინდა მე საფლავის ქვა?..
ქვაზე ნახატი, უცხო, ყველასთვის.

სიკვდილის შემდეგ, მინდა სიცოცხლე,
ახლაც, რომ მოვკვდე, არაფერია,
მხოლოდ, ერთი რამ, მინდა ვიცოდე,
რომ... ფუჭად, ცრემლი არ დამდენია.

მე იალქანი არ მინდა ვიყო,
გემს ზღვის ტალღებში, რომ მიაქანებს,
მე. თვითონ, მინდა გემი რომ ვიყო,
ჩემი მიზანი მიმაქანებდეს.

თავკერძობაა, იქნებ, ამის თქმა,
ჩემი მიზანი, იქნებ, მცდარია,
მაგრამ... მე მინდა, რომ ის ხე ვიყო
რაც საუკუნოდ მსხმოიარეა.

სიკვდილის შემდეგ, თუკი ვიცოცხლებ,
ახლაც, რომ მოვკვდე, არაფერია,
მხოლოდ, ერთი რამ, მინდა ვიცოდე,
ცხოვრება ფუჭად არ გამლევია.

ვინ გაიგებს, მოხუცს გულში,
რა ტკივილი ულვივოდა.

იქნებ, სულაც, არ სტკიოდა
და სიცოცხლე უხაროდა,
ტყის გადაღმა, ტყის ყურება
მისთვის, იქნებ, იყო ტკბობა?..

ტყის უკან კი ბუმბერაზი,
აოცებდა მთათა წყობა,
ვინ გაიგებს, მოხუცს გულში
სტკიოდა, თუ, უხაროდა?!..

იქნებ, იმ დროს, იხსენებდა,
როცა იყო – ახალგაზრდა?..
მაშინ, ის მთა, ის ტყები,
ასე, დიდი, სულ, არ ჩანდა.

იქნებ, გული არ ბერდება,
მაგრამ... ძალა აღარ მოსდევს,
ან, ვინ იცის, მის თვალებში
ალალ ცრემლებს ბრწყინვა ჰქონდეს?!..

დრო მიჰქროდა, მაშინ, წლები
ერთი წამის მანძილს ჰგავდა,
წიქარათი, ნიკორათი
მთვარის შუქზე მინას ხნავდა.

ათი გულიც ვერ დაიტევს,
ოცნებები ჰქონდა, – ჰოდა...
გასცექოდა – გაშლილ სივრცეს,
თვალში ცრემლის გუბე ჰქონდა.
თეთრი თმა და თეთრი წვერი –
და... სხეული განცდით თრთოდა.

ტყის გადაღმა, ტყე მოჩანდა,
ტყის იქით კი – მთათა წყობა,
მთების წყობას მთა მოსდევდა
და, იმ მთაზე – ძლიერ თოვდა.

გაზაფხული

გაზაფხულია მოცრემლავს – მარტი,
აყვავებულა – ია და ვარდი,
გაზაფხულია, შეიგრძნეს მთებმაც,
ადიდებულა: რიონი, მტკვარი...

გაზაფხულია, – ბელურა, შაშვი
დილას ჭიკჭიკით ეგებებიან,
გაზაფხულია... მალე, მერცხლები
თბილ ქვეყნებიდან დაბრუნდებიან.

გაზაფხულია, ბუნება ჰყვავის,
მისი სურნელი იფრქვევა – ირგვლივ,
გაზაფხულია და... მარტი მარტობს, –
ახალ სიცოცხლეს უმღერის იგი...

მოხუცის ფიქრები

ტყის გადაღმა ტყე მოჩანდა,
ტყის იქით, კი – მთების წყობა,
მთების წყობას მთა მოსდევდა,
და იმ მთებზე ძლიერ თოვდა.

გასცექოდა ერთი კაცი,
თვალში ცრემლის გუბე ჰქონდა,
თმები თეთრად შეფერვოდა,
წვერი მკერდზე დაჰუნოდა.

სახე ნაოჭს დაესერა,
ხელი აჰკანკალებოდა,

43



ნინო ჭელიძე

44



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

ორიოდე წუთი იარეს ფეხით,
ორიოდე წუთი და ორიოდე არარსებული საკუუნე.
ბოლოს ქვინი გზა დასრულდა...
შემდეგ ქალაქის გზა ინუმოდა...
ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.
მარიშკა მკაფიოდ გრძნობდა როგორ ფერქვდა მისი
შვილის გული შესაყარჩი.
ტყივილი აძლიერებდა გულისუმაშის და გზის დაეძებ-
და ბიჭის ნათელი თვალებისკენ წოლებული რომ ქუცულიყო.
შეგრძნებ ბიჭის თვალები ისე დახუცუა თოტქოს ქუცულიერი
დაუკუმისათ მისთვის.

6. ჭელიძე

მცხემსი ქალი მარიშკა

(ნამდვილი ამბავი)

ჩვენთან,
ჩემსა და თქვენს სამშობლოში რომ მოდიო-
და, არ უტირია.

ისე დატოვა საკუთარი სხეულის ნაწილი
საკუთარი სულის ნაწილთან, არ უფიქრია მათ
შორის ოდესმე ფერფლისფერი სამყარო თუ
ჩადგებოდა. ჯერ არდაბადებული იმედებით
მოემგზავრებოდა.

საკუთარი სახლის არარსებული ხის ჭიშკარი
რომ გამოიხურა მაშინ მოიხედა მხოლოდ,
ხის სახლის მოქარგული ფანჯრებიდან დედა
ი-მზირ-ებოდა მის მიღმა მიმავალი მზერით,
გზას გაჰყურებდა. მარიშკასთვის არ შეუხედავს.
თვალს არ სწყვეტდა ქვევით, ქალაქისკენ ჩამა-
ვალ ოლროჩოლრო გზას...

თითქოს ქვებს თვლიდა,
იმ ქვებს, საუკუნებად რომ იქცეოდნენ
ლოდინში.

შვილი გზის გასაყარზე იდგა.
მარცხნივ უკრაინის თვალურვდენელი სტე-
პები იწყებოდა, უკვე მზით გადახრუკული ბალ-
ახისფერი. დედამ საკუთარი დედის მზერას თვა-
ლი რომ მოსწყვიტა, შვილმა მარჯვნივ გადადგა
ნაბიჯი. მოკლე შარვალი ეცვა და დიდი ფეხსაც-
მელი...

გრძელი ხელები ჰქონდა.
ფართო ხელისგულები.

რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მატუ-
ლობდა მის ხელისგულებზე დამსკდარი კოურები.

ზოგჯერ სისხლიც სდიოდა, ნაკეცებში ჩამ-
ჯდარ ჭუჭყს ჩამოპპანდა ხოლმე. არ მოსწონ-
და ბიჭს წითელი ხელისგულები, გაიქცეოდა და
თივის ზვინს ჩამოუსვამდა ხელს. ალაგ-ალაგ

დამსკდარ კოურებში ხმელი ბალახის ჩხვლეტას
გრძნობდა...

პირველად მაშინ ისწავლა ტკივილის მოთ-
მენა.

ვერ იტანდა სისხლიან ხელისგულებს.

ეს მაშინ იყო.

ახლა გზისგასაყარის მარჯვნივ იდგა.

გზისგასაყარის გზის დასაწყისში.

ქალაქისკენ რომ მიღიოდა იმ გზის.

ამ გზაზე დედა უნდა წასულიყო.

არ იცოდა რა ეთქვა ქალისთვის, რომლის
ნერვულ უჯრედებსაც დაატარებდა საკუთარ
სხეულში.

არ იცოდა როგორ დამშვიდობებოდა ქალს
ამ გზას რომ ჩაივლიდნენ, საუკუნეებადქცეულ
ქვებიან გზას....

ოციოდე წუთი იარეს ფეხით,

ოციოდე წუთი და ოციოდე არარსებული
საუკუნე.

ბოლოს ქვინი გზა დასრულდა...

შემდეგ ქალაქის გზა იწყებოდა...

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

მარიშკა მკაფიოდ გრძნობდა როგორ
ფეთქვდა მისი შვილის გული შუასაყარში.

ტკივილი აძლიერებდა გულისცემას და გზას
დაეძებდა ბიჭის ნათელი თვალებისკენ ცრემ-
ლად რომ ქცეულიყო. მაგრამ ბიჭს თვალები ისე
დაეხუჭა თითქოს ქუთუთოები დაეკემსათ მისთ-
ვის.

მარიშკას მუდამ დამსკდარი ტუჩები ჰქონდა
ქარისა და მზისგან.

ახლაც მწველი სხივები დასთამაშებდნენ
მტკივან ტუჩებზე.



თვალები არც მაშინ გაუხელია ბიჭს დედის შეხება რომ იგრძნო...

თითქოს მისი სახის დამახსოვრებას ცდილობდა სამუდამოდ გონებაში. საკუთარ თავს აიმედებდა ქვეცნობიერად, რომ მოენატრებოდა. თვალს დახუჭავდა და მის სახეს დაინახავდა.

„დაკემშილი“ თვალები დაუკოცნა მარიშკამ.

დახუჭულ თვალებს მიღმა მზერა დაიმახსოვრა და ჰორიზონტს მიღმა მიმავალ გზას გაუყვა...
.....

ხელბარგი არ ჰქონდა, მხოლოდ საკუთარი შვილის სევდა აეკიდებინა ზურგზე.

უკრაინის სტეპებს ემშიდობებოდა დაკემ-სილთვალებიანი ბიჭის დედა – მარიშკა...

იძენდა ყოველ ახალ დღეს. მოვლა-პატრონობას არ აკლებდა მარიშკა ძროხებს, რომლებიც მადლიერების ნიშნად სავსე ჯიქნებით ბრუნ-დებოდნენ საძოვრებიდან... ხელის შეხებით გრძნობდა მარიშკა თანდათან როგორ ა-მდინარ-და რადე სადინარებში.

ერთ დღეს, მაშინ, როდესაც, მარიშკას მზის საკუთარი სხივი ჩამოტყდა აღმოსავლეთის მზეს, ფერმა დაიხურა.

.....

დაკემსილთვალებიან ბიჭს ცრემლი ჩაუდგა ჩაშავებულ უპეებში. დედის ნასვლის შემდეგ სტეპებს რამდენჯერმე ეცვალათ ფერი.

.....

ულამაზესი სოფელია ჩვენი გომარეთ-სოფელი,

ხალხი კეთილშობილი, სიკეთით სავსე, მზის სოფელია ჩვენი სოფელი,

ფერმა, სადაც მარიშკას უნდა ემუშავა ჰატარა, მორაკრაკე მდინარის პირას იყო გაშენებული.

შრომას შეჩვეულ მარიშკას მუშაობა არ გასჭირებია. სისხამ დილაზე დგებოდა. როცა მზის პირველი სხივი გამოჩნდებოდა სამყაროს აღმოსავლეთით, მოჭიკვიკე ჩიტებთან ერთად ეგებებოდა ალიონს...

ამ წუთებში, სადღაც მდინარის ქვებს უკან მიყუჩდებოდა ხოლმე მისი ტკივილი...

მთელი სხეულით გრძნობდა, შორს უკრაინის სტეპებში მისი დაკემსილთვალებიანი ბიჭიც ასევე შეჰყურებდა მზეს...

გული გულს გრძნობდა... განსაკუთრებით მაშინ, ერთი სისხლი თუ მოედინებოდა ორივე გულში. დროდადრო დედა საკუთარ გულს ხელისგულზე დაიდებდა და დიდხანს და დაჟინებით ათვალიერებდა... ეს გული სისხლის გუბედ რომ იქცა, მაშინ მიხვდნენ მოჭიკვიკე ჩიტები შვილის გულს რომ ათვალიერებდა მარიშკა სინამდვილეში.

ძალიან უყვარდა თავისი ნაირფერი ძროხები, რიურაუზე ბლავილით რომ აღვიძებდნენ არემარეს... თითქოს სიცოცხლე ახალ ძალას

გაოგნებული იდგა ჰორიზონტამდე მიმავალ გზაზე, ვერ გადაეწყვიტა შინ, უკრაინაში დაბრუნებულიყო ხელმოცარული თუ კვლავ ებრძოლა ჯერარდაბადებული იმედის დაბადებისთვის...

თავადაც დახუჭა თვალები. საკუთარ თავს



მხატვარი სოფიო ჭელიძე





უშზერდა ფერფლისფერი სამყაროდან, საკუთარ დაწყვეტილ ნერვებს და გულს უკან დამალულ სევდას.

შვილი ენატრებოდა ძალიან. მხოლოდ გულით არა, ნერვებით.

ბოლოს დარჩენა გადაწყვიტა, შემოდგომამდე თითქოს.

კეთილ ხალხს რა გამოლევს ჩევენს გომარეთ-სოფელში... ერთ-ერთ მადლიან ოჯახს შეუფარებია, თბილი კერა შეუთავაზებიათ და საჭმელ-სასამელიც უხვად მიუწიდებიათ მისთვის.

მარიშკა მწველავად მუშაობდა... ქათქათა თბილი რძით რომ აავსებდა სათლებს და საქონელს დააბინავებდა, ოთახში შეიპარებოდა და დიდხანს იდგა სარკესთან.

არავინ იცოდა რას ფიქრობდა ამ დროს.

საკუთარ თვალებს აკირდებოდა დიდხანს, საკუთარ თვალებში დაეძებდა შვილის სილუეტს ასე ძალიან რომ ენატრებოდა.

შინაგანი ტკივილის მიუხედავად ბოლო დროს მარიშკა ძალიან დამშვენებულა, სხეულის ფორმები შევსებოდა და თვალებში უცნაური იმედი ჩასახლებოდა.

ახალგაზრდა მწყემსი სტუმრობდა ოჯახს, ბოლოს დროს ხშირად.

მარიშკას გულს, შვილს რომ ეკუთვნოდა პატარა ნატეხი ჩამოსტეხია ახალგაზრდა მწყემსისთვის.

.....

გამთენისას გაუდგნენ გზას.

მდუმარედ მიყევებოდნენ ცხვრის ფარას... გომარეთის ქვიან ფერდობზე რომ შეფენილიყო უკვე. ალაგ-ალაგ ბატკნების გაუბედავი ბლავილი ისმოდა ნაცრისფერ სივრცეში.

მესამე დღე იყო იმედის გაჩერიდან.

მესამე დღე იყო შვილს რომ ვერ უკავშირდებოდა.

მესამე დღე იყო... გული სისხლად რომ იწვეთებოდა.

.....

ომი რომ დაიწყო, კახეთის გზას ადგნენ.

კაშკაშა მზე ანათებდა,

ქათქათა ხუჭუჭა ბატკნები მზის სხივებთან თამაშით ირთობდნენ თავს.

მარიშკა იქვე, ხის ძირში ჩამომჯდარიყო და თვალდახუჭული ისრუტავდა მზის სითბოს. ხეს ხმელი ტოტები და მიწაში ღრმად გადგმული

ფესვები ჰქონდა. ჯერ ცოცხალი.

ამბავი კეთილმა მწყემსმა მოუტანა.

პირველად მაშინ ატირდა გული. შუასაყარში კედლებს ეხეთქებოდა გალიის ჩიტივით.

ტკივილამდე უნდოდა შვილის ნახვა.

საკუთარ ხელს უკბინა ჩუმად.

თითქოს ტკივილი შეუმსუბუქდა.

ტკივილმა ტკივილი ჩაახშო.

დანიშნულების ადგილს რომ მიაღწიეს მზე ფერდობებს უკან ჩამალულიყო უკვე.

ჰაერივით ისრუტავდა მარიშკა ომის ამბებს, მუდამ ეკითხებოდა კეთილ მწყემსს.

მოვლას არ აკლებდა მწყემსი, მაგრამ ილეოდა მარიშკა.

შვილი ენატრებოდა,

შვილის ხმა ჩაესმოდა,

შვილს ეძახდა.

ომში წასულ დაკემსილთვალებიან ბიჭს.

.....

გამთენისას ჩამოვარდნილა ჭურვი.

ერთ მთლიანობად ქცეულა სტეპი და სოფელი.

ფართოდ გახელილი უძრავი თვალებით იმზირებოდა...

ოდესალაც დაკემსილთვალებიანი ბიჭი.

ბავშვობაში მარიშკას ჰგავდა...

დედასავით ნათელი თვალები და გრძელი ხელები ჰქონია თურმე.

დიდხანს მდგარა კართან კეთილი მწყემსი, იქამდე სანამ მარიშკას თავად არ გამოუხედავს დაგვიანებით შემფოთებულს...

კითხვა უსწავლია უცხო ქვეყანაში,

ფიქრების კითხვა,

ადამიანების დატანჯულ სახეებზე.

შვილის სიკვდილი რომ ამოუკითხავს,

საკუთარი ხელით ამოუგლეჯია საკუთარი გული.

კახეთში დაუკრძალავთ.

მადლიანი კაცი ყოფილა მწყემსი.

.....

მარიშკას საფლავზე,

ხშირად შეამჩნევთ ერთ ცალ მოფარფატე პეპელას...

ადამიანის სულს რომ ჰგავს ძალიან.



ბავშვებისთვის საკითხთავი

მაის დიაკონიძე

ისე ლიაჩიზად წყავრდნენ, შენისლეჯ მოუწიდა წლევა, გამა-
ლა სელენი და წრე ჩამოყარა, წელა წამოხტა სკამიდან და
შენის გამჭვირა. ძალობმა პატიკუომ შემოხედა სამზარეულოში,
რა სმაურიაო, ისიგ მხიარული ყეფით და ხცუნვით გამჭვირა
შენის და შვილიშვილს. თქვენ წარმოიდგინეთ, სახლიჯ აუ-
კაფა, გარეთ ჩიტები აუკუთხებნენ, შეუერთდნენ საყოველოთა
მხიარულების. წყავრდნენ ეზოს ყვავილების, მათი შემხედ-
ვალ მინდონში ყვავილების აუკაფნენ, პატლენის. წელამ
ფანჯრიდან გაიხედა და დაიძახა:
— მოწივარე დედამიწინა!

მ. ფიაკონიძე

47



საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ მიღებული დოკუმენტი

მოცეკვავი დედამიწა

გოგონამ თვალები დააჭყიტა და პირველი, რაც
დაინახა, მზის სხივები იყო, ხელებზე დასთამაშებდნენ,
თითქოს ცეკვავდნენ. მოენონა გოგონას მოცეკვავე
მზის სხივები:

— ჩემთან დარჩით, — სთხოვა.

სასწრაფოდ წამოდგა ლოგინიდან, ჩაიცვა და
სამზარეულოსკენ გაეშურა, სადაც ბებია ელოდებოდა.
ბებია ყოველ დილას საუზმეს უმზადებს ბებას, როცა
დედიკო არ არის სახლში. მიესალმა ბებია გოგონას,
თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა:

— დაჯეპი, კუდრაჭა, შენი საყვარელი ბლითები გე-
ლოდება! — უთხრა.

როცა ბელა ჭამას შეუდგა, ბებიამ ბავშვს შეხედა
და გაოცებისგან შეჰვირია, მზის სხივები დასთამაშებდ-
ნენ ბელას ხელებზე, თითქოს ცეკვავდნენ. მაღლ მზის
სხივებმა მაგიდაზე გადაინაცვლეს და იქ აცეკვდნენ,
მერე ოთახსაც მოედვნენ, მზემ შემოიხედა ფანჯარში.

ისე ლამაზად (ცეკვავდნენ, ბებიასაც მოუნდა ცე-
კვა, გაშალა ხელები და წრე ჩამოყარა, ბელა წამოხტა
სკამიდან და ბებიას გაჰყენა. ძალობმა პატიკუომ შემოიხედა
სამზარეულოში, რა ხმაურიაო, ისიც მხიარული ყეფით
და ხტუზით გაჰყენა ბებიას და შვილიშვილს. თქვენ წარ-
მოიდგინეთ, სახლიც აცეკვდა, გარეთ ჩიტები აჭიკეტიკ-
ნენ, შეუერთდნენ საყოველოთა მხიარულებას. ცეკვა-
ვდნენ ეზოს ყვავილებიც, მათი შემხედვარე მინდორში
ყვავილებიც აცეკვდნენ, პეპლებიც. ბელამ ფანჯრიდან
გაიხედა და დაიძახა:

— მოცეკვავე დედამიწა!

მზემ სხივები კიდევ უფრო ცხოველმყოფელი გახა-
და, რომ მთელი დედამიწა გაეთბო და ისინიც კი, ვისაც
ქვის გული ჰქონდა მოცეკვავებს შეერთებოდნენ.

ერთი ლოკომინას აგრძავი

დღეს ერთი ლოკომინას ამბავი უნდა გიამბოთ.
ერთ დროს ლოკომინებს სახლი სულაც არ დაპქონდათ
ზურგით და თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ, საითაც
გული გაუწევდათ, ჰერი, ბიჭი, დაიძახებდნენ და ეგ იყო.
მაგრამ თავიანთ სახლში აუცილებლად ბრუნდებოდნენ.

ლოკომინა ერა, ასე ერქვა ჩვენს მთავარ გმირს,

დიდი ცნობისმოყვარე ვინმე გახლდათ. ხან მდინარისკენ
გაისეირნებდა, ხან ტყისკენ, ხანაც მთებისკენ გასწე-
ვდა. სიარულით გულს რომ იჯერუბდა, აუცილებლად
სახლში ბრუნდებოდა. სახლი მაშინ დიდი ჰქონდათ, დე-
დაც იქ ცხოვრობდა, მამაც და მისი და ტასუნაც. ერთ
დღეს, როცა დიდი თოვლი მოვიდა, ტასუნა და ერნა
სათამაში მოედანზე წავიდნენ, ყველა მათი ტოლი აქ
იკრიბებოდა. ვინ არ მოსულიყო თოვლის გუნდებით
სათამაშოდ: მელაკუდა — ბრანი, ზღარბუნია — წიკო,
ბაჭია — ტატუნა. მეგობრებმა ჯერ იგურდავეს, მერე
მოლიპულ მოედანზე სრიალში გაეჯიბრნენ ერთმანეთს.
წინ ტატუნა მისრიალებდა, უკან წიკო და ბრანი მიჰყე-
ბოდნენ, ერნა კი ყველაზე უკან მიჩანჩალებდა. ტასუნა
მსაჯი გახლდათ და ხმამალდა გაიძახდა:

— ბრანი, წიკო, ტატუნა,

უკან მეგობრების ერნა,

თუმცა ცდილობს ბევრსაც.

გაბრაზებულმა ერნამ ძალიან მოინდომა, ისრია-
ლა, ისრიალა, ველარ მოზომა და თოვლის დიდ გრო-
ვაში გადავარდა. ჯერ ქვევით იყურყუმელავა თოვლში,
მერე წინ, მერე მარჯვნივ და ერთ დაბურულ ტყეში
ამოჰყო თავი. მიიხედ-მოიხედა, ადგილი არ ეცნო, შეს-
ცივდა, სახლი მოენატრა, დედა და მამა. ბუსართან ჩაბ-
რვევდებოდი, გავთბებოდიო, მაგრამ ახლომახლო არც
კამლი მოჩანდა, არც მისი მეგობრების ხმა ისმოდა.
შეშინებულმა, რამე ცხოველმა არ შემჭამოსო, პატარა
ორმო ამოთარა, ხმელი ფოთლები წაიხურა თავზე და
დაღლილმა დაიძახა.

ბევრი ექებეს მეგობრებმა, სხვადასხვა მხარეს და-
ფანქნენ. ტასუნამ დედ-მამასაც გააგებინა ერნას და-
კარგვის ამბავი, ლოკომინების მთელი სოფელი გამოი-
და მის საძებნელად, მაგრამ ვერსად იპოვეს.

ამასობაში დადგა გაზაფხული. თოვლი დადნა,
ანანწკარდა წყაროები, მინიდან ყვავილებმა და მწვანე
ბალახმა ამოჰყო თავი. ერნას სოროშიც ჩაალნია წყალმა,
ტოტებზე თოვლმა დაინყო დნობა და პირდაპირ ერნას
დაეწვეთა თავზე. გამოფეხზლდა ძოლისგან ლოკომინა. ჯერ
ერთი თვალი გაახილა, მერე — მეორე, სისველემ
შეაწუხა, ფოთლები გადაყარ-გადმოყარა და ზევით
ამოვიდა. დაინახა, თოვლი დამდნარიყო. სასიარულო
ბილიკებიც გამოჩნდა. მოათვალიერა იქაურობა. ერთ
ბილიკს დაადგა კიდეც, მალე წაცნობ მდინარესთან მი-

ოლქ. №1, 2024





ვიდა, მერე გეზი სათამაშო მოედნისკენ აიღო, მეგობრები იქ დამხვდებიან. ასეც იყო. ისინი ერთად ჩამომსხადოიყვნენ მორზე, თათები თავზე შემოეწყოთ და იმას განიხილავდნენ, საიდან დაეწყოთ ერნას ქებნა.

— ბრანი! წიკო! ტატუნა! — დაიძახა ერნამ და რაც ძალი და ლონე ჰქონდა, მეგობრებისკენ გაიტცა. გახარებულმა მელაკუდამ, ზღარბუნიამ და ბაჭიამ ჩაიხუტეს მეგობარი, ჰაერში იმდენჯერ შეისროლეს ერნას თავბრუც კი დაეხვა.

მეგობრებმა ერთად გასწიეს ერნას სახლისკენ, გახარებული მშობლები და ტასუნა სიხარულით ბუქნავდნენ და მღეროდნენ, მაგრამ აქ ერთგულმა მეგობრებმა, როცა მისი თავგადასაცალი მოისმინეს, გადაწყვიტეს: მოდი, სახლი გავუკეთოთ, სულ თან რომ აფაროსო.

შეუდგნენ კიდეც ბრანი, წიკო და ტატუნა ერნასთვის სახლის შენებას, ტანზეც მოაზომეს, თავიდან ხან დიდი გამოუვიდათ, ხან პატარა, ბოლოს ისეთი გააკეთეს, მეგობარს რომ მოსწონებოდა, — ამის მერე ამით იარე, სადაც დაგილამდება, სახლში შეძერი, აღარ შეგცივდებაო. — უთხრეს. შეათვალიერა ერნამ თავისი ახალი სახლი და ძალიან მოეწონა.

ლოკოკინას სახლი — ნიუარა, ალბათ, ყველას გინახავთ, ხის მერქნის და გამხმარი ფოთლების ფერია, რომ მტერმა ადვილად ვერ შეამჩნიოს.

მას მერე, ლოკოკინები თავიანთ სახლს თან დაატარებენ, თანაც, როცა დადიან, თეთრ ბრჭყვიალა ნაკალევს ტოვებენ, მეგობრებმა რომ ადვილად იპოვონ.

მზისა, მთვარისა და ჯადოსნერი ცემი

პატარა გოგონას მზისა ერქვა. მზის ამოსვლისას დაიბადა, შეხედეს თუ არა მშობლებმა, ქერათმიანს და თეთრის, მზესავით რომ ბრწყინვადა, სახელიც შესაფერისა შეურჩიეს. ზევით მზე და ქვევით ჩვენი მზისაო. ხასიათიც კარგი დაჲყვა გოგონას, დამჯერი და თვინიერი. მის დანახვაზე მზეც ხარობდა, მინდორში ყვავილები. თქვენ წარმოიდგინეთ, მწერებსაც ძალიან უყვარდათ. განსაკუთრებით ჭიამაიაები და პეპლები ეტანებოდნენ. შემოასხდებოდნენ კაბაზე და ასე დადიოდა მზისა ქალაქში მინდვრიდან წამოყოლილი მწერებით დაჲყნტილი სამოსით. საოცარი საახავი იყო, ქერა ოქროსფერი კულულებით, მწვანე დიდი თვალებით და მწვანე კაბით, ბებია სულ მწვანე კაბას უკერავდა, შენს თვალებს უხდებაო.

მთელი ქალაქი ხარობდა მზისას გამოჩენისას, მაგრამ ხომ იცით, ბოროტი და შურიანი ადამიანიც ბევრია. ერთ გოგონას შემურდა მზისას სილმაზისა და გადაწყვიტა გეგმა შეედგინა, როგორ გადაეყვარებინათ გოგონა ქალაქელებს. მზისას ბებია კეთილი ფერია იყო, გოგონას კაბებს ჯადოსნური ნემისით უკერავდა და ამბობდა:

„მზისა, მზისა, ცაო ცისა,
დღეო ნათელ მომავლისა,
გაზარდე და ოქროდ მორთე,
ჩემი გოგო კოკროჭინა“.

პატარა შურიან გოგონას მთვარისა ერქვა. ლამაზი იყო მთვარისა, ისიც პირბადრ მთვარეს ჰგავდა. სახელიც მიტომ დაარქვეს ასეთი, მაგრამ შური ხომ იცით, პატარა უხილავი ჭიაა, შეუძრება ადამიანს და გულს და

გონებას აურეეს. ლამით, როცა ყველას ეძინა, შეიპარა მთვარისა მზისას სახლში და ბებიას ჯადოსნური ნემისი მოპარა. დილით, როცა ბებია მზისასთვის კაბის კერვას უნდა შესდგომოდა, ძველი კაბა ცოტა გაცვეტილიყო, ნემისი ვეღარ იპოვა და ატირდა, და იცით რატომ, იციდა ვინც მოპარა, ის ხომ ყველავერს ხედავდა. მთვარისა კი მზისას მეგობარი იყო. ეწყინა შეილიშვილის მეგობრის ლალატი. მზისას არაფერი უთხრა და სთხოვა, მთვარისა სახლში მოეყვანა სტუმრად.

მოირბინეს გოგოებმა ნაშუადლევს. როგორც ყოველთვის, მზისას პეპლები და ჭიამაიები მოჰყვნენ, შეეცოდა ბებიას მთვარისა, ისიც ხომ მთვარის შვილიაო, იქნებ მასაც შევუკერო შესაფერისი კაბაო. გოგოებს განუცხადა, თქვენთვის ორივესთვის კაბის შეკერვა მინდოდა, მაგრამ ნემისი დავკარგეო. ვინც პირველი იპოვის, იმას პირველს შევუკერავო. მთვარისას ნემისი აივანზე ერთი კარის ლრიჭოში დაემალა. რა თქმა უნდა, მან უფრო სწრაფად იპოვა ნემისი და ბებიას მოურბენინა. დაინტ ბებიამ კერვა, თან იმეორებდა:

კარსკვლავასულნო ლამისავ,
მადლი მოჰყინეთ ნათლისა,
დაეხსენ, შური, მთვარისას,
ძალი მიეცით წყალისა!
შუქთა სხივკონებს აფენდეს
დღისით მზის, ლამით — მთვარისას!

თეთრი ქათქათა კაბა შეუკერა ბებიამ მთვარისას, რომ ბნელში ენათებინა, როგორც მთვარეს. მანათობელ გოგონას ლამით ციცინათელები დაჲყვებოდნენ უკან და თეთრი პეპლები. დღისით მზისა ალამაზებდა ქალაქს, ლამით — მთვარისა. მთვარისა მიხვდა, რომ შური ადამიანის ცუდი მეგობარია. სიკეთე კი ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე.



მზატვარი სოფიო ჭელიძე



პოეტისა და მამულიშვილის გახსენება

მარადისობაში გადასულის გაელვება...

ეს, – დაღლცვილი გული, რამდენ ტკივილს იტევს და უძლებს; რა საოცარია წუთისოფელიც, – მართლაც, რომ... წუთის სოფელია?... 2012 წლის 5 ოქტომბერს, 77 წლის ასაკში მოწყვიტა ბედისწერამ მზიურ საუფლოს – ძმობის, მეგობრობის, მამულის, სიმართლის, სიკეთისა და სიცოცხლის დიდი ტრფიალი – სოსო ჩხუბიანიშვილი, – კახეთის მწერალთა სამეგობროს გამოაკლდა – ჭეშმარიტი ქართველი და ჭეშმარიტი პოეტი. დროისა და... ბედუკულმართობის გამო, მხოლოდ, ერთი – პოეტური კრებულის „ჩემი ბუხარის“ გამოცემა მოასწორ 2006 წელს, – დიდებული ქართველისა და მეცენატის – გია არსენიშვილის შემწეობით.

ეს წიგნი, მართალია, მაღალი პოეტური ხელოვნებით არ არის რაფინირებული, მაგრამ... სისადავით, განცდით, გრძნობით, ემოციითა და მუხტით არის სავსე... გულიდან ამონეული, – ავთანდილური სიმღერაა, რომელიც კარგად მიესადაგება დიდი შოთას ეს – უკვდავი სტრიქონები: „რა ესმიდის მღერა ყმისა“, – დროისა და სივრცეში უსაზღვრო ხიბლით განვენილი.

ძვირფასო მკითხველო, აი, ამ, მირონცხებული მგოსნის – სოსო ჩხუბიანიშვილის ნაკალმარი მოგვიტანა ამ დღეებში, მისმა ახლობელმა, – ერთი ათეული წლის შემდეგ, შემთხვევით აღმოუჩნდათ – მის წიგნებთან და ნაწერებთან. დაგვთანხმებით, დასანანი იქნებოდა მათი დაკარგვა. გვიან, მაგრამ, დიდი მადლით გთავაზობთ მისი სულის სიდიადესა და გულის ნაფიქრალს...

ფარნა რაინა

28. I. 2024

49



რაიც წარსულით არ იპირდეპის...

ხმა – იყალთოს აკადემიიდან

გასული წლის ბოლოს, გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ფარნაოზ რაინაულს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი თარიღი ღირსეულად აღინიშნა.

ეს, სასიხარულო ცნობა ჩვენი სულიერი მეგობრისა და თანამოკალმის – ზურაბ არსენიშვილის პირით გავიგი, – იყალთოს აკადემიის გზაზე შეხვედრისას. მახარა, რომ ფარნაოზ რაინაულის იუბილეს უურნალ „ოლეს“ სპეციალური ნომერი მიეძღვნაო. მე, რა თქმა უნდა, გული დამწყდა, რომ ავადმყოფობის გამო, მონანილეობა ვერ მივიღე უურნალის მომზადებაში და ცხელ-ცხელ გულზე იუბილარს ვერ მივუძღვენი ჩემი ძმური სურვილები.

ნათქვამია, გაციებული თონე ჰურს აღარ იკრავსო, მაგრამ, ისიც ვიცით, რომ: თუ გული გულობს, ქადა ორი ხელითაც იქმებაო. მეც, გადავწყვიტე, სანამ არ განელებულა იმ დღეების სიხარული და ურუანტელი, რაც, მაშინ, ვერ ვუთხარი – ჩემი სათქმელი, – იუბილარს, ახლა, მაინც, შევეხმიანო. ვიცი, სანთელ-საკმელი გზას არ დაკარგავს.

ღვაწლმოსილ მგოსანს აღალი გულით ვულოცავ 75 წლისთავს, ვუსურვებ შემოქმედებით წინსვლას, დიდხანს სიცოცხლეს და, ამ სურვილებთან ერთად, ვუძღვნი ლექსებს, როგორც – საახალწლო ხორბას.

P.S.

სამივე ლექსი სხვადასხვა დროს არის დაწერილი და, ახლა, ერთად ვუძღვნი იუბილარს, ფარნაოზ რაინაულს.

სოსო ჩხუბიანიშვილი

წარეკვამი ან არის...

ცალყბად ნათქვამი არ არის,
რის ღირსიცა ხარ, ისა ვთქვი,
ლექსის უშრეტი წყარო ხარ,
ნაფური მთისა, კლდისა, ქვის.

სამშობლოს მიწისა და ცის –
მზის ცეცხლით დნები, იწვები, –

ძირი და ფესვი იქ გიდგას,
თუშეთის მთებით იწყები.

ქართული სიტყვის, სიმღერის
და საქართველოს მქებელო,
საითაც წახვიდ-მოხვიდე, –
ავთანდილური გემდეროს.

გულში ცეცხლწაკიდებულსა,
ყელი ამაყად გელეროს,

ოლე, №1, 2024



არ გაგინელდეს წყურვილი, –
შე, ვეფხვო, ლომო ბებერო.

ტრფობის ტრფიალო გტორავდეს,
ჭაბუკურ გზნებით იარო,
და... ლამაზმანმან, – ყოველმან,
ზედ გულზე გადაგიაროს!...

2012

ფრთხილი მიაკულია, ფრთხილი იჭყვის...

50



ფარნავაზ მეფის სეხნიავ,
ლექსებით შენ რომ გვახარებ,
მეც მოველ, როგორც ძმა – ძმასთან,
საფერად თავი დაკარე...
კაცი, რომ ბეჭზე ხელს დაგრავს,
ეგ, ნიშანია – შექების,
მეც, ეგრე, გეტყვი მადლობას –
მაგ, შენი შემოქმედების.
ქართული სიდარბაისლით,
ენამეტყველო, მესიტყვევ,
ვინც, რომ მოგისმებს, უმალვე,
გადაიქცევა – შენი ტყვევდ.
შრომით, წინსვლას და სიხარულს,
თან, ახლავს: ღვარძლი, თუ, შური,
მაგრამ... მტრის დახვედრაც იცი,
ვაჟაყცობითა, – თუშურით...
მამაც, ხომ, გყავდა პოეტი,
სახლოვანი – იროდი,
სამშობლოსათვის დაეცა,
ბავშვი – ობოლი ტიროდი.
ჯიშიც და გენიც მისი გაქვს,
სისხლიდან სისხლში მჩქეფარე,
ერთგულ დარაჯად უდგეხარ, –
სამშობლოს, – ლექსით მყეფარე.
მუზასთან, დღითა და ღამით,
ბრძოლა გაქვს და... შერკინება,
ბედის წყალობაც ეგ არის,
უფალმა ეგრე ინება.
ნუმც გაგინელდეს: ეგ, ცეცხლი, –
სიკეთის შუქს მფინარი:
შრომის, წვის, ნიჭის გარეშე,
ნალდი პოეტი ვინ – არი?!
შეკანძული გაქვს ლექსები, –
კოკორა სიტყვის კვირტებით,
ყოველ სტრიქონში მოღელაგს –
ზღვა და... სიტყვების – რითმები.
ვკითხულობ... გახარებული –
სიბრძნის ბადაგით ვითვრები,
მადლი შენს გამჩენს, ეგების,
გადავიყარო კირთები.
ცოცხალს თბილ სიტყვას არ ვეტყვით,
გვჩვევია: მიეთ-მოეთი,
მე, გეტყვი, – სიცოცხლეშივე,
შენა ხარ: დიდი პოეტი.
გიბრწყინავს – რიტმი და რითმა, –
ცისკრის ნასხლეტი – არილი...
გულს მიტკბობს: შენი ლექსების –

მოყრილი მადლი, მარილი...
ალაზნის ტალღებს მოჰყვება
ჰანგები – რანი, რანული...
თუშეთის მთებში გაზრდილის
ხმა მოჰქუმებს – რაინაულის.
სამშობლოს მიწის ტრფიალო,
იღვრები სიბრძნის ჩანჩქერად,
შენი სახელი იცოცხლებს,
ვიდრე, მზე, მთვარე ჩაქრება...
დიდი რუსთველის, ვაჟაის,
სისხლის და ჯიშის ზიარო,
ცით დაბერტყილი ღვთის მადლით
ვონატრი ლოცვით, – იარო.
თვალო და ვერ დაგეთვალის –
შობის დლე, – დლესასწაული,
წვიმა გაწვიმდეს მუზების,
მაისის – ცა, – მეწამული!..

ამღერებული ზარი ხარ...

ამღერებული ზარი ხარ...
ცხრაკარას ციხის დარაჯი,
მაგ, შენი ნიჭის ჭირიმე,
შენი მარჯვენის და... მაჯის.
ჩემი ნათქვამი არ არის:
ქება გუგულის, მამალის.
გულიდან ამოხეთქილი
მოქმედია კარგის – მრავალი.
ვინც, – ცერად, გაისისინებს –
მომურნე, – მავან-მავანი,
თავად რა არგო ქვეყანას?!...
გულს რა დაადო წამალი?!...
მეკაფიავეც, მელექსეც,
ჭიდილში დაგეჩაგრება,
სიტყვანი, – მძივად ნაკინძნი
იურიალებენ – ჩანგებად.
შენი სახელი დარჩება,
ვიდრე, მზის თვალი ჩაქრება,
ვის ეწყინება, ვის არა,
ბოლმით, ვინ – ჩაიქირქილებს?!..
ის ვიცი, თვითმარქვიები,
მეფის ირგებენ – გვირგვინებს.
შენა გყავს – ნაღდი მკითხველი,
ხალხა შემფასებელი.
ვიცი ხანდაზმულ ხარისა,
რქანიც ეწევა ბებერის.
ღვთისა და ქვეყნის მსახურო,
ერის უღელი გადგია,
ეწევი ნიშა ხარივით,
და... წლები, ეგრე, გადიან.
სოლავ და... იმკი – ბარაქას,
ლექსების გიდგას ზვინები,
რთველი გაქვს – შემოქმედების,
ლექსიდან ლექსში იზრდები...
წველე და წველე – სიბრძნის რძე,
არ დაშრეს – ძირსადინარი,
დრო მსაჯულია, დრო იტყვის
დიდი მგოსანი ვინ არი?!!..

2011





აპრილი

სახურავები ბზინავენ რეშით
და ბელურების გაისმის მარში,
ცელქი აპრილის გრაციით, ეშით,
მისრიალებენ ღრუბლები ცაში.

ეზოა ჯერაც შიშველი, წაბლა,
არ შემოსილან სიმწვანით ხენი,
ვერ ვირწმუნებდი გაზაფხულს ალბათ,
რომ არ მღეროდეს ჩემს გულში ლხენით.

მე შენ მიყვანხარ

ოდეს აპრილი პირად-პირადი,
მარადი ძილით მძინარს დამლანდავს,
აღარ სჭირდება მტვერს ხვაშიადი,
სიკვდილამდე რომ გულში მალავდა.

შაშვებს, ტოროლებს ამცნობს მაშინვე
ჩემს საიდუმლოს ანცი აპრილი,
მათი გალობით სიტყვას სამივეს
ქარი წაიღებს ფაფარაყრილი.

სხვენზე მერცხლები თავისებურად,
შორეულ წეიმის მსგავსი ნოტებით
მოუყვებიან ამბაეს ბელურას,
ფანჯარასთან მჯდომის განმარტოებით.

ჩიორა ჩიტო, როცა სიცოცხლის
დღებს შემიცვლის ძილი მარადი,
ჩემს მიჯნურს ამცნე, რასაც სიმორცხვით,
ალსასრულამდე გულში ვმალავდი.

სარა ტისლეილი

სიყვარულის შემზევ

ჯადოსნურობა აღარ გრძელდება,
გაუცხოება დადგა წამხდენი,
ჩემთვის ველარ იქმ საკვირველებას,
არც მე ვარ შენთვის ამის ჩამდენი.

მე ზღვა ვიყავი, შენ კი – გრიგალი,
დიდებულება აღარ ელვარებს,
მოვდუნდი, როგორც ტალღებმიმცხრალი
ზღვისპირა ტბორი, არამღელვარე.

ვერ ააბორგებს ტბორს ქარდიდობა,
ზღვა იყალყება როცა შტორმებით,
ოდენ სიმყრალეს მატებს მშვიდობა,
ზღვაზე მნარეა ანაშმორები.

ვეფრენა

ვიდრე ჩამიხუტებს ცივი მიწა შავი,
როცა ველარ შევძლებ ბრმა დანახვას მშვენის,
ყრუ ვერ გავიგონებ გრიგალების ბლავილს,
უტყვი კრინტს ვერ დავძრავ ნიაღვარში ლხენის;

ვიდრე შემიწყდება გულის ძერა მალი,
სანამ მიღალატა ბოლო შემართებამ,
ისევ შემაყვარე ვინმე მთელი ძალით,
თუ არ ვეყვარები, სულ არ მედარდება.

თარგმა
ოთარ ცისკაპებ





תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

დავით შემოქმედელის თვითმისუფარდი სიტყვათქმნაზორით „მეტყველების დაფერ კარაჟი“; მისთვის ახალი სიტყვის შექმნა არის ახალი სიტყვების დაზღვება; აქეუ უნდა ითქვას, რომ ლექსიკური ოპერერი პოეტისათვის თვითმიზნი არ არის, რამაც თავადებე აღიარებს. „ახალი სიტყვათქმნაზორები ჩემი- თან არ იქმნება წინაპირობით ზორავულად, ის იძალება თბზევის პროცესი, სტიქიურად.“

၁၃၂

სიტყვის ქალმოსილება და პირ შემოქმედების პოეტურ საუფლოში

პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო
ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი.
(ახალი ალტერნატივური სახარება)

დავით შემოქმედელის პოეზიაში ცხა-
დად იკვეთება, რომ „პირველითგან იყო სი-
ტყუა“ და თავადვე სვამს პასუხებაუცემელ
კითხვას – მეორედ?! – მეორედ ის, რომ
შოთა რუსთაველის შეგონებით პოეტის
ვალია, „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმ-
ნას სიტყვა-მცირობა“. ...და დავით შემო-
ქმედელმაც შეისისხლხორცა ქართული სი-
ტყვა:

ვწერ: შევისახლე სხეულში სიტყვა.

ვწერ: შევრჩი ქალაქს მესიტყვე კაცი,
მე ვიღებ სიტყვებს სიტყვების ტყიდან,
მერე ყალბ სიტყვებს ლანკიტით ვაკლი.

დავით შემოქმედელის დამოკიდებულება სიტყვისადმი ცხადად გამოიკვეთა ცნობილ ენათმეცნიერ გიორგი გოგოლაშვილთან დალოგში, სადაც კითხვაზე – რა არის თქვენთვის სიტყვა? პოეტი, როგორც ჭეშმარიტად „მისირყვი კაჯი“, პასუხობს:

– „არა მარტო ვიბადები სიტყვაში, ვცხოვრობ სიტყვაში, ვკვდები სიტყვაში... სიტყვა ჩემთვის უფალია, სამყაროა... ტკბილი დედაქნაა“.

...და ჩვენც ვიწყებთ მოგზაურობას და-
ვით შემოქმედელის „სიტყვების ტყეში“ და
შეძლებისდაგვარად ვეზიარებით მისი პოე-
ზიის სიტყვათა საუფლოს, სადაც ღომინი-
რებს სახარებისეული პოსტულატი: სიტყვა-
იცა შენი გამოგაჩინებს შენ“. ...და ვინაიდან
„სიტყვა არის მოძრაობა სულისაა“ (სულხ-
ან-საპა), სწორედ „სულის მოძრაობა“
განმსჭვალავს დავით შემოქმედელის პო-
ეტურ საუფლოს, სადაც „სიტყვა მახვილზე
უფრო ბასრია“. სიტყვასთან შეჭიდებული
პოეტი ამაყად აცხადებს: „ჯიუტ სიტყვას-
თან მერგო წილობა“, „მე სიტყვის ტორით
სიკვდილი მოვკალ“, „მეც დავაგროვე სი-
ტყვების მთა კირთების ფასად!“ ამიტომაც
უსაზღვროა პოეტის სიტყვის ძალმოსილე-
ბა:

სიტყვა სამყაროს დუელში იწვევს,
სიტყვა – უძილო ღამის ღალადი,
უხედნავ სიტყვებს, ვით ურა კვიცებს,
რინგზე მოუხმობს ჩემი ქალალდი.

დავით შემოქმედელთან დიალოგისას გიორგი გრგოლაშვილი ყურადღებას ამახ-

ვილებს პოეტისეულ სიტყვათქმნადობაზე, რითაც იქმნება შთამბეჭდავი მეტაფორული სახეები: ცრემლთავნარგული ხედები; მარადისობაში დასიზრებულები; ქისაგამძლარი ბატონები; ჩქამფოთოლთვალ-ცრემლიანი ია; ჩაუალტამებული ფიქრები; ჩემგულმფლობელი სევდა; სისხლმომდინარე ჯალალედინი; ვარსკვლავმცინარე ცა; გამურაზხევისთავებული საქართველო....


ფრიად შთამბეჭდავია

ზმნური ნეოლოგიზმები: ჩამოისამხრეს ნისლებმა; სხივი ჩამომუხლდა; გაძაძის-ფერდნენ ხედები; გაიმზეთბილა დილამ; აუმზისფერდა თვალი; ზამთარი გავიაპრილოთ; გავიცუდლამდა სიცოცხლე; ჩამოაძაძებს ღრუბლებს; ცრემლისხსხლისფერი ოქროს საწმისი; გავძლემუხლდი; მთამნამოიმანდილნისლა; სამშობლო გაგვიცხედრდება...

დავით შემოქმედელის სიტყვათშემოქმედებითი ნეოლოგიზმები, მისსივე თქმით, „კავშირშია ლექსიკურ ფონდში გადანახულ საუკუნოვან სიტყვებთან... როცა მწერალი ცდილობს მშობლიურ ენის გამდიდრებას ახალი ცნებებითა და სიტყვათა ორიგინალური ფორმებით, ეს მწერლის ძალმოსილებაზე მეტყველებს“. ამგვარი სიტყვათძალმოსილება კი უხვად და უშურველად დაენათლა დავით შემოქმედელის პოეზიის ენას.

დავით შემოქმედელმა თვითმყოფადი სიტყვათქმნადობით „მეტაფორების დადგა კარავი“; მისთვის ახალი სიტყვის შექმნა არის ახალი სიცოცხლის დაბადება; აქვე უნდა ითქვას, რომ ლექსიკური ოპუსები პოეტისათვის თვითმიზანი არ არის, რასაც თავადვე აღიარებს. „ახალი სიტყვათქმნადობები ჩემთან არ იქმნება ნინასწარგანზრახულად, ის იპადება თხზვის პროცესში, სტიქიურად.“

სწორედ ეს „გაუხედნავი სიტყვები“ კიდევ უფრო ამდიდრებს ქართული ენის



დავით შემოქმედელი

ლექსიკურ ფონდს.

დავით შემოქმედელი ფიქრიანი პოეტია. გიორგი გოგოლაშვილთან დიალოგში მრავალი და შთამბეჭდავი პოეტისეული სიბრძნისმეტყველებაა დაუნჯებული:

სიტყვა: „მეც სიტყვა ვარ!“

ენა: „ენა სულის სარკეა; მწერალი ენაში სახლობს.“

პოეზია: „პოეზიაც თურმეომია, დიდგორის დარად გადასატანი.“

პოეტი: „პოეტი მაშინ გავხდი, როცა ლექსებით სამყაროს შეცვლა გადავწყვიტე.“

სამშობლო: „სამშობლო მხოლოდ ცრემლი არ არის, ადიდგორებულ სპაზე დიდია.“

ადამიანი: „სარკის გარეშე და სარკის წინ ერთი ხარ.“

ცხოვრება: „ცხოვრება ერთი გრძელი მარათონია, დაწყებული სამშობლოდან, დამთავრებული სასაფლაოთი.“

ქალი: „შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც თუ არ შემოვარდა ქალი, არ აგამ-ლვრია, არ აგშალა, არ გაგიყვანა დადგენილი შენი რიტმიდან, არც გიცხოვრია.“

შინ: „დავბრუნდი შინ და აღმოვაჩინე, რომ აქედან არსად წავსულვარ.“

ნიშანდობლივია, რომ დავით შემოქმედელის ლექსების უმრავლესობა უსათაუროა, რაზედაც გიორგი გოგოლაშვილიც მიანიშნებს. ამის თაობაზე პოეტი პასუხობს: „ლექსი თავიდანვე „მკარნახობს“, სათაური უნდა ჰქონდეს თუ არა“.

პოეტის აზრით, სათაური მკითხველს ბოჭავს და „პროკრუსტეს სარეცელზე აწვენს“. იშვიათად კი სათაურსაც მოიხდენს ხოლმეო.

დავით შემოქმედელმა მსგავსი გამონალისი დაუშვა თავის პოეტურ შედევრში – „**სიტყვის ჯვარით.**“ ეს ლექსი ფაქტობრივად არის ჰიმნი სიტყვას:

სიტყვისათვის ცადყოფილნი
მოკლულ ფოთლებს ჰგავდნენ,





სიტყვის სარმით დახოცილნი,
სიტყვის მადლით აღდგნენ.
სიტყვა, ღმერთო, გამაგონე,
 ერთადერთი **სიტყვა**,
 რაც არასდროს არვის მონებს,
 რაც არასდროს ითქვა.
 რაბი! ნუთუ შენც **სიტყვა** ხარ,
სიტყვის მადლით მოდი,
 მიწისა ხარ, ზეცისა ხარ,
 საგოლგოთე ლოდი.
სიტყვა მესმის საგალობლად,
 ტოტზე გოდებს მაფშალია,
 მზე ბანზე ზის საწყალობლად,
 უფლის წყარო დამშრალია.
 დავდივარ და ცრემლით ვმდერი,
 ვლოცულობ და გაბმით ვტირი,
სიტყვის საბნით ბურავს ერი,
 საღათასი აწევს ძილი.
 მოწამეთა რწმენა-შიშით
სიტყვა იქცა ბედის ნიშნად,
სიტყვით ვევნეთ, **სიტყვით** ვიშვით,
სიტყვა რინგზე რბევით მცდიდა.
სიტყვავ, ისევ შენ თუ გენდე,
 როგორც ნანას დედის, თბილის
 საწამებლად მექცა დღემდე,
 რომ უძლები მერქვა შვილი.
 მეც **სიტყვა** ვარ, დიდ დაფაზე



როინ ჭიკაძე

როგორ მშლიდნენ ხელალებით
 და მაღვრიდნენ ბალლამს ტანზე
სიტყვის სავსე ხელადებით,
 ხან მონებად გვყიდდნენ გზაზე,
 ხან ეშმას გზით ვბელადდებით.
 მაინც **სიტყვის** სიმს ვეკიდეთ
 იმედით თუ ცრემლ-დარდებით.
 ვდგავარ შენ წინ, არცა მიწის,
 არც ზეცის მსურს სამოსახლო,
 მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვრის თბილ
 ბაგით თქმულო, **სიტყვის** მადლო.

ლიტერატურა

1. გიორგი გოგოლაშვილი, ეპოქა და მწერალი,
 გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2023.

2. დავით შემოქმედელი, ხსოვნის ანაბეჭდები,
 გამომცემლობა „დავითი“, თბილისი 2013.



ზაალ პრტკოველი

მართლაწ მნელია უფრო უკეთ შეაფახო ნუგზარ წერ-
ლ ეფლის დამოკიდებულება პოეზიისადმი, მისი არსისადმი. ვის-
თ ვის და ამ პოეტის ხომ კარგად მოეხსენება, რომ თუ ლექსი
ლ წერ, უძირველესად იძაზე უზდა იფიქრო, შენი ნააზრევით
1 რას იტყვის სიტყვა ქართული, მტკლეფ და სალობუნად დაეჭე-
რ მა თუ არა შენი ქვეყნის მარჯნიულ სისხლმდინარე იარებს,
ლ დაეჭინება თუ არა წომლები, რომლებიცარ მთელი სამყროს
1 დაეყრონა ძალუძის. ამხელა ცვირთის ზიღვა, მსგავსი პასუხ-
ლ ისმგებლობა ბევრ რამეს ავალებს შემოქმედს და, უძირველეს
1 ყოვლისა, იმას, რომ გამუშავებით ეძიებდეს ურაგ უთქმელ
ლ სიტყვას, ჟურაგ უთქმელ ფორმებს საკუთარი ნააზრევის გაფ-
1 მოცკემად, იმ ნააზრევისა, რომელსაც სამშობლოს საკუთხო-
ლ ველთან წარმოთქმული სულიერი ლალადისი ჰქევია.
9. მარტინ გული

55



ზოგი რამ ეართული მხერლობის ავთანდილზე

„ცხოვრების მრავალწერტილი“...

სწორედ ეს სათაური შეურჩევია თავისი
ახალი პოეტური კრებულისათვის გამოჩე-
ნილ ქართველ მწერალს ნუგზარ წერეთელს.
დიახაც რომ მრავალწერტილი.

რა ზუსტი, რა ზედმინევნით ზუსტი სა-
თაურია, ბატონებო, ზუსტი სწორედ იმიტომ,
რომ მიუხედავად საკმაოდ ხანდაზმული
ასაკისა ნუგზარ წერეთელს პოეტური საფა-
ნელი არ შემოკლებია და კვლავაც ჭაბუკუ-
რი შემართებით ერკინება ქართულ სიტყ-
ვას, კოჭლი იაკობივით ერკინება და ხშირად
გამარჯვებული გამოდის ამ უთანასწორო
ორთაბრძოლიდან. გაეცანით კრებულს და,
დარწმუნებული ვარ ამ შეფასებას თქვენც
დაეთანხმებით. ასე რომ წერტილის დასმამ-
დე ჯერ კიდევ შორია და ბატონი ნუგზარიც
გულის სისხლში განბანილი სტრიქონებით
კიდევ დიდხანს გაგვახარებს მის მკითხ-
ველებს.

ვინც იცნობს მას, კარგად მოეხსენება,
რომ ეს შემოქმედი პოეზიით სულდგმუ-
ლობს, პოეზიით სუნთქავს და სხვანაირად
არსებობა არ ძალუძის. რა სრულად გაისიგ-
რძეგანა ყოველივე ეს გურამ გეგეშიძემ,
დიდებულმა შემოქმედმა, რომელსაც თავის
დროზე განაცხადა:

„პოეზია ნუგზარისთვის ყოველთვის იყო
და ახლაც არის კაცობრიობის უკვდა-
ვი სული, რომელიც ღვთაებრივ სიბრძნეს,
სიმშვენიერეს და ქველობას გვიქადაგებს
და იდუმალ საფარველში გახვეული განუ-
წყვეტლივ გვიხმობს თავისკენ, როგორც

უზენაესი ჭეშმარიტება!“

მართლაც ძნელია უფრო უკეთ შეაფა-
სო ნუგზარ წერეთლის დამოკიდებულება
პოეზიისადმი, მისი არსისადმი. ვის-ვის და
ამ პოეტის ხომ კარგად მოეხსენება, რომ
თუ ლექსი წერ, უპირველესად იმაზე უნდა
იფიქრო, შენი ნააზრევით რას იტყვის სი-
ტყვა ქართული, მტლედ და სალბუნად
დაედება თუ არა შენი ქვეყნის მარადიულ
სისხლმდინარე იარებს, დაედინება თუ არა
ცრემლები, რომლებსაც მთელი სამყაროს
დაპყრობა ძალუძის. ამხელა ტვირთის ზიდ-
ვა, მსგავსი პასუხისმგებლობა ბევრ რა-
მეს ავალებს შემოქმედს და, უპირველეს
ყოვლისა, იმას, რომ გამუშავებით ეძიებდეს
ჯერაც უთქმელ სიტყვას, ჯერაც უთქმელ
ფორმებს საკუთარი ნააზრევის გადმოსაცე-
მად, იმ ნააზრევისა, რომელსაც სამშობლოს
საკურთხეველთან წარმოთქმული სულიერი
ლალადისი ჰქევია. ამ ლალადისის უფლება კი,
მორალური გინა ზნეობრივი, ნუგზარ წერ-
ეთელმა კარგა ხანია, რაც მოიპოვა, რო-
გორც ჭეშმარიტმა ერისკაცმა და მამულიშ-
ვილმა.

მთელი ცხოვრება სწამდა, უყვარდა,
იტანჯებოდა, უანგაროდ, დაუზოგავად
გასცემდა სიკეთეს და, მაინც, ახლა, როცა
ზამთრისპირი კარს მოდგომია, როცა დარა-
ბებს მიღმა სუსხსა და ყინვას, ქარაშოტებს
გაუდგამს ფესვი, ჰერნია, წლებისგან გა-
მოფიტული დავრჩი, რამდენი რამის გა-
კეთება ვერ მოვასწარიო.

უფრო და უფრო გეძალება

ოლქ. №1, 2024





ფიქრი მსუსხავი,
რა გააკეთე,
რა ბილიკი გრჩება თაო-
ბის?

დას, თუ პოეტი, თუ ჭეშ-
მარიტი პოეტი ხარ, ეს ეჭვი
მუდმივად დაგედარება ხოლმე
შემოქმედს, რომელსაც მთელი
ცხოვრება ჩუმად, უდრტვინვე-
ლად გივლია წუთისოფლის უღ-
რანებში და არასოდეს შელე-
ვიხარ კაცობის და ნამუსის
ქუდს. ამიტომაც ვაჟკაცურად
ებრძის ყველა ჭირსახდელს,
ყველა განსაცდელს, მაგრამ სულში ჩაგუ-
ბებულ ნამქერებს როგორ ებრძოლოს, რა
იღონოს მათ წინააღმდეგ, ეს კი აღარ იცის...

ეს ავისმომასწავლებელი ნამქერები კი
სამშობლოზე გამუდმებულმა ფიქრმა წარ-
მოშვა. მისი საესავი ქვეყანა ხომ ყოველ-
დღიურად გადის ბენვის ხიდზე, იმ გულ-
საკლავ გზაზე, „ვია დოლორესა“ რომ ჰქვია
სახელად, წამების გზა, ჩვენმა მაცხოვარმა
რომ განვლო თავის დროზე. ჰო, აღარ გა-
მოიდარა ჩვენს მამულში, ზეცაც შავადაა
შეჭმუხნული, ქართა ლაშქარი ისე შემოგვე-
სია, ისე წამოიზარდა ზღარბის ეკლები,
თითქოს აღარასოდეს აპირებდეს ჩვენგან
დახსნას.

ცხოვრებაც ქარივით მიქრის,
მიქრის, სანთელივით ქრება,
იგებ ტანჯვასავით ფიქრით
საწყის – დასასრულის ცნებას.

კავკასიონს წარბი კვლავაც რისხვით
შეუყრია და, ვინ იცის, მერამდენე განსაც-
დელს გვიმზადებს. ქარი კი ჩიტივით მი-
აფრენს მცირე ბუმბულივით იმედს, ცაც
ჩვენს თავზე მუდამ საავდროდ გვრგვინავს
და ელავს. პოეტი ხედავს, თუ როგორ ას-
დევნებია ბელზებელის აჩრდილი მაწანწალა
ძალლივით ივერთა მინას და მოსვენებას
უკარგავს, უკვირს, როგორ ვერ გავიგე-
ნით გზა ამ ცოდვის ოკეანეში, რატომ შე-
მოგვეცალა ლურჯი აპრილების მადლი და
მირონი, რატომ ჰყვავის ბესიკის ბაღში ჭინ-
ჭარი, რატომ გაეხსნა სადინარი ზიზღსა და
სიძულვილს, რატომ ემსგავსება სამშობლო
ვეება გამოქვაბულს, რომელშიც სინათლის
ერთი სხივიც კი ვერ აღწევსო.



ბევრი ეცადე,
ბევრი ეწამე,
დარდი კი მაინც ვერ გამო-
ლიე,

ზღვისპირ ხლართავდა
ლერნამს ლერნამი
და ზღვას ახლიდა ქარი
თოლიებს.

რამდენი სევდა და დარდია
ჩაქსოვილი პოეტის ამ მშვე-
ნიერ სტრიქონებში, პოეტისა,
რომლისთვისაც სამშობლო
მომაკვდავი გედის ფარფატა
ლანდს დამსგავსებია, რომე-

ლიც ხედავს, რა გავეშებით, რა გეგმა-
ზომიერად ცდილობენ ეშმას მოციქულნი
ფრთები დააჭრან ქართველი კაცის სურ-
ვილებსა და ოცნებას უკეთეს მომავალზე;
რა მძიმედ და ცივად იხშობა სიკეთის კოდი,
რა სისწრაფით მივექანებით არყოფნისაკენ,
როგორ პატარავდება შაგრენის ტყავივით
ჩვენი მამული. იქ სადაც სიყვარულის სურ-
ნელი ქროდა, გაუტანლობამ და ავკაცობამ
დაისადგურა. რა უნდა იყოს იმაზე შემზარ-
ვი, როცა საკუთარი თვალით შესცერი,
რომ შენს მამულში მზე სწრაფად ჩადის,
უფრო ჩქარა, ვიდრე ამოდის, პორიზონტი
კი ნაბადივით გაშავებულა.

აღარ გაისმის სიმღერა დების,
და აღარც სმენას ატკბობს ურმული.
ხმალი უსაქმოდ ტალახში გდებით
დაუანგულია და გამურული.

მწუხარებას გამოუხრავს ბებერი მუხის
ქერქი და, ჰო საოცრებავ, შესეულმა მუმ-
ლმა ლამის წამოიქციოს ჩვენი მარადიული
უკვდავების სიმბოლო.

ასე როგორ უნდა ვიარსებოთ, ასე
როდემდე გაძლებს ხმლებით დაჩეხილი
მრავალტანჯული სული საქართველოისა?
– შეშფოთებული ეკითხება საკუთარ თავს,
თუ რამეს შესთხოვს არსთაგამრიგეს, ერ-
თიანობის განცდას შესთხოვს, რაზეც და-
ვითისა თუ თამარის ძალა და შემართება
უნდა წამოიზარდოს. იცის, გმირ წინაპარ-
თა გოლიათური ძლიერი მხრებით მოვიდა
მრავალტანჯული ეს ქვეყანა დღემდე. ამი-
ტომაც ქართულმა სისხლმა ისევე უნდა იდი-
ნოს, როგორც დიდი დავითის დროს რბოდა,
ისიც იცის, რომ წინაპართა სამამულო გზა



ნატვრისთვალივით უნდა მოიძებნოს, რათა ძველებურად იქუხოს ქართველმა ერმა ისე მძლავრად და შემართებით, რომ ცისკიდურზე ისევ დაჩინდნენ ცისარტყელები ქართველობის გადარჩენის დასტურად. დიახ, სწორედ დიდგორიდან უნდა დაუბეროს ქარმა, მერმე გრიგალად და მეხთატეხად რომ დაატყდება თავს ყველა ქვებუდანსა და მუცლითმეზღაპრეს. იმ მწვერვალებს შენატრის, საიდანაც ფრთაგაშლილი არნივივით მოსჩანს ნოსტე, ლურჯ ნისლებში გახვეული ნოსტე, ქართველთა გმირობისა და მსხვერპლთშენირვის ერთი უებრო ნიშანსვეტი. ეშმასთან და სატანასთან უთანასწორო ომებში პოეტს ჩვენი დიდებული ტაძრებიც ეგულება თანამოაზრედ.

საოცარია,
იმედი ახლის
სულაც არ მქონდა,
ძველით ვხარობდი,
იდგა იმედად
კვლავ უფლის სახლი
და ჰერდა იმედს
ამ სამყაროსი.
უფლის სახლი!

ჩვენი ნუგეში და იმედი, რა მნიშვნელობა აქვს მათ სახელს, სვეტიცხოველი იქნება თუ ალავრდი, ჯვარი თუ შიომღვიმე, გელათი თუ ბაგრატი ნიკორწმინდა თუ სამთავისი... მთავარი ისაა, რომ აქ, წმინდა სალოცავებში, დღემდეა დავანებული ქართველ გმირ წმინდანთა უკვდავი სული, ჩამუხვლის უფლებას რომ არ გვაძლევს. ამ ტაძრებში დღე ცისფრად მოკამამე ღამეს გადაედნობა და სიწმინდის, სათნოების საუკეთესო სანატრიონს გვაზიარებს. დიახ, ქრისტეს რჯული, წმინდა ნინოს თმებით შეკრული ქრისტეს ჯვარი გადაარჩენს ღვთიშობლის წილხვდომილ ქვეყანას, რომელიც სულ ახლახან დაუსხლტა, ხელიდან ბოროტების იმპერიის მარწუხებს და ძნელად, რთულად, ნაბიჯ-ნაბიჯ უბრუნდება უფლის წიაღს, აცნობიერებს იმ ათი ცნების უზენაესობას, არსთაგამრიგემ რომ უქადაგა კაცობრიობას. დიახ, ბატონებო, უფლის წიგნი – წიგნთა წიგნი უნდა გახდეს ის უპირველესი ნიშანსვეტი, რომელზეც სწორება უნდა ჰქონდეს ქართველობას და მაშინ, როგორც ნუგზარ წერეთელი ბრძანებს, საქა-

რთველოც მყინვარწვერივით ამაღლდება და თავის წილ, თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს ცივილიზებულ სამყაროში.

თუ რამეზე წუხს პოეტი, იმაზე წუხს, რომ სიყვარული დაიკარგა ამქვეყნად, რომ სიყვარულმა დაკარგა ფასი და მის ადგილზე სიძულვილი, ზიზღი და გაუტანლობა ბატონობს. ეს გარემოება მით უფრო ტანჯავს ბატონ ნუგზარს, რომ მას თავად ერთი დღეც არ უცხოვრია უსიყვარულოდ, უფრო მეტიც, სიყვარულის აპოლოგეტად რჩება და დღემდე ვერონელი მონტეგებისა და კაპულეტების ტრაგედიას პირად ტრაგედიად მიიჩნევს.

რომ ყველა გზები, დღემდე მოვლილი, ჩემთვის თუ შენთვის იყო ნებითი, რომ ჩვენი ლტოლვაც არის თოვლივით უხვი, ლამაზი და დროებითი.

ამ მშვენიერ ლექსს მის უსაყვარლეს მეუღლეს უძღვნის, მეუღლეს, რომელიც ეხმარება გრიგალივით თუ ქარაშოტივით მოვარდნილ სიბერესთან უთანასწორო ბრძოლაში და თუ ამ სტრიქონებში ეკლესიასტეული ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო გამოკრთება, ესეც სრულ კანონზომიერებად მიგვაჩინია, რადგან ცხოვრებაა თავად ასეთი, სასტიკი და დაუნდობელი.

რა კარგია, როცა მარტონი სიყვარულსა და სითბოს ვებარეთო, მიმართავს ნანდაურს და იმ დღეებზე ოცნებობს, როცა მათი სულები ღვთიური უსასრულობისკენ მიიღოტვოდნენ.

დღეს შენი ლანდი
დაჲყვება ქუჩას
და ის ლანდიც კი
დიდებულია.

ასე წერა მხოლოდ მათ ხელენიფებათ, ვინც უფალმა ჭეშმარიტი სიყვარულის ნიჭით დააჯილდოვა და ისე გაუშვა წუთისოფლის ულრანებში სახეტიალოდ. ნუგზარწერეთლის ამ ღვთიურ ნიჭზე გაამახვილა ყურადღება პოეტისადმი მიძღვნილ წერილში მისმა კოლეგამ, თავადაც ჩინებულმა შემოქმედმა თამარ ჯავახიშვილმა:

„სწორედ სიყვარულია ის უმთავრესი, რითაც ნუგზარის პოეზია გვხიბლავს – დიდი, ვაჟაპური სიყვარული უფლისა, სი-





ცოცხლისა და მოყვასისა... ეს განაცხადი ჭქშმარიტი ადამიანის, – ვაჟუაცობის დევიზია, დიდი მგოსნების, დიდი ერისკაცების დევიზი. სიყვარულს ისე ვერ ისწავლი, თუ მისი ფესვი უფალმა არ ჩაგინერგა, დაგანათლა... ის ფესვი უთუოდ ყველას გვეძლევა, ოღონდ პოეტია ის ბედნიერი, ვინც ამ ფესვიდან მშვენიერ ნაყოფს აღმოაცენებს“.

ამ სიყვარულის, ამაღლებული, ზნეობრივად გასპეტაკებული სიყვარულის გამოვლინებად გვესახება პოეტის შთაგონებული სტრიქონები, რომლებიც მან მისი მეგობრების ერლომ ახვლედიანის, ჯანსულ ჩარკვიანის, გოგი წერტლის, დავით ჯავახიშვილის, ნიკო ლეონიძის, გენო კალანდიას, ვახტანგ ბოჭორიშვილის, გია ნანავას, სხვათა და სხვათა ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

ცხოვრების სრბოლა

უცებ წყდება წვრილი ძაფივით,
მორჩა, დამთავრდა,
ყველაფერი ნუთუ დამთავრდა,
მაინც მგონია,
შენ სივრცეში იქით გაფრინდი,
სადაც ლვთისაგან გაჭრილია
გზები მართალთა.

ასე ლამაზად, ასეთი სევდიანი და ცრემლით სავსე სტრიქონებით გამოეთხოვა პოეტი მისი სიყრმის მეგობარს, დიდ ქართველ მწერალსა და მამულიშვილს გურამ გეგეშიძეს, რომელმაც ლრმა კვალი გაავლო XX-XXI საუკუნეების ქართულ პროზაში.

და მაინც...

ახლა მივადექი მთავარ სათქმელს ამ ღვთიური მადლით დაღდასმულ შემოქმედზე.

ამ წერილის სათაურში ნუგზარ წერტელი ქართული მწერლობის ავთანდილად მოვიხსენიე.

რატომ?

იმიტომ, რომ ამ მრავალწახნაგოვან, ფართო თვალსაწიერის მქონე შემოქმედს, მშვენიერ პოეტსა და მთარგმნელს, ჩინებულ პროზაიკოსსა და პუბლიცისტს, წერტელთა დიდი გვარის ლირსეულ შთამომავალს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში სულ რომ არაფერი შეექმნა, ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ისტორიაში მაინც დაიმკვიდრებდა ქართული მწერლობის ავთანდილის სახელს. დამკვიდრებით კი იმიტომ დაიმკვიდრებდა, რომ ათწლე-

ბულების განმავლობაში ამ ჩვენს პრაგმატიზმით, შურითა და ლვარძლით სავსე სამყაროში საარაკო თავდადებით უპატრონა მისი უპირველესი მეგობრის, უღვთოდ აღსრულებული უნიჭიერესი მწერლის გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობას. რაოდენი სითბო, ერთგულება, სევდა და ნაღველი ჩაქსოვა გურამისადმი მიძღვნილ წიგნებს, ისეთებს, როგორიცაა „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, „აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენს წინ“, „გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა გრძელდება“. რა მდუღარება იგრძნობა გულისა გურამისადმი მიძღვნილ თუნდაც ამ სტრიქონებში:

ნისლი, სქელი და რძესავით თეთრი,
აგვისტოს თვეში დაფარავს გაგრას,
გეძებთ

კვლავ სხვათა გადასარჩენად
ზღვაში შეჭრილს და უკვალოდ
გამქრალს.

ასე პატრონობს, ასე ელაციცება პოეტი ზეცად ამაღლებულ მეგობართა და ძმადნაფიცთა სულებს და, კაცმა რომ თქვას, მეჩვენება, რომ სწორედ ამაში პოვებს შვებასა და მისი არსებობის უმთავრეს დანიშნულებას. აკი არსთაგამრიგემ ასე უხვად დააბერტყა რუსთაველის ავთანდილისეული დიდი, უკიდეგანო, გაუხუნარი მეგობრობისა და სიყვარულის ნიჭი. ნახეთ, როგორ ისენებს იმ ბედნიერ დღეებს, როცა ყველანი ერთად იყვნენ და ოცნების კოშკებს აგებდნენ.

და აღარც მახსოვს

ამ ქვეყანაზე

ბედნიერები ვიყავით როდის...

იქნებ იმ დროში, ახალგაზრდობა

როცა რაშივით გვება კარებთან

და სიყვარული შევარდენივით

აღმა და დაღმა დაგვატარებდა.

იმდენად მნიშვნელოვანია ნუგზარ წერტელის ღვანლი უდროოდ და უღვთოდ აღსრულებული გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების პოპულარიზაციაში, იმდენად მნიშვნელოვანია მისი წიგნები გურამზე, რომ ამით აღფრთოვანებულმა ჭაბუა ამირეჯიბმა, საუკუნის რომანის შემქმნელმა ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ სიკეთით სავსე შემოქმედისადმი:

„გურამ რჩეულიშვილის გარდაცვალება,




მე თუ მკითხავს ვინმე, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენი სულიერი მომავლისთვის უმნიშვნელოვანესი დანაკლისი იყო და ვითომ რა გასაკვირია, რომ მასთან ერთად გამოვლილმა სიცოცხლემ მისი მართლაც რომ საკადრისი, ნაღდი და აღტაცებული წიგნები დაგაწერინა. ბარაქალა, ნუგზარ წერეთელო, მწერალო და მარად მებრძოლო მამულიშვილო“.

მე, თქვენს მონა-მორჩილს, თითქმის არ მეგულება მეორე ისეთი მწერალი, ასეთი სასოებით, უდიდესი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის განცდით უვლიდეს „ადრე წასული კაცის ფიქრებს“, როგორც ლადო ასათიანი იტყოდა.

ნუგზარ წერეთელი პოეტია, ჭეშმარიტი პოეტი და მის გარშემო ბევრი ისეთი რამის დანახვა თუ შემჩნევა შეუძლია, რისი აღქმაც ჩვენ, რიგით მოკვდავებს, არ გვეხულნიფება, იმის დანახვა შეუძლია, თოვლი როგორ თქორავს რძისფრად ლამეს, როგორ ბელავენ მთვარის სვეტები პრიალა ხმლებით თოვლში თავდახრილ ფიჭვებს. საერთოდაც უყვარს თოვლი პოეტს და ამიტომაცაა მოხიბლული ბაკურიანის პირველქმნილ-მშვენიერებით. ათასგვარ ომებით და დაპირისპირებებით სავსე სამყაროდან გამოქცეულს ანდამატივით იზიდავს სამოთხედ ქცეული ეს დასახლება თავისი ქათქათა და უსპეტაკესი თოვლით...

ნუგზარ წერეთლისთვის უფლის მარადი კალთასავით გადაშლილა ალაზნის ველი, საიდანაც მოფარფატე გედივით მოჩანს ალავერდი, ჩვენი რწმენისა და ქედუხრელობის სიმბოლო. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ეს რომანტიკული სულის მქონე შემოქმედი მოგზაურობის ტრფიალია და ლამის მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი, უცხოელთა ნაღვანის შეფასებაც შეუძლია და დაფასებაც. აკი წერს კიდეც ერთგან, ვენეცია და ფლორენცია ლმერთმა უსახსოვრა კაცობრიობასო. მაგრამ მშობლიური ბალახვანი



ზალ პოტკოველი

თუ ნადიკვარი, სტეფანწმინდის სანახები ყველაფერს ურჩევნია და მათ შეტრფის უპირველესად. საქართველოს წმინდა ცრემლებს აგონებს მთებიდან მოვარდილი ქართული მდინარები, უხარია ზამთრისგან თავდალწეულს იმის ცქერა, თუ როგორ მიუძღვება აპრილი გამოზაფხულის ქარებს ზუსტად ისე, როგორც მწერმასი მიერეკება ხოლმე ატორტმანებულ ფარას.

არ შემიძლია, კიდევ ერთი

ამონარიდი არ მოვიყვანო პოეტის ერთ-ერთ ლექსიდან:

მწერლებთან ომი
წესად ჰქონდა საბჭოთა კავშირს,
სისხლისგან დათხვრილს,
სამარცხვინოდ წამხდარს და დაშლილს,
ბევრი მოაშთეს,
სამწუხაროდ, ბევრი გაულიტეს,
სიტყვის ძალა კი
ვერც გააქრეს და ვერც დაშრიტეს.

სიტყვასთან მებრძოლს

ჯერ არავის გაუხარია.

დიახ, ბატონებო, სიტყვასთან მებრძოლ ჯალათებს ჯერ არსად და არასოდეს გაუხარიათ. დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ლმერთთან და ლმერთი იყო სიტყვაო, გვასწავლის იოანეს სახარება და აბა, ლმერთთან მებრძოლი რომელი სატანა და ბელზებელი გამოსულა გამარჯვებული ლმერთთან შერკინებიდან.

ბატონ ნუგზარს, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე შემოქმედს, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ლირსეულ წარმომადგენელს მტკიცედ სწამს, რომ ქართული მწერლობა ადრე თუ გვიან დაიბრუნებს უნინდელ დიდებას და ადგილს. სწორედ ამისთვის იღწვის ეს დიდებული პირვენება, რომელიც ასე ამშვენებს მის სამწერლო ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ლმერთმა ხელი მოუმართოს სამშობლოს სამსახურში უებროდ დახარჯულ პოეტს.





ნანა
რჩეულიგვილი

გურამ იჩეულიშვილის, როგორებ მწერლისა და შემოქმედის განსაკუთრებული ხელნერა გვიმძაფორებს ინტერესს ის თეორიული პარეტოზის მიმართ, რომელთა სარტყელებითარებული ასე განსხვავებული, იძღვოსათვის წოდება უწინაური მწერლის ნიმუშები. თითოეული ფრაზა მისი მოხარებისა, ლექსებიდან, დაიურიდან, თუ უზრალო ჩანაწერებისა, სამოქანაკლეის ახალი აზრით, განსხვავებული იდეული მოტივაებითა და დაუკავებელი მწერლაური პატონით.

၆. ၏နိဂုံးလေစွဲဝါလေ

लिंगायती लोगों का इसका विवरण नहीं है।

გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული მეცნიერებები

გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლისა და შემოქმედის განსაკუთრებული ხელნერა გვი-მძაფრებს ინტერესს იმ თეორიული ასპექტების მიმართ, რომელთა საშუალებითაც იქმნებოდა ასე განსხვავებული, იმდროისათვის ცოტა უც-ნაური მწერლობის ნიმუშები. თითოეული ფრაზა მისი მოთხრობებიდან, ლექსებიდან, დღიურიდან თუ უბრალო ჩანაწერებიდან, სუნთქვას ახალი აზრით, განსხვავებული იდეური მოტივაციითა და დაუკავებელი მწერლური პათოსით. გურამი არასოდეს ყოფილა ჩამოყალიბებული პოეტი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სწორედ ლექსად ნათქვამ ფრაზაში ყველაზე უკეთ ჩამოყალიბდა მისი მწერლური ფანტაზია:

ରାଫଗାନ ଲ୍ୟାକ୍ସେପ୍ଶିଳେ ନେରା ଧାଵିନ୍ଦ୍ୟ,
ୱନ୍ଦା ବତ୍କେବା କିଣ୍ଡେତୁ, ରା ମିପ୍ପାର୍କ୍ସ ଲ୍ୟାକ୍ସଶି:
ମେ ବୈତ୍ରଣୀ, ମେ ବ୍ରାହ୍ମନୋଦ, ମେ ବୋତିଦାଶ ବାସନାଦ
ଓମ ପୌତ୍ରିଜୁର ଦ୍ୱାନ୍ଦର୍ମାନେବାଶ, ରମଲ୍ଲିଲେ ତା-
ତାମନ୍ତର

ნაწილიც სინათლით სუნთქავს
(გურამ რჩეულიშვილი; 4,419).

მნერლისთვის მიუცილებელ პირობად
მიჩნეული „პოეტური ბუნდოვანება“ გურამ
რჩეულიშვილის შინაგანი, უხილავი სუბსტან-
ციაა, „სინათლით მსუნთქავი“, რომელიც ავსებს
მნერლის შინაგან სამყაროს და ანიჭებს მას
„სხვა სამყაროში“ გადასვლის პოტენციურ შესა-
ძლებლობას. როგორც „დღიურში“ წერს ის – „მე
ჯერ ვივსები რაღაცით და მერე ვიგებ რა არის
ეს რაღაც“. ხოლო მეგობრისადმი (ერლომ ახვ-
ლედიანი) გაგზავნილ პირად წერილში ვკითხუ-
ლობთ: „მე ვიცი, რომ მაქვს პრინციპი, შინაგანი,
ოლონდ რა არის, კარგად არ მესმის“.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა საკმაო საფუძველს იძლევა მისი თეორიული განხილვისა და შეფასებისათვის. ოთხი წლის განმავლობაში მან შეიქმნა მნიშ-

ნებლოვანი ლიტერატურული ღირებულების მქონე სამწერლო მემკვიდრეობა მოთხოვნებით, ნოველებით, ლექსებით, პიესებით, ჩანაწერებითა და პირადი წერილებით. საგანგებო ყურადღებას იქცევს მისი შემოქმედებითი პროცესის ხასიათი, ლიტერატურული შეხედულებანი, რომელიც ისევე უჩვეულო და არაორდინალურია, როგორიც მისი მხატვრული შემოქმედება. უჩვეულო იმდენად, რომ თავის დროზე მისი შეფასება გაუჭირდათ საკმაოდ კომპეტენტურ პირებსაც-კი. ვგულისხმობთ ურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიას, რომლის წევრები გაურკვეველი მოსაზრებით აჭიანურებდნენ რჩეულიშვილის მოთხოვნების დაბჭეფვას, თუმცა როგორც გადმოგვცემენ, სათითაოდ თანახმანი იყვნენ, ერთად კი თავს იკავებდნენ, ერთმანეთს აპრალებდნენ და საერთოდ უარს უბინებოდნენ მათ დაბურვაზე.

როგორც ჩანს, გურამის მოთხოვების დამახასიათებელმა ხელწერამ ერთგვარი დაბ-ნეულობა გამოიწვია ლიტერატურის კრი-ტიკოსთა შორის. ამ საკითხზე ისევ ავტორის ახსნა-განმარტება თუ მოგვცემს პასუხს: „საზო-გადოების დიდი ნაწილი მე მხვდება, როგორც გადმომდერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის“ მოტივებისა. სასურვე-ლი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილ-მა მხატვრულთან კავშირში, გააქარნებულოს ეს შეხედულება და ჩვენ ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ თვალებში ყურება“. ციტირებას ვახდენთ წერილიდან, რომელიც გურამმა ჟურნალ „ცისკრის“ იმჟამინდელ რე-დაქტორს, ვახტანგ ჭელიძეს გაუგზავნა (გურამ რჩეულიშვილი, 6, 100). ცნობილია, რომ 1956 წელს მწერალმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა მოთხოვების გამოსაქვეყნებლად, რაც მანამ-დე არ იყო მისი ინტერესის საგანი. აღნიშნული



გურამ რჩეულიშვილი

წერილიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

გურამ რჩეულიშვილის შეხედულება მწერალსა და საერთოდ, მწერლობაზე ხშირად არაერთგაროვანია. აზრი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ინოდებოდეს მწერლად, არაერთ პირად წერილსა თუ ჩანაწერში გვხვდება. „მე მწერალი არა ვარ! მე შეყვარებული ვარ! გესმით?! ოღონდ ახლა არ ვიცი ვისში“. ანუ, მისი აზრით, სიყვარული, „შეყვარებულობა“, თუნდაც ბუნდოვანი, მიუცილებელი პირობაა მწერლისათვის. კიდევ უფრო დაცვენილია შემდეგი ფორმულირება: „ყველაზე კარგს კი იგი დაწერს, ვინც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება ვერმილნეულის ვნებით შეპყრობილი.“ აქ ხაზგასმითაა მითითებული პიროვნების ტანჯვასა და ღირსებით შეგნებაზე. და, რაც ყველაზე მთავარია, ნამდვილ მწერალს „თავზე უნდა დაემხოს წერის სურვილი, როგორც ბედისწერა“. ეს ბედისწერა, ანუ ტანჯვა წერა-არწერას შორის იყო მუდამ თანამდევი მისთვის. „საშინლად ვიტანჯები, უბრალოდ, ჯოჯოხეთის ცეცხლზე ვიწვი წერასა და არწერას შორის... სხვა გზა არ არის, უნდა ვწერო, ახლა ეს არის ერთადერთი, რასაც შეუძლია, რომ ოდნავ მაინც მომასვენოს“ (გურამ რჩეულიშვილი, 5; 322).

შევნიშნავთ, რომ მისთვის, როგორც მწერლისათვის, ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობა წერისა და ამ ნაწერის სხვისათვის გაზიარების სურვილი იყო. ოდესიდან გამოგზავნილ

წერილში, დას, მარინე რჩეულიშვილს წერდა – „მინდა (წერა) იმიტომ, რომ მინდა და კიდევ იმიტომ, რომ ჩემს გარდა სხვამაც იცოდეს, რა სავსე ვარ შემოქმედებით და სიცოცხლით“. ამის დასტურია წერილები მამის, მიხეილ რჩეულიშვილისადმი, დის – მარინესადმი, ახლო მეგობრების, ერლომ ახვლედიანის, გურამ გეგეშიძის, ნუგზარ წერეთლისადმი. ამასთან, არანაკლებ ყურადღებას აქცევდა მკითხველის შეფასებას. მამისადმი მინერილ წერილში ვკითხულობთ: „სულ ორ-სამ კვირაში ახალ პიესას, ან სცენარს გამოვგზავნი, რომელიც პირველზე ნაკლებად არ მოგეწონება. დიდი მადლობელი ვარ შენი გულისხმიერი რჩევებისა, პიესის ახლიდან გადაწერ-გადამუშავების დროს აუცილებლივ მივიღებ მხედველობაში...“ (გურამ რჩეულიშვილი, 6, 67). მსგავს დამოკიდებულებას ვხვდებით მწერლის დის, მარინეს მიმართ. მარინე რჩეულიშვილი ხშირად ყოფილა ძმის ნაწარმოებების პირველი მკითხველი. მის ლიტერატურულ გემოვნებას და აზროვნებას დიდად აფასებდა გურამი. დის მისამართით გაგზავნილ წერილებში იგი ხშირად განიხილავს ლიტერატურულ საკითხებს, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. ამ მხრივ საყურადღებოა ტოლსტიოს რომანების პერსონაჟთა სახეებზე საუბარი. რომანების – „ომი და მშვიდობა“ და „ანა კარენინა“ – ნაკითხვით გამოწვეულ ძლიერ შთაბეჭდილებებს გადმოსცემს წერილები მარინეს მიმართ. ამ პერსონაჟებთან ზოგჯერ მსგავსებასაც-კი პოულობს წერილის ავტორი – „ანა კარენინაში“ ჯერ მარტო პირველი ტომის ნახევარი წავიკითხე, – არ შემოსულა კაცი, რომ დასაწყისში არ მგონებოდა ჩემი თავი“. ოდესიდან მოწერილ წერილში ვკითხულობთ: „მე ნატაშა როსტოვა ვარ. ამ გოგომ თავისთან ერთად სამჯერ მატირა“-ო. თუმცა, იქვე აცხადებს: – არა, მე არა ვგავარ ნატაშას. ესე იგი, ჰე და არა. ის ისეთი უშუალოა. ეს მეც მაქვს, ოღონდ მე კაცი ვარ და ვარ შემოქმედი. ეს მეორე... შემოქმედება, უხეშს მხდის ხშირად პირველისათვის და ალბათ, ანდრეისავით ვიქნებოდი, რომ არა ვწერდე“ (გურამ რჩეულიშვილი; 6, 73). ტრაგიკული ბედის მწერლისათვის უცხო იყო მდორე, ემოციას მოკლებული წერა. თვით ყველაზე პატარა მინიატურაც-კი უდიდესი ძალითაა დამუხტული.

ყველაზე ფასეული კი გურამ რჩეულიშვილისათვის არის შემოქმედებითი თავისუფლება. ამის დასტურია მისი თეორიული შეხედულებები, რომლებიც ვახტანგ ჭელიძისადმი გაგზავნილ წერილში მკვეთრი აქცენტებითაა გამოთქმული. წერილი 1960 წლის იანვარშია დაწერილი,





საავადმყოფოში, სადაც იმ პერიოდში მკურნალობდა ახალგაზრდა მწერალი.

იდეას მწერლის შემოქმედებით თავისუფლებაზე, გურამ რჩეულიშვილის თეორიული შეხედულებების კვალდაკვალ, განიხილავდა ლიტერატურის თეორეტიკოსი მანანა კვაჭანტირაძე, როცა წერდა: „გ. რჩეულიშვილის მთელი შემოქმედება წარმოადგენს განაცხადს იმაზე, რომ ავტორი – ეს მე ვარ“. ავტორს უხდება არა მხოლოდ „ვარ“-ის ტოპიკის ფუნდამენტური პრობლემის დაძლევა, რომელიც მე-20 საუკუნის ფილოსოფიური აზრის

მთავარ თავსატეხად იქცა, არამედ ნარაციის პროცესში ავტორის უფლებამოსილების საგანგებო ხაზგასმაც“ (ქართული ლიტერატურა. ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში; ტ. 2; 188). ასეთი ტენდენცია განასხვავებს რჩეულიშვილის შემოქმედებას მისი დროის მწერალთა ნააზრევისაგან. იგივე პათოსითაა წარმოთქმული მწერლის მეტაფორული ფრაზა: „ისევ მოვედი მე ფართო გზასთან... სწორედ აქ არის საჭირო თავის შესაცნობად, მოწოდების ადგილის საპოვნელად, გარკვეული თავისუფლება (გურამ რჩეულიშვილი; 6, 97). ავტორის, ზოგადად, შემოქმედის „ჩრდილში დგომა“, იმთავითვე მიუღებელი პირობაა მისთვის, მკაცრად მიღებული და დაკანონებული იყო მმართველი პარტიული კლასისათვის. ღრმა უფსერული თავისუფალ შემოქმედსა და ნომენკლატურულ ჩარჩოებს შორის, აზიანებდა და ანგრევდა მწერლის ფსიქიკას. ეს ნერვიულად მგრძნობიარე დამოკიდებულება ატყვია ზემოხსენებული წერილის იდეურ პათოსს დასაწყისშივე, ადრესატისადმი მიმართვაში: „სამწუხაროდ, ჯერ მოსვლა არ შემიძლია, ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, ხოლო დრო და ჩემი ტემპერამენტი არ ითმენს, რომ არ გაგაგებინოთ ჩემი აზრი ზოგიერთი საკითხის შესახებ და არ მოვისმინო თქვენი შეხედულებები“ (გურამ რჩეულიშვილი, 6, 92).

ეს წერილი, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ენოდოს „გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული შეხედულებები“, ლოგიკურად დასტილისტურად დახვენილი, აღსაგვეა ტონით, როგორიც მართებდა ახალგედა შემოქმედს უფროსი თაობის მწერლის მიმართ. მთავარი სათქმელიც განზოგადებული და მტკიცე არგუმენტებითაა შემაგრებული. „არ არსებობს სიბრძნე კაცის ვნებებისთვის. ხელოვნებას მზალოდ გულწრფელობა წნამს“ – ამ თეზის დას-



ნინო
რჩეულიშვილი

ტურად ავტორი იშველიებს შექსპირის, ბაირონის, ტოლსტოის გენიალურ შემოქმედებას, რომელთა კალამიც ქვეშეცნეულად ემორჩილება დიდ მხატვრულ ინტუიციას. ცხადია, ლაგამამოდებული მწერლობა ვერასოდეს იქნება გულწრფელი, ტეშმარიტი და იმავდროულად ემოციური და, რომ „შექსპირი, მიუხედავად სიუჟეტის და ფილოსოფიური საფარველს წინასწარგანჭვრეტისა, დღემდე გაოცებულია, გულმოკლული და სიგიურდე აღშფოთებული იმ მუდმივი საბედისწერო შეცდომით, რამაც მავრს თავისი სიყვარული დაახრჩიობინა“

(გურამ რჩეულიშვილი, 6, 94). სწორედ ეს ფაქტი მიაჩინა მწერალს შემოქმედის გამარჯვებად.

,შევქმნა თანამედროვე ქართული ადამიანი თავისი მკვეთრად გამოხატული და განსხვავებული ვნებებით“ – ასე განზოგადდა გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლისა და შემოქმედის უდიდესი მიზანი. მისი ღრმა რწმენით, ლიტერატურის მთავარი მიზანიც ადამიანთა სახეების ხატვა უნდა ყოფილიყო, დამახასიათებელი გარემოთი, ცხოვრებითა და მისწრაფებებით, კარგითა და ცუდით, თანაპრად. ხუთი წლის მანძილზე შექმნილ რეალისტური პროზის ნიმუშებს აქვთ პრეტენზია, მოიცვან მთელი კოსმიური სამყარო, ზოგჯერ ფარული სიმბოლიკის დახმარებით, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ძალზე მარტივი პირდაპირობით. რჩეულიშვილის სამწერლო-მხატვრული მეთოდი, თვით მწერლის შინაგანი სამყაროდან გადმოსული, მოიცავს უსასრულობას. მას დრომ მისცა ჭეშმარიტი შეფასება, დრომ, რომელიც ყველაზე ულმობელია ჩვენი ხილული სამყაროს სინამდვილეში.

ბიბლიოგრაფია:

1. კვაჭანტირაძე მ. (2016); ნეორეალიზმის დასავლური მოდელი და ქართული ლიტერატური დისკურსი // „ქართული ლიტერატურა. ისტორია საერთაშორისო პროცესების პრიზმაში“. ნან. II. 181-211. გამომცემლობა „საარი“.
2. რჩეულიშვილი გ. (2006). თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად. ტ. 4. გამომცემლობა „საარი“. თბილისი.
3. რჩეულიშვილი გ. (2007). თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად. ტ. 5. გამომცემლობა „საარი“. თბილისი.
4. რჩეულიშვილი გ. (2007). თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად. გამომცემლობა „საარი“. თბილისი.



იმედისმომცემი თაობა მოტივი

მაის გვიჩია

მიხარია, ჰუშჩირიფად მიხარია, ის საკუკულესო მკიონები ულია, კარგი ანალიტიკული და სწორი შემფასებელი, ამ ღლებში ადგა და თავისი საყვარელი წიგნი მოხხოვა წასკაითხად, გამარება იყოთ, რამ? რამდენიმე ფერში სტიკერი აქვს დამაგრებული ათობით, სხვადასხვა გვერდზე, ესენი საკურადლებო ადგილერია და თქვენზე რჩა რას მეტყვითო. სასახლი თაობა მოტივის, ჟურნალის, აზონის და კიდევ კურს ადლებინი, აქეთ გასძინვლიან, მერ ვუკურებ და მათთან ერთდ ვაითხულობრ, სანაწყლობრ, ისინი კითხულობენ მინოდებულს.

მ. გვიჩია

63



გოგონა მაშვიდე კლასიდა

ამასწინ უამინდობის გამო სიხალვათე იყო კლასებში, ჩემს მეშვიდებშიც ცოტანი იყვნენ, რა უნდა გაგვეკეთებინა, ვაუებს გრამატიკა და რედაქტირება შევთავაზე სანერად, გოგონებმა თემა ირჩიეს, ოღონდ რამე დაწერონ, ლამის აქეთ გთავაზობენ თემატიკას, გამუდმებით ვწერთ და ერთი სიტყვით, მოეშვათ გულზე, დავთანხმდი, რაღაც სამი სიტყვა მივუწერე (მე, სირბილი, ლამე), სასურველი ამბავი ან რამე მოიფიქრეთ-მეთქი. წერეს, რა წერეს, უცებ გამოაცხვეს, ისე არიან განაფულები, შეუძლიათ ორ-სამგვერდიანი ნაწერი 5-7 წუთში გაამზადონ. მეც ვდგავარ და ვუსმენ. რამდენიმე მოვისმინე სერიოზული სახით, ბოლოს ერთმა მაინც გამატარა მასთან ერთად, ვგრძნობდი, რომ კითხულობდა, გულაჩქარებული მეც მივრბოდი, მეშინოდა, ვლელავდი... თავიდანვე ვიცანი, ვინც იყო მისი ლირიკული გმირი, ვიცანი, თუმცა არ ვუთხარი, ვაცადე, კმაყოფილებით გავუღიმე და მივანიშნე მადლიერებით, გიცანი-მეთქი! ამასწინ გამიმხილა, მე უკვე ვიცი, ჰუმანიტარი ვარ, არ შემიძლია ტექნიკურ საგნებზე ისე ფიქრი, სილადე, თავისუფლება ჩემთვის კითხვას მოაქვსო. მიხარია, ჭეშმარიტად მიხარია, ის საუკეთესო მკიონხველია, კარგი ანალიტიკოსი და სწორი შემფასებელი, ამ დღებში ადგა და თავისი საყვარელი წიგნი მათხოვა წასაკითხად, გამაცა იცით, რამ? რამდენიმე ფერში სტიკერი აქვს დამაგრებული ათობით, სხვადასხვა გვერდზე, ესენი საყურადღებო ადგილებია და თქვენც აბა რას მეტყვითო. სასწაული თაობა მოდის, ჭკვიანი, აზრიანი

და კიდევ ყურადღებიანი, აქეთ გასწავლიან, მეც ვუჯერებ და მათთან ერთად ვკითხულობ, სანაცვლოდ, ისინიც კითხულობენ ჩემს მინოდებულს. ამ პოსტის ბოლოში, მისი ნებართვით, დავდებ გუშინდელ ნაწერს, მისივე ხელით აკრეფილს, სახელს არ გავაცხადებ, ასე სჯობს... რაც უნდა იყოს, კონფიდენციალურია განცდები, მადლობა!

„მახსოვს ის ლამე, ის ლამე, როდესაც სუნთქვის შეკვრამდე მივრბოდი სადღაც შორს, სიკვდილივით სიჩუმე სუფევდა იმ ადგილებში, მაგრამ არ მეშინოდა, პირიქით, თავს რატომღაც ცხოვრების მანძილზე, ცველაზე კარგად ვგრძნობდი, თითქოს ვხვდებოდი, რომ იმ ლამეს, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო.

სირბილის დროს ძალიან დავიღალე და ცოტა ხნით შესვენება გადავწყვიტე, ამ დროს წვიმა წამოვიდა, ვგრძნობდი, უკნიდან ვიღაც პატარა ნაბიჯებით, როგორ მიახლოვდებოდა. გასაკვირი ისაა, რომ ამ დროს ადამიანები თავდაცვის ხერხებს მიმართავენ, რადგან ვერ ხვდებიან, რას დაუშავებენ მათ, უცხო ადამიანები, მაგრამ მე, არც კი გავნერულვარ, თავს აუღელვებლად ვგრძნობდი.

უკნიდან პატარა გოგონა მომიახლოვდა, უცნაურია, მაგრამ ძალიან მეცნო, თითქოს ძალიან ბევრჯერ მყავდა სადღაც ნანახი, ისიც არ მომექცა უცხოსავით, ასე მითხრა: – ხელი მომკიდე! რაღაცას გაჩვენებო. მეც უეცრად ავდექი, ხელი ჩავკიდე და სადღაც წავედით. ხელი რომ მქონდა ჩაკიდებული პატარა გოგონაზე, დიდ სითბოს ვგრძნობ-

ოლები №1, 2024





დი, თითქოს ეს შეგრძნება სადღაც განმეცა-და. მას ისეთი ნაცნობი სახე, ხელები და აღნაგობა ჰქონდა, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მთელი ცხოვრებაა მას ვიცნობ.

ისე შემომხედა, ისეთი ლამაზი ყავის-ფერი თვალებით, თითქოს ვგრძნობდი, რომ მასთან ძალიან ბევრი საერთო მაკავშირებდა.

ამ გოგონას ყურებაში, უცებ განათებულ და სიმშვიდით სავსე ადგილას აღმოვჩნდი. იქვე, დიდი ლამაზი ხავსმოკიდებული ხე იდგა, სადაც დაჯდომა და საათობით საუბარი შეგეძლო. ხის ქვემოთ, კი საყვარელი ნაკადული მიედინებოდა...


გოგონასთან ერთად ჩამოვჯექი ხეზე, მან მკითხა: – აისრულე ყველა ოცნება, რაც ბავშვობაში გქონდა მიზნად? უცებ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. ამჯერად, ახლოს მოიწია, თავისი ყავისფერი თვალები, თვალ-

ში გამისწორა და მითხრა, – მე შენ გიცნობ! და საოცრად ნაცობი ხმა მიიღო, ის იმეორებდა, – მე ხომ, გიცნობ! მითხარი ყველაფერი შენ შესახებ! ყველაფერი აასრულე რასაც ბავშვობაში გეგმავდი!? გახდი საამაყო, როგორც ოცნებობდი? მითხარი! მითხარი! მე ხომ შენ გიცნობ! გიცნობ!

უცებ გავშეშდი, ცრემლები მომადგა, გამელიმა, თვალები გავახილე და ვხვდები, რომ სანოლიდან ვერ ვიძვრი. ყველაფერს ვხვდებოდი, ამეტირა და თან ბეჭნიერი ვიყავი, რადგან იმ პატარამ რაც მითხრა, ბავშვობის ყველა ოცნება ავისრულე, რომ გავიზარდე...

და სწორედ, ის პატარა გოგონა, ლამაზი ყავისფერი თვალებით, ხომ მე ვიყავი...“

P.S. ბოლოში ამ წიგნის ფოტოა. აი, ასეთი მკითხველია გოგონა მეშვიდე კლასიდა.





„თელავის გაზეთის“ პირველი ნომერი, მრავალნლიანი ნუვეტის შემდეგ, პირველად გამოიცა. მოსახლეობის ინიციატივითა და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, თელავში ბეჭდური მედია დაბრუნდა, რომლის ისტორიაც 100 წელზე მეტს ითვლის.

გაზეთი ყოველი თვის ბოლოს გამოიცემა, ქალბატონ ნელი ცენტრიშვილის რედაქტორობით.

„თელავის გაზეთი“ ხელმისანვდომი იქნება თელავში არსებულ პრესის ჯიხურებში, მთავარ ბიბლიოთეკასა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში.

„თელავის გაზეთის“ პრეზენტაცია თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა, რომელსაც თელავის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან ანდრიაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი და თელავის საკრებულოს თავმჯდომარე – თენგიზ მოვარელიშვილი ესნრე-ბოდნენ.

